პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა; გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ელირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

ოთხშაბათი, 22 ივნისი 1927 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 140 (1885)

დღიური

- ამხ. ჩიჩერინის დაბრუნება მოსკოვში.
- „საბჭოთა მეცნიერების" კვირეული ბერლინში.
- ნორვეგიაში გაიმართა მიტინგები ომის საფრთხის წინააღმდეგ.
- სრულიად ჩინეთის პროფკავშირთა კონფერენცია ხანქოუში.
- პოლონეთის მოსკოველი ელჩი მიემგზავრება ვარშავაში მთავრობისათვის მოხსენების წარსადგენად.
- ბულგარეთის პარლამენტის სესიის გახსნა.
- უნგრეთის პრესის კამპანია ერთა ლიგის წინააღმდეგ.
- ამუნდსენი ტოკიოში.

„კომუნისტი"
მიიღება ხელის მოწერა
ივლისისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

საბჭოთა კავშირი და პოლონეთი

ჩვენ შემთხვევა გვქონდა აღგვენიშნა, რომ პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გაუმჯობესებას ხელს ვერ შეუწყობს ის აღმაშფოთებელი ფარსი, რომელიც ამხ. ვოიკოვის მკვლელის გასამართლების სახით გაითამაშეს ვარშავაში.

როგორც ვიცით, მკვლელობის პირველ დღეებში პილსუდსკის მთავრობას, ერთგვარი დაბნეულობა ეტყობოდა. ის „ღრმა გულისწყრომას" გამოსთქვამდა ჩადენილ ტერორისტულ აქტის გამო და თითქო თანხმდებოდა დაეკმაყოფილებია საბჭოთა მთავრობის ყველა მოთხოვნა, როგორიც: საქმის ყოველმხრივი გამოძიება, ბოროტმოქმედის სასტიკი დასჯა, თეთრგვარდიელთა ორგანიზაციების ანტისაბჭოთა მუშაობის აღკვეთა.

მაგრამ შემდეგ ჩვენ სულ სხვა სურათის მოწმენი შევიქენით. ფაქტებმა მალე დაგვანახეს, რომ პოლონეთის მესვეურთა განცხადებები, თითქო ისინი კიცხავენ მკვლელობას და მისგან იმიჯნებიან, მარტოოდენ თვალთმაქცობა იყო.

ვარშავის პროცესის ხასიათს უკვე ყველა იცნობს. ჯერ კიდევ გამოძიება არ იყო დამთავრებული, რომ პოლონეთის მთავრობამ ჩვენი ელჩის მკვლელობა ინდივიდუალურ აქტად გამოაცხადა და ამით ხელი დააფარა მის სულის ჩამდგმელებს და ორგანიზატორებს ინგლისის შუბლმაგართ და მათ აგენტებს—პოლონეთში მოკალათებულ თეთრგვარდიელებს. ხოლო თვით სასამართლო გადაიქცა ანტისაბჭოთა აგიტაციის არენად და კავერდასადმი თანაგრძნობის გამოცხადების დემონსტრაციად. პოლონეთის სახელმწიფოებრივი ხელისუფლების წარმომადგენელმა, პროკურორმა რუტნოვსკიმ, რომელიც ცნობილია თავისი სიძულვილით საბჭოთა კავშირისადმი, თავისი მოვალეობა დაინახა არა მკვლელის გამტყუნებასა და მის დასჯის მოთხოვნაში, არამედ მისი „მორალურ" გამართლებაში. და ეს ცხადია, მან მოიმოქმედა თავის მთავრობის დასტურით. შედეგად კი მივიღეთ ის, რომ პოლონეთის სასამართლომ, რომელიც ჩვეულებრივ ცნობილია განსაკუთრებული სისასტიკით, როცა საქმე მუშებს და რევოლიუციონერებს ეხება, უაღრესი „სულგრძელობა" და „კაცთმოყვარეობა" გამოიჩინა კავერდასადმი—არამც თუ სიკვდილით დასჯა არ გადაუწყვიტა მას, არამედ შუამდგომლობა აღძრა პრეზიდენტის წინაშე, რათა განაჩენი (სამუდამო დაპატიმრება) შეეცვალოს 15 წლით დაპატიმრებით. ამასთან სასამართლომ ყოველი ზომა იხმარა, რათა მკვლელობის „ძაფები" არ გახსნილიყო, მისი მომწყობნი არ გამოაშკარავებულიყვნენ.

პოლონეთის მთავრობის და მის სასამართლოს ასეთი საქციელი ერთი მხრით აიხსნება მისი მტრული პოლიტიკით საბჭოთა კავშირისადმი, მეორე მხრით—ლონდონის ზეგავლენით. საგულისხმოა, რომ გასამართლების დღეს ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტროს ორგანო „დეილი ტელეგრაფ"-ი იარწმუნებოდა, რომ კავერდა არავითარ შემთხვევაში არ იქნება დახვრეტილიო.. აშკარაა, რომ გაზეთს ამის შესახებ მოეპოვებოდა სათანადო ცნობები, მან იცოდა, რომ ინგლისის დიპლომატიას ზომები ჰქონდა მიღებული კავერდას გადასარჩენად. თუ ინგლისმა ვერ მოახერხა ერთიანი ანტისაბჭოთა ფრონტის შექმნა, კერძოდ პოლონეთის გამოყენება საბჭოთა კავშირზე შეიარაღებული გალაშქრებისათვის, მან მაინც შესძლო ამხ. ვოიკოვის მკვლელისა და ამით თეთრგვარდიელთა ორგანიზაციებისათვის ხელის დაფარება.

მთავარი ამ შემთხვევაში არის ის, რომ ვარშავის სასამართლოს განაჩენი პირდაპირ წაქეზებაა სწორედ ამ ორგანიზაციების შემდგომი ანტისაბჭოთა გამოსვლებისათვის. პოლონეთის მთავრობა სრულებით არ ფიქრობს მათ ალაგმვას, პირიქით—წინანდებურად განაგრძობს საბჭოთა კავშირიდან გაქცეულ ნაძირალების მფარველობას. აი ფაქტები: „კვირას კრაკოვში შესდგა პეტლიუროველების ყრილობა. ყრილობამ მოსციცკის და პილსუდსკის გაუგზავნა სამადლობელი დეპეშა იმ სტუმართმოყვარეობისათვის, რომელსაც უწევენ უკრაინელ ემიგრანტებს პოლონეთის ტერიტორიაზე",—ამას გვაუწყებდა გუშინდელი დეპეშა. აშკარაა, რომ ეს კავერდას გასამართლების უშუალო გამოძახილია. სწორედ ამის შემდეგ მართავენ ყრილობას კონტრ-რევოლიუციონერი ემიგრანტები, სწორედ ამის შემდეგ მადლობას უცხადებენ ისინი პოლონეთის მთავრობას „სტუმართმოყვარეობისათვის". ამნაირად, თეთრგვარდიელება და პოლონეთის ხელმძღვანელი წრეები ხელი-ხელ ჩაკიდებული „მუშაობენ". ასეთი ყრილობის მოწვევის შესაძლებლობა ეხლანდელ მომენტში პილსუდსკის პოლონეთის მხრით აშკარა მტრული დემონსტრაციაა საბჭოთა კავშირის მიმართ. ვილნოში გამომავალი გაზეთი „სლოვო" „აღშფოთებულია" განაჩენის „სისასტიკით" და გამოსთქვამს იმედს, რომ პრეზიდენტი „15 წლით დაპატიმრებას შესცვლის უფრო მსუბუქი სასჯელით". ჯერ კიდევ პრეზიდენტს არ დაუკმაყოფილებია სასამართლოს შუამდგომლობა განაჩენის 15 წლით დაპატიმრებით შეცვლის შესახებ, მაგრამ ხსენებულ გაზეთისათვის ეს უკვე გადაწყვეტილი საქმეა და ის სასჯელის შემდგომ შემსუბუქებას მოითხოვს. კავერდას პროკურორის საშუალებით მოსდის მისასალმებელი დეპეშები ფაშისტებისა და რუს ემიგრანტებისაგან.

ყველაფერი ეს მოწმობს, რომ ვარშავის-განაჩენმა, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, თეთრგვარდიელთა ორგანიზაციებს არამც თუ არ დაუკარგა თავის „მოღვაწეობის" გაგრძელების ხალისი, არამედ უფრო აამოძრავა ისინი; ვარშავის სასამართლოს განაჩენში მათ დაინახეს პოლონეთის მთავრობის სოლიდარობა თავის ბნელ მიზნებისა და მოქმედებასთან.

პოლონეთის მთავრობამ ყველა ამისათვის პასუხი უნდა აგოს. როგორც „ეპოქა" იტყობინება, პატეკი (პოლონელი ელჩი მოსკოვში) ახლო ხანში მიემგზავრება ვარშავაში თავის მთავრობისათვის მოხსენების გასაკეთებლად, რის შემდეგ უკანასკნელი პასუხს გასცემს ამხ. ლიტვინოვის მეორე ნოტაზეო. ამ ნოტის მთავარი მოთხოვნა კი იყო თეთრგვარდიელთა ორგანიზაციების ანტისაბჭოთა მუშაობის აღკვეთა პოლონეთის ტერიტორიაზე. ეს მოთხოვნა, ისე როგორც სხვა მოთხოვნანი არ არის შესრულებული. რით შეუძლია პოლონეთის მთავრობას ამ შემთხვევაში თავი გაიმართლოს და მკვლელობისათვის პოლიტიკური პასუხისმგებლობა თავიდან აიცილოს? ამას იგი ვერავითარი სოფისტიკით ვერ მოახერხებს.

პოლონეთის შინაური ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა მეტად მძიმეა, არც მისი საერთაშორისო მდგომარეობაა ხელსაყრელი, საბჭოთა კავშირთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენა მისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია. თუ მის მესვეურთ პოლიტიკური გონიერების ცოტა ნატამალი მაინც შერჩენიათ, მათ კიდევ შეუძლიათ საბჭოთა კავშირის წინაშე თავისი დანაშაულის რამდენიმედ მაინც გამოსწორება და ნიადაგის მომზადება ჩვენთან დაახლოებისათვის. ამისათვის პირველ ყოვლისა საჭიროა პოლონეთში მოკალათებულ თეთრგვარდიელთა ალაგმვა. თუ ამ გზას პილსუდსკის მთავრობა არ დაადგება, თუ ის არ მოისურვებს საბჭოთა კავშირთან ცოტად თუ ბევრად კეთილმეზობლურ დამოკიდებულების დამყარებას, აქედან აშკარა, უმთავრესად, თვით პოლონეთი წააგებს. ბოლოს და ბოლოს ეჭვს გარეშეა, რომ პოლონეთის ხალხი პასუხს აგებიებს თავის მთავრობას იმ ზარალისათვის, რომელსაც ამით იგი მას აყენებს. საბჭოთა კავშირის მშრომელები კი დაიხსომებენ თავის წარმომადგენლის მკვლელის ხელის დამფარებელ მთავრობის საქციელს და აქედან შესაფერ დასკვნას გამოიყვანენ.

ლაყბობა საზღვაო განიარაღებაზე

დღეს ჟენევაში იხსნება საზღვაო განიარაღების კონფერენცია. კულიჯის თაოსნობით მოწვეული, ის იმოქმედებს სრულიად დამოუკიდებლად ერთა ლიგისაგან და ზოგიერთ შემთხვევაში კიდეც წარმოადგენს ერთგვარ დემონსტრაციას მის წინააღმდეგ. ჩრ-ამერიკის შეერთებული შტატების კაპიტალს, მსოფლიოში უძლიერეს კაპიტალს სრულებით არ სურს დაუკავშირდეს ლიგას. არა მარტო საკუთარი პრესტიჟის მოსაზრებით და არა მარტო იმიტომ, რომ მსოფლიო კრედიტორს აზრადაც კი არ უნდა გაივლოს რაიმე ფორმალური დამოკიდებულება თავის ევროპიელ მოვალეებისაგან. მეორე, უფრო მნიშვნელოვანი მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ ერთა ლიგა თავისთავად წარმოადგენს იარაღს, რომლის საშუალებითაც ბრიტანეთის იმპერიალიზმი ანხორციელებს თავის ჰეგემონიას ბურჟუაზიულ ევროპაში. დიდი ბრიტანეთი კი შეერთებული შტატების მთავარი მეტოქე და მტერია ზღვაზე.

კონფერენციის ძირითადი მონაწილეა სამი სახელმწიფო: ჩრ.-ამ. შეერთებული შტატები, ინგლისი და იაპონია. ეს, მსოფლიოში უძლიერესი საზღვაო სახელმწიფოები პირველად არ ხვდებიან ერთმანეთს მოსალაპარაკებლად საზღვაო განიარაღების შესახებ. დღეს ჟენევაში გამართული ფარსის პირველი აქტი გათამაშებულ იქნა 1921 წელს ვაშინგტონის კონფერენციაზე. მაგრამ, თუ კიდევ მაშინ არსებობდენ პაციფისტი სულელები, რომლებსაც იმედი ჰქონდათ, რომ მწვანე მაგიდასთან გამართული ტკბილი საუბრით მოახდენდენ საზღვაო შეიარაღების თუ არა სრულ ლიკვიდაციას, უკიდურეს შემთხვევაში, შემცირებას მაინც, სამაგიეროთ ეხლა არა მარტო ბურჟუაზია, არამედ სოციალ-დემოკრატიული პრესაც ულრმესი სკეპტიციზმით ეკიდება დღევანდელ კონფერენციას.

სავსებით ცხადია, რომ კონფერენციის ვერც ერთი მონაწილე რამოდენიმედ სერიოზულად ვერ მოეკიდება განიარაღების იდეას. და დღეს უფრო ნაკლებ, ვიდრე ოდესმე. ხოლო თუ ისინი მაინც მიდიან კონფერენციაზე, რასაკვირველია, არა იმიტომ, რომ შეამსუბუქონ მარინიზმის ტვირთი და შეანელონ დიდი მსოფლიო ომის, ატლანტის და წყნარ ოკეანზე ომის საფრთხე. ყველა ქვეყნის ბურჟუაზია მშვენივრად ითვალისწინებს ამ ომის აუცილებლობას და ამიტომ მთელი თავისი ენერგიით ნთქავს მუშებისა და გლეხებისაგან გამოწურულ მილიარდ მანეთებს. ის ემზადება, და ამ მზადების ერთ-ერთ მეთოდს წარმოადგენს დღეს გახსნილი კონფერენცია.

კონფერენციაზე თავის წარმომადგენლების გამგზავნი საზღვაო სახელმწიფოები ყველაზე ნაკლებ ფიქრობენ საკუთარ განიარაღებაზე, მაგრამ თვითეული მათგანი ყოველ ღონეს ხმარობს იმისათვის, რომ ეს კონფერენცია გამოიყენოს დანარჩენების განიარაღებისა და შესაძლებელ მტრების დასუსტებისათვის მომავალ ომში. ამ მხრივ ძალიან საყურადღებოა პროგრამები, რომლებითაც 1921 წელს ვაშინგტონში გამოდიოდენ შეერთებული შტატები, ინგლისი, იაპონია და საფრანგეთი. განიარაღების სრულიად გასაგებ ცნებას თვითეული ამ სახელმწიფოთაგანი აძლევდა თავის განსაკუთრებულ შინაარსს. შეერთებული შტატების წარმომადგენლები რატომღაც მთავარ საფრთხედ მშვიდობიანობისათვის სთვლიდენ დიდ სამხედრო გემების მშენებლობას. ამიტომ განიარაღება, მათი აზრით, უნდა განხორციელებულიყო პირველ რიგში დიდ სამხედრო გემების მშენებლობის შეზღუდვით. ისინი დაჟინებით მოითხოვდენ, რომ დიდ სამხედრო გემების ტევადობა განსაზღვრულიყო 35.000 ტონით, ე. ი. სწორედ იმდენით, რა ტევადობის გემებსაც შეეძლებოდათ გავლა პანამის არხში.

მეორე მხრივ ინგლისმა მშვიდობიანობის მთავარ საფრთხედ რატომღაც დაინახა წყალქვეშა ნავები და ჰაეროპლანები. ამიტომ მისთვის განიარაღება ნიშნავდა პირველ რიგში სწორედ იმის შეზღუდვას, რაც წარმოადგენს მასთან ყველაზე ახლო მდებარე შესაძლებელ მოწინააღმდეგის—საფრანგეთის ძირითად იარაღს.

და შემდეგ ასევე, ამნაირად.

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ვაშინგტონის კონფერენცია აღმოჩნდა სრულიად უშედეგო და რომ შეუჩერებლივ იზრდებოდა საზღვაო შეიარაღება. ისევე როგორც სამხედრო-საზღვაო ბიუჯეტები. ასევე სრულიად უნაყოფოდ დასრულდა განიარაღების მოსამზადებელი თათბირები 1926 და 1927 წლებში.

ეჭვს გარეშეა, რომ დღევანდელი კონფერენციაც ასევე უშედეგოდ დასრულდება.

ჯერ თვით განიარაღების საკითხის დასმა. უდიდესი სიყალბითაა გაჟღენთილი. ლაპარაკია მხოლოდ საზღვაო შეიარაღების შემცირებაზე, თუმცა ყველასათვის ნათელია, რომ ამა თუ იმ ქვეყნის სამხედრო ძლიერება არ შეიძლება შეფასებულ იქნას მარტო ფლოტით..

გარდა ამისა, ლაპარაკია სპეციალურად სამხედრო გემთმშენებლობაზე, თუმცა ცხადია, რომ ომის შემთხვევაში სავაჭრო ფლოტის მნიშვნელოვანი ნაწილიც შეიძლება გამოყენებულ იქნას სამხედრო საჭიროებებისათვის. დაბოლოს, ლაპარაკია მარტო არსებულ თვალსაჩინო შეიარაღების შემცირებაზე. მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ამას იმ ეპოქაში, როდესაც ამა თუ იმ ქვეყნის სამხედრო უნარიანობა განისაზღვრება არა მარტო ომის გამოცხადების მომენტში არსებული სამხედრო მარაგით, არამედ ომისათვის მთელი მეურნეობის გამოყენების შესაძლებლობითაც.

განიარაღებაზე ლაპარაკის სრულ უაზრობას, ბურჟუაზიულ - რეფორმისტული თვალსაზრისით კი, ამტკიცებდა შარშან ერთა ლიგის ერთი ყველაზე ერთგული მოციქულთაგანი, საფრანგეთის ცნობილი „სოციალისტი" პოლ ბონკური. „ჩემს წინ, — განაცხადა მან,—არის ქვეყანა (გულისხმობს ინგლისს), რომელსაც კარგად განვითარებული სარკინიგზო ქსელისა და მრეწველობის წყალობით, ძალიან სწრაფად შეუძლია მშვიდობიანი დროის მრეწველობის გადაყვანა სამხედრო რელსებზე. მე ვერ შევზღუდავ ამას, მაგრამ შემიძლია შევეკითხო იმ ორგანიზაციას, რომელიც მოითხოვს ჩემს განიარაღებას: რა შეგიძლია, ან რით დამეხმარები, როდესაც თავს დამესხმიან?"

მაშასადამე, კაპიტალიზმის დროს ომის ინდუსტრიალიზაცია ტეხნიკურად შეუძლებელს ხდის როგორც მთლიანი, ისე ნაწილობრივი განიარაღების განხორციელებას. საჭირო მომენტში ბურჟუაზიულ სახელმწიფოების მთელი საწარმოო აპარატი გამოყენებული იქნება ნგრევა-განადგურებისათვის. კაპიტალიზმი არასდროს არ გადაადნობს „ხმალს გუთნად", მაგრამ ის ყოველ წუთში მზად არის გადაადნოს გუთანი ხმლად.

კაპიტალიზმის არსებობა მჭიდროთაა დაკავშირებული ახალ ომებთან. ვერაფერი, გარდა პროლეტარულ რევოლიუციისა, ვერ დაიცავს კაცობრიობას ახალ ხოცვა - ჟლეტისაგან. მხოლოდ პროლეტარულ დიქტატურას შეუძლია დაამყაროს ნამდვილი და მტკიცე მშვიდობიანობა. და მხოლოდ ერთად-ერთი პროლეტარული სახელმწიფო—საბჭოთა კავშირი—არის ერთად-ერთი და ნამდვილი მებრძოლი მშვიდობიანობისათვის.

ატლანტისა და დიდ ოკეანებზე ჩამოწვა სამი საზღვაო ბუმბერაზის გრანდიოზული შებმის საფრთხე. შეერთებული შტატები, ინგლისი და იაპონია ძალას უსინჯავენ ერთი მეორეს და სცდილობენ წინასწარ გამოიმუშავონ მომავალი შებმის პირობები. ამაშია დღეს გახსნილი კონფერენციის აზრი.

დღეს თავს იყრიან იმპერიალისტები, რომ ისაუბრონ მშვიდობიანობისა და განიარაღებაზე. მუშათა კლასმა მშვენივრად იცის, თუ რას ნიშნავს ეს. მან იცის, რომ როდესაც იმპერიალისტები ძალიან ხმა მაღლა ლაპარაკობენ მშვიდობიანობაზე, ეს ნიშნავს იმას, რომ ისინი ამზადებენ ომს.

„პრავდა".

მოსკოვი, 21 ივნისი.

ფინეთის მთავრობის ნოტა.—ამხ. ლიტვინოვის პასუხი

ზალესკი პოლონეთ-საბჭ. კავშირის ურთიერთობის შესახებ

იტალია მიუღებლად თვლის მხარის დაჭერას ინგლისის ანტი-საბჭოთა პოლიტიკისათვის

ჩან-ძო-ლინმა თავისი თავი ჩინეთის „უზენაეს მმართველად" გამოაცხადა.—პეკინის მთავრობის პროგრამა

ჯაშუშ ელვენგრენის დახვრეტის გარშემო

ფინეთის ელჩის ნოტა

მოსკოვი, 21 ივნისი. ფინეთის ელჩმა **არტიმ** საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს გადასცა შემდეგი შინაარსის ნოტა:

„ჩემი მთავრობის დავალებით მაქვს პატივი გაცნობოთ შემდეგი:

ცნობამ ფინეთის მოქალაქის პოლკოვნიკ **ელვენგრენის** სიკვდილით დასჯის შესახებ ნორმალური სასამართლო პროცედურის ფარგლებს გარეშე, სახელმწიფო გაერთიანებულ პოლიტსამმართველოს კოლეგიის დადგენილებით, აგრეთვე ამ დადგენილების სისრულეში მოყვანამ ამის შესახებ ფინეთის მთავრობისათვის რაიმე ცნობის მიუწოდებლად, მეტად მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ფინეთში: ფინეთის მთავრობამ, რასაკვირველია, მიიღო ცნობად საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის განმარტება, რომ პოლკოვნიკი ელვენგრენი არას დროს არ ასახელებდა თავს ფინეთის მოქალაქედ და რომ ის, პირიქით, თავის თავს აცხადებდა მოქალაქეობის გარეშე მყოფ რუს ემიგრანტად. ამ ფაქტს, რომლის სისწორეშიც ფინეთის მთავრობას არ სურს ეჭვი შეიტანოს, მაინც არ შეეძლო გაექარწყლებია მთავრობის შეხედულება, რომ საბჭოთა კავშირის ხელისუფლებას უნდა გამოერკვია ელვენგრენის ნამდვილი მოქალაქეობა.

ამის გამო, ფინეთის მთავრობა, რომელსაც მხოლოდ მწუხარების გამოთქმა შეუძლია, იმის გამო, რომ ის ამნაირად უკვე დაყენებულია მომხდარი ფაქტის წინაშე, ვალდებულად სთვლის თავს მიაქციოს საბჭოთა კავშირის მთავრობის ყურადღება იმაზე, რომ ილვენგრენის საქმეზე გამოტანილი განაჩენი ეწინააღმდეგება ყველა ცივილიზაციურ ქვეყნების მიერ აღიარებულ მართლმსაჯულების პრინციპებს, და რომ ასეთის განმეორება საფრთხეს მოუმზადებს საბჭოთა კავშირისა და ფინეთის მეგობრულ დამოკიდებულებას.

არტი.

მოსკოვი, 18 ივნისი, 1927 წელი.

ამხ. ლიტვინოვის საპასუხო ნოტა

1) ვადასტურებ რა თქვენი ნოტის მიღებას, ნებას ვაძლევ ჩემს თავს მოგაგონოთ, რომ ელვენგრენის საქმეზე თქვენ უკვე მოგცათ სიტყვიერი განმარტება საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრმა **სტომონიაკოვმა;** აგრეთვე მოგაგონებთ, რომ ნოტაში აღნიშნული ელვენგრენი არალეგალურად, რუმინული პასპორტით შემოვიდა საბჭოთა კავშირში და საგამომძიებლო ორგანოში დაკითხვის დროს, ის თავის თავს უწოდებდა „რუს ემიგრანტს", რომელსაც არა აქვს გარკვეული მოქალაქეობა". მას არას დროს არ მიუთითებია ფინეთის მოქალაქეობაზე და არც სიტყვიერი და არც წერილობითი სახით არ განუცხადებია, რომ სურს დახმარებისათვის მიმართოს ფინეთის მისიას.

სავსებით უდავოა, რომ საგამომძიებლო ორგანოებს არ შეეძლოთ ეხელმძღვანელებიათ მოსაზრებით დამნაშავის ნაციონალური წარმოშობის შესახებ. არამედ ცნობებით იმის შესახებ, თუ რომელ სახელმწიფოს ეკუთვნოდა იგი. ელვენგრენის საქმეში, საერთოდ, და თვით მისვე ჩვენებაში, კერძოდ. სრულიად არ სჩანდა მისი ფინეთის მოქალაქეობა, და, გარდა ამისა, მთელი მისი მოქმედება, დაკავშირებული რუსეთის მონარქისტულ წრეებთან, რომლებიც გადაჭრით გამოდიან ფინეთის დამოუკიდებელი არსებობის წინააღმდეგ, სპობდა ასეთი აზრის დაშვების შესაძლებლობას. თუმცა პატივისცემის ნიშნად, სტომონიაკოვმა გიჩვენათ თქვენ ზემოხსენებული რუმინული პასპორტი და ელვენგრენის დაკითხვის ოქმი, მაგრამ თქვენ მაშინვე სიტყვიერათ გეცნობათ, რომ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს შეუძლებლად მიაჩნია მოლაპარაკების გაგრძელება ფინეთის მისიასთან ელვენგრენის საქმეზე.

2) ზემოხსენებულის თანახმად, თქვენთვის სათანადო ახსნა-განმარტების მიცემის შემდეგ, საბჭოთა მთავრობა სთვლის, რომ ელვენგრენის საქმე არ უნდა გამხდარიყო დიპლომატიური მიმოწერის საგნად საბჭოთა კავშირსა და ფინეთს შორის და თავის მხრივ ამ ნოტით დამთავრებულად მიაჩნია მიწერ-მოწერა ამ საქმეზე. საკავშირო მთავრობა, ხელმძღვანელობს რა ორივე ქვეყანას შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის შენარჩუნების სურვილით, არ ხედავს საფუძველს გამართოს დისკუსია თქვენს მიერ აღძრულ საკითხზე, ე. წ. ცივილიზაციურ ქვეყნებში არსებულ მართლმსაჯულების შესახებ.

3) არ შემიძლია, მაინც, არ გამოვთქვა გაკვირვება იმის გამო, რომ ფინეთის მთავრობამ საჭიროდ სცნო გამოსარჩლებოდა იმ კაცს, რომელსაც არ უცვნია თავი ფინეთის მოქალაქეთ, რომლის მთელი მუშაობა მიმართული იყო ფინეთთან მეგობრულად განწყობილ სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელიც ტერორისტულ აქტებს აწყობდა ამ სახელმწიფოს წარმომადგენელთა მიმართ და მიზნად ისახავდა აღედგინა მეფის რეჟიმი, რომელიც თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში სჩაგრავდა ფინეთის ხალხს და მის კულტურას და რომლის საბოლოოდ დამხობის შემდეგ ოქტომბრის რევოლიუციის მიერ, შესაძლებელი გახდა ფინეთის სახელმწიფოს დამოუკიდებელი არსებობა.

მიიღეთ რწმუნება ჩემს თქვენდამი პატივისცემაში **ლიტვინოვი**".

შეერთებულ შტატების ელჩის როლი

პეკინის საელჩოზე თავდასხმაში

ნიუ-იორკი, 20 ივნისი. ტიან-ძინის გაზეთ „ნორდ ჩაინა სტარ„-ის რედაქტორი ფოკსი ამტკიცებს, **რომ შეერთებულ შტატების ელჩი პეკინში მაკ მორეი „უაღრესად აქტიურ როლს თამაშობდა რუსეთის საელჩოზე თავდასხმის მომზადებაში".**

სპეციალურ წერილში, რომელიც გაეგზავნა იუნაიტედ პრესის სააგენტოს, ფოკსი სწერს: **„ჩემ განკარგულებაშია ინფორმაცია, რომლიდანაც სჩანს, რომ სწორედ შეერთებულ შტატების ელჩი ღებულობდა ყველაზე უფრო აქტიურ მონაწილეობას რუსეთის საელჩოზე თავდასხმის მომზადებაში.** ის მოქმედებდა ინგლისის ელჩთან და ჰოლანდიის ელჩებთან ერთად".

როგორც იუწყებიან, იაპონიის ელჩი ყველაფერს გულგრილად უყურებდა. (ადს)..

ერთა ლიგის სესიის შემდეგ

„მსოფლიო სცენაზე გათამაშებული ფარსი"

სტოკჰოლმი, 20 ივნისი. ეხება რა ერთა ლიგის საბჭოს სესიის დახურვას, შვეციის სოციალ - დემოკრატიის ორგანო **„სოციალ დემოკრატენ",** რომელიც მუდამ ერთა ლიგის დამცველათ გამოდის, სწერს: „ეს იყო ფარსი, რომელიც გათამაშებულ იქნა მსოფლიო სცენაზე იმ მიზნით, რომ შეესუსტებიათ ყურადღება იმ სერიოზულ დრამისადმი, რომელსაც ამზადებს დიდ სახელმწიფოთა დიპლომატია". (ადს).

იტალია ინგლისს არ უჭერს მხარს

რომი, 20 ივნისი. ანტი-საბჭოთა კამპანია ფაშისტურ პრესაში თანდათან ნელდება და ადგილს უთმობს იმედების გაცრუებას, გამოწვეულს ერთა ლიგის სესიის უშედეგობით, რამაც გამოააშკარავა „ანტი-საბჭოთა ბლოკის განხორციელების შეუძლებლობა".

„პოპოლო დ,იტალია" სწერს:

იტალიამ მიიღო საკმაოდ მწარე გამოცდილება ვერსალისაგან და ადრიატიკაზე მდგომარეობის გამწვავებით. იტალია თუმცა ძალიან აფასებს ინგლისთან მეგობრობას, მაგრამ **იძულებულია დამშვიდებით უყუროს დიდბრიტანეთის და რუსეთის შორის არსებულ ისტორიულ კონფლიქტს,** მით უფრო, რომ კონფლიქტს ხანგრძლივი ხასიათი ეძლევა და გერმანია - საფრანგეთი არ თანაუგრძნობენ ინგლისს".

პოლიტიკური წრეები ამ წერილს სადირექტივოდ სთვლიან. ფიქრობენ, რომ წერილი მიმართულია ინგლისის წინააღმდეგ, რომელმაც მხარი არ დაუჭირა იტალიას სამხრეთ - სლავიასთან კონფლიქტში.

ამხ. ვოიკოვის მკვლელობის გამოძახილი

როდის მივიღებთ პასუხს პოლონეთისაგან

ვარშავა, 20 ივნისი. „ეპოკა" იუწყება, რომ პატეკი ამ დღეებში ჩამოვა ვარშავაში მთავრობისათვის მოხსენების გასაკეთებლად.

პოლონეთის პასუხი ლიტვინოვის ნოტაზე გაგზავნილ იქნება პატეკის მოხსენების შემდეგ. (ადს).

კავერდას მეგობრები

ვარშავა, 20 ივნისი. კავერდამ მიიღო მთელი რიგი მისასალმებელი დეპეშები პარიზში, რიგაში და ლეიპციგში მყოფ რუს თეთრგვარდიელებისაგან.

რომიდან კავერდამ დეპეშა მიიღო ფაშისტების კავშირისაგან.

ვარშავა, 20 ივნისი. ვილნოს „სლოვო" კავერდასთვის გამოტანილ განაჩენის შესახებ სწერს:

„განაჩენმა სასოწარკვეთილებაში ჩაგვაგდო ჩვენ. ისტორიის იმ ფურცელს, რომელზედაც დაწერილია განაჩენი, ჩვენ ზიზღით უყურებთ. ჩვენ ვაცხადებთ, რომ მთელი ვილნო სთხოვს პრეზიდენტს შეუცვალოს კავერდას 15 წლის ციხე უფრო ნაკლები სასჯელით".

„რეჩ პოსპოლიტა" და „კურიერ ვარშავსკი" კმაყოფილებას გამოსთქვამენ განაჩენის გამოტანის გამო და სამართლიანად სთვლიან მას .(ადს).

ზალესკის განცხადება

ვარშავა, 20 ივნისი. პოლონეთის პრესა ათავსებს ზალესკის საუბარს „ნეიეს ვინერ ტაგებლატ"-ის თანამშრომელთან.

ზალესკი აცხადებს, რომ გარეშე საქმეთა მინისტრების მოლაპარაკების დროს ჟენევაში არავის არ გამოუჩენია საომარი განწყობილება რუსეთის მიმართ.

რომი, 20 ივნისი. „ლავორო დ'იტალია"-მ გამოაქვეყნა პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრის ზალესკის საუბარი.

„ეს წელი, განაცხადა ზალესკიმ, აღინიშნა რუსეთთან ჩვენი ურთიერთობის საგრძნობლად გაუმჯობესებით. გართულება, რომელიც ვოიკოვის მოკვლამ გამოიწვია, მე წარმავალად მიმაჩნია. პოლონეთმა გააკეთა ყველაფერი, რაც კი შეეფერება დამოუკიდებელ სახელმწიფოს ღირსებას, რომ დაეკმაყოფილებია საბჭოთა კავშირის მოთხოვნილებები. **პოლონეთი იმოქმედებს ენერგიულად, თუ მოსკოვის მიერ დაპირებული დოკუმენტებით დამტკიცდება პოლონეთში რუს მონარქისტების ორგანიზაციების არსებობა".** (ადს).

მონარქისტები ახალ ბინებს ეძებენ

კოვნო, 20 ივნისი. სახალხო გლეხური პარტიის ორგანო, ეხება რა ვოიკოვის მკვლელობას, სწერს:

„რუს მონარქისტებს მარტო პოლონეთში როდი მოუწყვიათ ბუდე. ისინი მოკალათებული არიან აგრეთვე ბალტიის განაპირა სახელმწიფოებშიც. სუვორინის ჩამოსვლა კოვნოში ნიშნავს მონარქისტების კოვნოში გამაგრების სურვილს. ეხლა, როდესაც მოსალოდნელია მთელ რიგ რუს მონარქისტ-მოღვაწეების გაძევება პოლონეთიდან, საჭიროა ზრუნვა იმაზე რომ მათ თავისი მოღვაწეობა არ გადაიტანონ ლიტვაში". (ადს)

საბჭოთა მეცნიერების კვირეული

ბერლინი, 20 ივნისი. **გაიხსნა „საბჭოთა მეცნიერების კვირეული". გახსნაზე დაესწრნენ გერმანიის მეცნიერების გამოჩენილი წარმომადგენელნი, გერმანიის და პრუსიის მთავრობების და გარეშე საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელნი და საბჭოთა სამეცნიერო დაწესებულებების დელეგატები.**

აღმოსავლეთ ევროპის შემსწავლელ გერმანიის საზოგადოების თავმჯდომარის პროფესორ **შმიდტის** მისასალმებელი სიტყვის შემდეგ, **გერმანიის და პრუსიის მთავრობათა სახელით გამოვიდა განათლების მინისტრი ბეკერი, რომელმაც აღნიშნა გერმანია-საბჭოთა კავშირის სამეცნიერო თანამშრომლობის მნიშვნელობა.**

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა **კრესტინსკიმ, რომელმაც აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის სოციალისტურ აღმშენებლობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სამეცნიერო კავშირს გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის.**

პრუსიის სამეცნიერო აკადემიის წარმომადგენელმა ლიუდერსმა აღნიშნა საბჭოთა კავშირის სამეცნიერო მოღვაწეთა უმნიშვნელოვანესი მიღწევები.

საბჭოთა კავშირის მეცნიერთა სახელით გამოვიდა **სემაშკო...**

საბჭოთა აკადემიკოსმა **ფერსმანმა** ვრცელ სიტყვაში დაახასიათა უდიდესი ამოცანები, რომლებსაც აყენებს მეცნიერების წინაშე საბჭოთა მეურნეობის განვითარება.

კრებამ მოისმინა მრავალრიცხოვანი მისასალმებელი დეპეშები.

საზეიმო კრება დახურა თავმჯდომარე **შმიდტმა,** რომელმაც საბოლოო სიტყვაში განაცხადა, რომ კრებაზე ყველა ორატორები სიხარულს გამოსთქვამდენ ორივე ქვეყნის სამეცნიერო ძალების დაახლოების გამო. (ადს)..

საბჭოთა პრესა

ოთხი მთავარი ნაკლი

კამპანიას 1 ივნისისათვის ფასების ათი პროცენტით დაკლების შესახებ მნიშვნელობა აქვს არა მარტო იმ მხრივ, რომ მოცემული დირექტივა ვადისათვის საგრძნობლად იქნა გატარებული. არა ნაკლებ საყურადღებოა ის გარემოება, რომ ამ კამპანიამ გამოაშკარავა საერთოთ ჩვენი ვაჭრობის ნაკლულევანებანი, რომელთა აღმოფხვრა და აცილება საწინდარი იქნება საქონლის არა მარტო ათი პროცენტით დაკლების, არამედ მისი შემდგომი გაიაფების უზრუნველსაყოფად. „ბედნოტა" ჩამოთვლის ამ ნაკლულევანებებს:

„პირველი და ყველაზე დიდი ნაკლი—ესაა მეტად გრძელი გზა, რომელსაც საქონლის უმრავლესობა გადის. სავაჭრო საფეხურების რიცხვი შეიძლება და უნდა შემცირებულ იქნეს შემდეგაც; ის, რისი გაკეთება პირველ ივნისისათვის მოხერხდა, სრულებით არ არის საკმარისი.

მეორე დიდი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ არ არის მომხმარებელ მასების კარგად მოწყობილი საზოგადოებრივი კონტროლი ვაჭრობის მუშაობაზე. კერძოდ კვლავ უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა და პარტიულ ორგანიზაციებს სოფლად ძალიან ცოტა აქვთ გაკეთებული ვაჭრობის გაუმჯობესების გარშემო მასების ორგანიზაციისათვის. თუ ამ საქმეში ერთგვარ გარდატეხას, თუ სახორგანოების და კოოპერაციის სასოფლო ვაჭრობას საზოგადოებრივი კონტროლის გავლენა ეტყობა, უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ მეტად სუსტია ეს გავლენა.

მესამე დიდი ნაკლი ისაა, რომ კოოპერაციას ბევრი არაფერი გაუკეთებია საკუთარ საშუალებათა შესაგროვებლად. ფასების დაკლების კამპანიამ გვიჩვენა, თუ რა ბევრი ზედმეტი და მძიმე ხარჯები აწვება კოოპერაციას საკუთარ საშუალებათა უქონლობის გამო.

მეოთხე საგრძნობი ნაკლი—ესაა სავაჭრო აპარატის ბიუროკრატიულობა, მისი სიდიდე, გადაჭარბებული ანგარიშიანობა, უდარდელობა ყოველდღიურ წვრილმანებისადმი (ტარის გამოყენების, მიმოსვლის და საქონლის გადაზიდვის, მისი შენახვის და სხვა ასეთ საქმეში). ყველა ამ „წვრილმანებს", ერთად აღებულთ, აქვთ უაღრესი მნიშვნელობა სავაჭრო მუშაობაში. მრავალი ფაქტით დამტკიცებულია, რომ ამ „წვრილმანების" დარგში იმალება მაღალი ზედნართი ხარჯების ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი".

ყველა ამ ნაკლულევანებათა აღმოფხვრისაკენ უნდა იქნეს ჩვენი ყურადღება მიმართული. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ ფასების დაკლების კამპანია არამც თუ არ დამთავრებულა, ის ფართო მასშტაბით მხოლოდ ამ ბოლო დროს დაიწყო. მიღწეულ შედეგების და შეძენილ გამოცდილების ნიადაგზე მუშაობა ამ მიმართულებით უნდა გავაძლიეროთ და გავაღრმავოთ.

ბრძოლა ჩინეთში

„უზენაესი მმართველი" ჩან-ძო-ლინი.

პეკინი, 20 ივნისი. ტოხოს სააგენტო იუწყება, რომ „უზენაესი მმართველის" ჩან-ძო-ლინის ბრძანებით, გამოქვეყნდა დეკრეტი ჩინეთის რესპუბლიკის სამხედრო მთავრობის შექმნის შესახებ. დეკრეტის თანახმად, სამხედრო მმართველი ომის დროს ხელმძღვანელობს რესპუბლიკის ყველა ხმელეთის, საზღვაო ძალებს, წარმოადგენს რესპუბლიკის პრეზიდენტს და სარგებლობს მისი უფლებებით. უზენაესი მმართველი ნიშნავს მინისტრებს, რომლებიც ეხმარებიან მას თავისი რჩევით. (ადს).

გენერალ ტიენ-ვეი-ცზინის დასჯა სიკვდილით

პეკინი, 20 ივნისი. გოვენის სააგენტო, უცხო წყაროებიდან მიღებული ცნობების მიხედვით იუწყება, რომ **ლინანში, ფინ-იუი-სიანის ბრძანებით, სიკვდილით იქნა დასჯილი უ-პეი-ფუს ერთი მომხრეთაგანი, გენერალი ტიენ-ვეი-ცზიანი.** ჩინურ წრეებში ადასტურებენ ამ ცნობის სისწორეს. (ადს.).

ყვითლების მოწოდება

შანხაი, 20 ივნისი. ყვითელ პროფკავშირთა ორგანო „ჩეიორ დეილი ნიუზ" უხანის მთავრობას ბრალს სდებს იმაში, რომ ის აქეზებს შანხაის მუშებს „კანონიერ პროფკავშირების და მათი ბელადების" წინააღმდეგ გამოსვლისაკენ.

გაზეთი მოუწოდებს მუშებს უყურადღებოთ დასტოვონ უხანის მოწოდებები. (ადს).

ანტი-ინგლისური ბოიკოტი

შანხაი, 20 ივნისი. თუმცა „ანტიბრიტანულმა ასოციაციამ" ნინბოში ანტი-ინგლისური ბოიკოტი დანიშნა 30 ივნისიდან, მაგრამ **ბოიკოტი ფაქტიურად დაიწყო ორი დღის წინად. ინგლისის ორგანო შანხაიში „ნორდ ჩაინა დეილი ნიუზ" იძულებულია აღიაროს, რომ ბოიკოტი წარმატებით მიმდინარეობს.**

„ნინბოში—სწერს გაზეთი—განადგურებულია ინგლისის ფირმების ყველა განცხადებები. ხალხს ურჩევენ არ იყიდონ ინგლისის საქონელი და არ ისარგებლონ ინგლისის გემებით. დანიშნული პირები ათვალიერებენ ჩამოსულ მგზავრების ბარგს ინგლისურ საქონლის ჩამორთმევის მიზნით. **ინგლისის ვაჭრობა ნინბოში სრულებით შეჩერებულია.** ჩინელი ვაჭრები, რომელთაც საწყობებში აქვთ ინგლისური საქონელი, არ ვაჭრობენ ამ საქონლით". (ადს).

პეკინის პროტესტი

პეკინი, 20 ივნისი. გოვენის სააგენტო იუწყება, რომ პეკინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაუგზავნა იაპონიის მისიას პროტესტი ცინდაოში იაპონიის ჯარების გაგზავნის წინააღმდეგ. სამინისტრო აცხადებს, რომ მას არ აკმაყოფილებს იაპონიის მისიის მიერ 9 ივნისს გამოგზავნილი პასუხი. (ადს.).

კომუნისტები მუშაობენ

შანხაი, 20 ივნისი. შანხაის საერთაშორისო უბნის მუნიციპალურ საბჭოთა ოფიციალური ორგანო „მუნიციპალ გაზეტ" **იუწყება, რომ ჩინეთის კომპარტიის შანხაის ორგანიზაცია და შანხაის პროფკავშირთა გენერალური საბჭო, მიუხედავათ სასტიკი რეპრესიებისა, აქტიურ არალეგალურ მუშაობას აწარმოებენ.**

„მათი არალეგალური პროპაგანდა,—ამბობს გაზეთი,—ისეთივე ძლიერი და ჯოჯოხეთურია, როგორიც ის იყო კომუნისტური მოძრაობის დაწყებისას ჩინეთში. კომუნისტური პარტიის პროგრამას კითხულობენ სტუდენტების და მუშების საიდუმლო კრებებზე, ავრცელებენ ფურცლებს კომუნისტურ ლოზუნგებით ჩან-კაი-ში-ს წინააღმდეგ. **დაბოლოს კომუნისტებს აქვთ საიდუმლო ბინები, სადაც ისინი აგროვებენ ჯარისკაცებს უხანის მთავრობის არმიისათვის"**

ჩან-ძო-ლინი

შემდეგ გაზეთი აცხადებს, რომ მღელვარება სიხებს შორის დაიწყო" იმ უცხოელ აგენტების წყალობით, რომელნიც ეწევიან გამანადგურებელ პროპაგანდას. ამასთან დაკავშირებით, გაზეთის სიტყვით, მიღებულია საჭირო გამაფრთხილებელი ზომები. (ადს).

პან-ფუს პროგრამა

პეკინი, 20 ივნისი. ჩინეთის ჟურნალისტებთან საუბარში, პეკინის მთავრობის პრემიერმა **პანფუმ** განაცხადა, რომ მიწადმოქმედების და შრომის ახალი სამინისტრო არსდება სოციალური პოლიტიკის შეცვლის გამო, „მუშებისა და გლეხების მდგომარეობის გაუმჯობესების და კლასობრივი თანამშრომლობის მიზნით.

საგარეო პოლიტიკის დარგში პან-ფუ ფიქრობს არა თანასწორ ხელშეკრულებათა გაუქმების მიღწევას.

პეკინში დაპატიმრებულთა საქმე

პეკინი, 20 ივნისი. საბრალმდებლო ოქმი **ბოროდინის** მეუღლეს და სამ დიპლომატიურ კურიერს ბრალს სდებს უკანონო მოქმედებაში არსებულ ხელისუფლების წინააღმდეგ.

„ოქმში აღნიშნულია, რომ ბოროდინის მეუღლე მოგზაურობდა გრუზენბერგის სახელით. დაპატიმრებისა და გაჩხრეკის დროს მას აღმოაჩნდა დოკუმენტები, რომლებსაც საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი ჩინეთში უგზავნიდა ბოროდინს და საბჭოთა კონსულს ხანკოუში. აღმოჩენილ დოკუმენტებს შორის არის ერთი სათაურით „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით". ეს დოკუმენტი პროლეტარიატს მოუწოდებს ენერგიულ მოქმედებისაკენ.

„ამ დოკუმენტიდან და აგრეთვე სხვა საბუთებიდან სჩანს, ამბობს საბრალმდებლო ოქმი, რომ კომუნისტები ცდილობენ დაამხონ ჩინეთში არსებული მთავრობა და დაარღვიონ კონსტიტუცია რევოლიუციონურ მოქმედების გზით.

ბოროდინის ქმარი იმყოფება ხანკოუში და ხელმძღვანელობს აჯანყებულ ძალებს. ბოროდინა ნანკინის საზღვარზე გადავიდა მნიშვნელოვან ამოცანების შესასრულებლად. მისი განცხადების თანახმად, ის თეთრების წინააღმდეგ არის განწყობილი და ამიტომ, ეჭვს გარეშეა, წითლების პარტიას ეკუთვნის. მისი მოქმედება წარმოადგენს მძიმე დანაშაულს სახელმწიფო წესწყობილების წინააღმდეგ".

„ბრალდებულნი **კრილი, გრეიბუსი** და **რიარე** აცხადებენ, ნათქვამია საბრალმდებლო ოქმში, რომ ისინი არიან საბჭოთა კავშირის დიპლომატიური კურიერები. **კრილმა თავის თავს კომუნისტი უწოდა.** გარეშე საქმეთა სამინისტროს მიერ შემოწმებულ პასპორტების საშუალებით, მათ შეეძლოთ პეკინში შესვლა მანჯურიაში გავლით. შანხაის და ნანკინ-ხანკოუს ტერიტორიის გავლის უფლება კი მათ არ ჰქონდათ. ბრალდებულებმა აღიარეს, რომ ჰქონდათ სასროლი იარაღი სათანადო ნებართვის გარეშე.

რიარეს პასპორტი სრულებით არ ყოფილა შემოწმებული გარეშე საქმეთა სამინისტროს მიერ, მაგრამ მიუხედავათ ამისა მან დანარჩენ დიპლომატიურ კურიერებთან ერთად იმგზავრა პეკინიდან შანხაიში და იქედან ხანკოუში. ბრალდებულებმა ნანკინის სამხედრო ზონა საიდუმლოთ გადალახეს.

ბოროდინის მეუღლემ განაცხადა, რომ იცნობს ყველა დანარჩენ ბრალდებულთ. ისინი მოგზაურობდენ ერთად და ამიტომ, უნდა ვიფიქროთ, რომ ჰქონდათ საიდუმლო სამხედრო დავალებები". (ადს).

ომის საფრთხის წინააღმდეგ

საპროტესტო მიტინგი ნორვეგიაში

სტოკჰოლმი, 20 ივნისი. ოსლოში ნორვეგიის კომპარტიამ გამართა მრავალრიცხოვანი საპროტესტო მიტინგი ომის საფრთხის წინააღმდეგ. კომპარტიის ორგანო **„ნორგეს კომუნისტ ბლად"** აღნიშნავს, რომ მიტინგი დიდის წარმატებით ჩატარდა. მოხსენებებით გამოვიდნენ ნორვეგიის კომპარტიის ბელადები განსენი და **ფურუბოტენი** და ნორვეგიის მუშათა პარტიის წევრი **ფრისი.**

ფრისი თავის სიტყვაში შეეხო 20 თეთრგვარდიელის დახვრეტას მოსკოვში და განაცხადა: **„დახვრეტა წარმოადგენს ისტორიისა და მუშათა კლასის წინაშე უდიდეს მორალურ პასუხისმგებლობის აქტს. ამ დახვრეტამ გაგვანთავისუფლა ჩვენ ახალ მსოფლიო ომისგან. ისტორია ამას უწოდებს განთავისუფლებას".**

შემდეგ ფრისმა აღნიშნა ომის საფრთხის გაძლიერება და გამოსთქვა იმედი, რომ **ნორვეგიაში ჩატარებულ იქნება მთლიანი საპროტესტო კამპანია ომის წინააღმდეგ და რომ ეს კამპანია მკაფიოდ გამოხატავს ნორვეგიის მუშათა კლასის მისწრაფებას არ დაუშვას ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. „ბურჟუაზიამ,—განაცხადა ფრისმა, უნდა იცოდეს, რომ თუ ის მუშებს მისცემს ხელში იარაღს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ეს იარაღი მიმართულ იქნება ინგლისის წინააღმდეგ".** (ადს).

ჩინეთის პროფკავშირთა კონფერენცია

შანხაი, 20 ივნისი. **ხანკოუში გაიხსნა სრულიად ჩინეთის პროფკავშირთა კონფერენცია.** კონფერენციას დაესწრო 400 დელეგატი ტიან-ძინიდან, შანხაიდან, კანტონიდან და სხვა ქალაქებიდან. კონფერენციაზე წარმოდგენილია ჩინეთის ყველა პროვინციები. (ადს).

ხანკოუ, 20 ივნისი. დამთავრდა უხანის პროფკავშირთა სადელეგატო კონფერენცია. **კონფერენციამ მოიწონა ჩინეთის კომპარტიის ცეკას და გომინდანის აღმასკომის ღია წერილი და წარუდგინა უხანის მთავრობას მოთხოვნილება დააპატიმროს და სიკვდილით დასაჯოს სიუ-კეი-სიანი და დასაჯოს ჩანშაში მომხდარ გადატრიალების მონაწილენი.**

კონფერენცია მოითხოვს მუშათა და გლეხთა კავშირების აღდგენას, მათთვის ჩამორთმეულ იარაღის დაბრუნებას და ისეთი დეკრეტის გამოცემას, რომელიც მუშათა ორგანიზაციებს და გლეხთა კავშირებს მისცემს თავისუფლების სრულ გარანტიას.

არსებულ ცნობების თანახმად, სიუ-კეი-სიანი ჩავიდა ფინ-სეიან-ან-ფუს სანაპირო რაიონში (ძიან-ძის პროვინცია), სადაც აღგენს ახალ რაზმებს და აიარაღებს მათ მუშა და გლეხთა ორგანიზაციებისათვის ჩამორთმეულ იარაღით.

ხუ-ნანის მუშათა ორგანიზაციებმა უხანის მთავრობას მიმართეს მოთხოვნით გაგზავნოს სიუ-კეი-სიანის წინააღმდეგ დამსჯელი ექსპედიცია. (ადს).

საქართველოს
[illegible]
ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ცნობები

ამხ. ჩიჩერინის დაბრუნება

მოსკოვი, 21 ივნისი. მოსკოვში დაბრუნდა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. ჩიჩერინი. (ადს).

ჩეხო-სლოვაკიის მფარველობის ქვეშ

რეველი, 20 ივნისი. ჩეხო-სლოვაკიის ახალმა წარმომადგენელმა ესტონეთში გირსმა მიიღო რუს ემიგრანტების კომიტეტის თავმჯდომარე რაგოუნიკოვი და განუცხადა მას, რომ ჩეხოსლოვაკია მომავალშიაც აღმოუჩენს დახმარებას ემიგრანტების დაწესებულებებს ესტონეთში (ადს).

დანციგი და საბჭ. კავშირი

ვარშავა, 21 ივნისი. დანციგის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის რიპპეს თავმჯდომარეობით და საბჭოთა კონსულის თანადასწრებით შესდგა თათბირი დანციგ - საბჭოთა კავშირის ვაჭრობის გაფართოვების შესახებ. რიპპემ განაცხადა: „დანციგის სენატი იმედოვნებს, რომ საბჭოთა მთავრობა წამოაყენებს გარკვეულ წინადადებებს და მხედველობაში მიიღებს, რომ შესაძლებელია დანციგის გამოყენება ექსპორტისათვის, რომელიც წინეთ ინგლისის ნავთსადგურებში მიდიოდა“.

კონფერენცია საზღვაო შეიარაღებათა შეზღუდვის შესახებ

ბერლინი, 21 ივნისი. ინგლის-ამერიკა-იაპონიის კონფერენცია საზღვაო შეიარაღებათა შეზღუდვის შესახებ გაიხსნა ჟენევაში შეერთებულ შტატების წარმომადგენლის გიბსონის სიტყვით. კონფერენციის თავმჯდომარეთ არჩეულია გიბსონი.

კონფერენციას ესწრება 21 დელეგატი და 70 ექსპერტი.

კულიჯისადმი გასაგზავნ მისასალმებელი დეპეშების ტექსტის მიღების შემდეგ, ამერიკის, ინგლისის და იაპონიის წარმომადგენლებმა გამოვიდენ პროგრამული განცხადებებით, რომლებიც საფუძვლად დაედება კონფერენციის მუშაობას.

შეერთებული შტატების წარმომადგენელმა გამოაქვეყნა კულიჯის მიმართვა, რომელიც შეიცავს მადლობას ინგლისისა და იაპონიისადმი კონფერენციაზე მონაწილეობისათვის და გამოთქმულია იმედი, რომ მიღებული იქნება შეთანხმება, რომელიც შეუძლებლად გახდის მეტოქეობას საზღვაო შეიარაღების დარგში.

შეერთებული შტატების წარმომადგენელმა მწუხარება გამოსთქვა იმის გამო, რომ საფრანგეთი და იტალია არ ესწრებიან კონფერენციას.

პოლონეთის კონსტიტუციის შეცვლა

ვარშავა, 21 ივნისი. სეიმმა მიიღო კანონი, რომელიც კონსტიტუციას ცვლის იმ მხრივ, რომ სეიმს ეძლევა თვითდაშლის უფლება, თუ ამას მოითხოვს დეპუტატების ორი მესამედი. მთავრობის პრესა უკმაყოფილოა ამ გადაწყვეტილებით. მემარჯვენე პარტიებს იმედი აქვთ, რომ ამ გადაწყვეტილებას გამოიყენებენ კამპანიისათვის საარჩევნო კანონის შესაცვლელათ.

ბოროდინას პროცესი

პეკინი, 21 ივნისი. მოსამართლე, რომელიც თავმჯდომარეობს ბოროდინას და საბჭ. დიპკურიერების პროცესზე, ავად გახდა და სასამართლოში არ გამოცხადდა. თუ როდის იქნება შემდეგი სხდომა არ იციან.

ახალგაზრდათა კომინტერნის აღმასკომის პლენუმი

მოსკოვი, 21 ივნისი. 20 ივნისს ახალგაზრდათა კომინტერნის აღმასკომმა მოისმინა ორი მოხსენება ახალგაზრდათა კომინტერნის ამოცანების შესახებ ომის საფრთხესთან დაკავშირებით (ადს).

გადაფრენის შედეგები

მოსკოვი, 21 ივნისი. დიდ საბჭოთა გადაფრენების მომწყობმა კომისიამ დაამტკიცა ჟიურის დადგენილება გადაფრენის შედეგების შესახებ. პირველი ორი ჯილდო—600 მან. ერგო აეროპლანებს, რომლებიც როსტოვიდან ასტრახანში გაფრინდენ. შემდეგი ორი პრემია—400 მან.—კიევისა და მობრუისკის აეროპლანებს. რადგან გადაფრენის ყველა მონაწილეებმა კარგად შეასრულეს თავისი ამოცანა, ამიტომ კომისიამ გაადიდა მესამე ჯილდოს (300 მან.) რაოდენობა და დანიშნა სამი ახალი წამახალისებელი ჯილდო (ადს).

ამხ. პავლოვიჩის დაკრძალვა

მოსკოვი. 21 ივნისი. 21 ივნისს პავლოვიჩი დაკრძალულ იქნა ნოვოდევიჩიეს სასაფლაოზე. საფლავთან სამეცნიერო აკადემიის სახელით ოლდენბურგმა მოუწოდა პავლოვიჩის ყველა მიმდევართ და მოწაფეებს მიბაძონ განსვენებულის მაგალითს და იბრძოლონ აღმოსავლეთის გაერთიანებისათვის დასავლეთთან. სამხედრო აკადემიის სახელით გამოვიდა გორევი, საფლავი მრავალი გვირგვინით დაამშვენეს. (ადს)

რიონჰესის საძირკვლის ჩაყრა

საქართველოს ეკონომიურმა საბჭომ 21 ივნისს გამართულ სხდომაზე დაადგინა 28 ივნისს გაიმართოს რიონჰესის საძირკვლის საზეიმო ჩაყრა. საძირკვლის ჩაყრას ამიერ-კავკასიისა და საქართველოს მთავრობის წევრებს გარდა, დაესწრებიან, აგრეთვე, საკავშირო მთავრობის წევრები, რომლებიც ჩამოვლენ ზაჰესის საზეიმო გახსნაზე.

თემთა პალატაში

შეკითხვა ინგლის - იტალიის 1918 — 19 წ. მოლაპარაკებაზე საქართველოს შესახებ

ლონდონი, 20 ივნისი. თემთა პალატის წევრი ჯონსტონი (მუშათა პარტია) შეეკითხა ბოლდუინს — ფიქრობს თუ არა ის წარუდგინოს პარლამენტს დოკუმენტები, რომლებიც შეიცავენ ცნობებს 1919 წლის დასაწყისში იტალიასთან გამართულ მოლაპარაკებისა და მასთან საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციის შესახებ დადებულ შეთანხმების შესახებ.

საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგმა **ლოკერ ლემპსონმა** განაცხადა, რომ ჯონსტონს, როგორც ჩანს, მხედველობაში აქვს ვერსალის საზავო კონფერენციის დროს გამართული მოლაპარაკება კავკასიაში ინგლისის ჯარების იტალიის ჯარებით შეცვლის შესაძლებლობის შესახებ. ეს საკითხი ირჩეოდა საინფორმაციო ხასიათის მოლაპარაკების დროს, რომელიც უშედეგოდ დასრულდა და ამიტომ არსად არ ყოფილა წერილობით ჩამოყალიბებული.

ამის შემდეგ ჯონსტონმა მისცა კითხვა — მიაქცია თუ არა ლოკერ ლემპსონმა ყურადღება იტალიის ყოფილი პრემიერის ნიტტის განცხადებას? წარსულ კვირას ინგლისში გამოცემულ წიგნში ნიტტი კატეგორიულად ამტკიცებს, რომ ანტანტაში შემავალი სახელმწიფოები 1918 და 1919 წ. წ. მოითხოვდენ იტალიის მთავრობისაგან საქართველოს ტერიტორიის დაჭერას, რაზედაც მან, ნიტტიმ, უარი განაცხადა.

ლოკერ ლემპსონმა უპასუხა:

„ჯონსტონმა, რასაკვირველია, იცის, რომ მოლაპარაკებას, რომელზედაც ის ლაპარაკობს, აწარმოებდა ლოიდ-ჯორჯი. ჯონსტონმა მისწერა წერილი სადაც ის მიუთითებს ნიტტის ამ წიგნზე, მაგრამ საგარეო საქმეთა სამინისტროს არ უნახავს ეს წიგნი და ამიტომ მოკლებული იყო მისი შესწავლის საშუალებას“. (ადს)

ბულგარეთის პარლამენტის გახსნა

ვენა, 20 ივნისი. გაიხსნა ბულგარეთის პარლამენტი. როცა მეფემ თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ უკანასკნელ არჩევნებში ამომრჩევლები მეტი უფლებით სარგებლობდენ, სოციალ-დემოკრატმა **სეკასოვმა** ადგილიდან წამოიძახა: **„ეს ტყუილია! მთელი ბულგარეთის ხალხი აღშფოთებულია იმ ძალადობით, რომელსაც ადგილი ჰქონდა არჩევნებში“.**

მთავრობის უმეტესობამ ამ რეპლიკას უპასუხა მეფის საპატივსაცემო დემონსტრაციით.

მუშათა პარტიის და გლეხთა კავშირების დეპუტატებს პარლამენტის შესავალ კარებში ჩხრეკდენ, რომ იარაღი აღმოეჩინათ.

პარლამენტის პრემიერად არჩეულია ყოფილი პრემიერი **ცანკოვი**.

ამნისტია ჩეხო სლოვაკიაში

ვენა, 20 ივნისი. ხელახლად არჩევის გამო, ჩეხო-სლოვაკიის პრეზიდენტმა **მასარიკმა** ამნისტია გამოუცხადა ზოგიერთ პოლიტიკურ პატიმრებს.

ამნისტია ვრცელდება მხოლოდ იმ პირებზე, რომელთაც მისჯილი ჰქონდათ დაპატიმრება უმნიშვნელო ვადით; **ამნისტია არ ვრცელდება კომუნისტებზე, ვინაიდან კომუნისტების დიდ უმრავლესობას მისჯილი აქვთ ხანგრძლივი ვადით დაპატიმრება.** (ადს).

ამუნდსენი ტოკიოში

ტოკიო, 20 ივნისი. პოლიარული ქვეყნების ცნობილი მკვლევარი ამუნდსენი ჩავიდა ტოკიოში, სადაც ის წაიკითხავს მთელ რიგ ლექციებს. (ადს).

უნგრეთის და ერთა ლიგა

ვენა, 20 ივნისი. ჰუნგრეთის პოლიტიკურ წრეებში აღშფოთება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ რუმინეთ - ჰუნგრეთის სამედიატორო სასამართლოს საკითხის გადაჭრა და ჰუნგრელ ოპტანტების მოთხოვნილებების მოგვარება სემიგრადიაში ჩამორთმეულ მიწების ანაზღაურების შესახებ ერთა ლიგის საბჭოს სესიამ გადასდო. უკიდურესი მემარჯვენეები მოითხოვენ, რომ მთავრობამ განიხილოს საკითხი ერთა ლიგიდან ჰუნგრეთის გამოსვლის შესახებ.

მთელი ჰუნგრეთის პრესა კამპანიას ეწევა ერთა ლიგის წინააღმდეგ. (ადს).

ზაჰესის საზეიმო გახსნისათვის

თბილისის საბჭოს წევრების, მუშათა, გლეხთა და წითელ-არმიელთა დელეგაციების, ფაბქარხადგილკომების, საბჭოთა, პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციების და ყველა იმ მოქალაქეთა

საყურადღებოთ,

რომელნიც მიდიან ა. წ. 26 ივნისს საღამოს 5 საათზე ზემო-ავჭალაში

ზაჰესის საზეიმო გახსნაზე. ცხადდება, რომ

სპეციალური მატარებლები

გავა კვირას, ა. წ. 26 ივნისს ადგილობრივი დროით შემდეგი წესით:

გადის:

სადგურ თბილისიდან (იქით)	სადგურ მცხეთიდან უკან ბრუნდება
1 მატარებელი დილის 9 საათ. 24 წ. — — —	საღამოს 6 ს. 10 წუთზე
2 მატარებელი ნაშუადღევის 2 საათზე— — —	საღამოს 7 ს. 10 წუთზე
3 მატარებელი ნაშუადღ. 4 ს. 25 წ. — — —	საღამოს 12 ს. 10 წუთ.

ექსკურსანტები, ფაბქარხადგილკომებით და წითელ-არმიელებით პროფსაბჭოს კულტგანყოფილებაში წინდაწინვე მიღებულ ბილეთებით.

4 მატარებელი ნაშუადღ. 2 ს. 45 წ. — — — საღამოს 11 საათ. 10 წ.

თბილისის საბჭოს წევრებით, რესპუბლიკების დელეგატებით და სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოსულ და სამაზრო დელეგატებით და წარმომადგენლებით თავიანთი მანდატებით და მისაპატიჟებელ ბილეთებით.

შესაკრები პუნქტი რკ. გზის სადგურის მოედანზე მატარებლის გასვლამდე ნახევარი საათით ადრე.

ჩამოსულმა მუშათა დელეგაციებმა და პროფკავშირთა წარმომადგენლებმა ყველა საკითხების შესახებ უნდა მიმართონ პროფსაბჭოს კულტგანყოფილებაში—რუსთაველის გამზ. შრომის სასახლე ოთახი № 14.

ხოლო ჩამოსულმა გლეხთა დელეგაციებმა და საბჭოთა და პარტიულ ორგანიზაციების წარმომადგენლებმა—თბილისის აღმასკომში ოთახი № 223.

საორგანიზაციო კომისია.

ნის. 1353 2—1

უცხოეთში

მისისიპის ადიდების პოლიტიკური შედეგები

როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან. შეერთებულ შტატებში ადგილი ჰქონდა ისეთ დიდ წყალდიდობას, რომელიც არ ახსოვს უკანასკნელი ათეული წლების ისტორიას. ადიდებულმა მდინარე მისისიპმა დაფარა სივრცე, რომელიც სიდიდით აღემატება ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოების (ბელგიის, ჰოლანდიის) ტერიტორიას; უთავშესაფაროდ დარჩა ასეული ათასი მცხოვრები. წყალდიდობას ისეთი კატასტროფიული ხასიათი ჰქონდა, რომ იგი ეჭვს გარეშეა უდიდეს გავლენას იქონიებს შეერთებული შტატების პოლიტიკურ ცხოვრებაზე. წყალდიდობამ კიდევ უფრო გააღრმავა ის წინააღმდეგობანი, რომელნიც არსებობენ ერთის მხრივ ქალაქების ფინანსიურ და სამრეწველო კაპიტალსა და მეორე მხრივ საშუალო და უღარიბეს ფერმერების ინტერესებს შორის. როცა წყალდიდობის საფრთხისაგან ქ. ახალ ორლეანის გადარჩენის მიზნით ააფეთქეს ჯებირი მდ. მისისიპზე (ამ ქალაქს ქვევით) და წყალი გადაუშვეს ფერმერების ნათესებზე (ამ დროს წყალმა წალეკა ასეული ათასი დესეტინა ხორბლისა და ბამბის ნათესები), მდგომარეობა არაჩვეულებრივათ გამწვავდა. იმ მუშების დასაცავად ფერმერებისა და ტრაპპერების (მონადირენი ბეწვიან ცხოველებზე) თავდასხმისგან საჭირო შეიქნა ჯარების გამოწვევა.

მისისიპის მიდამოების მოსახლეობის უკმაყოფილებას ფინანსიურ და სამრეწველო კაპიტალით და ამ კაპიტალის ნება-სურვილის შემსრულებელი მთავრობით, ძველი ისტორია აქვს. სანამ სარკინისგზო აღმშენებლობის ეპოქა დაიწყებოდა მისისიპისა*) და მისი შენაკადების**) წყალთა სისტემა მნიშვნელოვან როლს თამაშობდა სატრანსპორტო საქმეში. სარკინისგზო მშენებლობის განვითარების შემდეგ, წყლის შინატრანსპორტის მნიშვნელობა ძლიერ დაეცა. წყლის ტრანსპორტის სიიაფე ობიექტიურათ შესაძლებლად ხდიდა მეტოქეობას რკინის გზის ტრანსპორტთან. მაგრამ სარკინისგზო კომპანიების პატრონებმა, რომლებიც დიდი გავლენით სარგებლობენ მთავრობის წრეებში, ყოველი ზომები მიიღეს, რომ ხელი შეეშალათ შინაური წყლის ტრანსპორტის სისტემის განვითარებისათვის.

პირველ ხანებში, სარკინისგზო კომპანიებმა, რომ მოესპოთ მეტოქეობა წყლის ტრანსპორტის მხრივ, მეტად დაბალი ფასები დააწესეს ტვირთის გადაზიდვაზე. მაგრამ როგორც კი მიზანს მიაღწიეს ტარიფები ერთი ორად გაადიდეს. უნდა აღინიშნოს, რომ გადიდებული ტარიფი განსაკუთრებით მძიმე ტვირთად დააწვა ფერმერებს.

სარკინისგზო ტარიფების საკითხმა მწვავე პოლიტიკური პრობლემის ხასიათი მიიღო. ფერმერები მოითხოვდენ დაეკლოთ სარკინისგზო გადიდებული ტარიფი, რომელიც იწვევს რკინის გზით გადაზიდულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაძვირებას. დასავლეთის შტატების ინდუსტრიალიზაციასთან ერთად მაღალ სარკინისგზო ტარიფები გადაიქცენ დაბრკოლებად ადგილობრივი მრეწველობის განვითარებისათვისაც. კონფლიკტი კიდევ უფრო გამწვავდა პანამის არხის გაყვანის შემდეგ, რამაც აღმოსავლეთის შტატების საშუალება მისცა იაფათ გადაეზიდათ (წყლით) ტვირთი წყნარ ოკეანისაკენ, დასავლეთის შტატების მრეწველობისათვის კი პანამის არხის გაყვანას არავითარი სარგებლობა არ მოუტანია.

ამრიგად, საკითხი წყალდიდობის საწინააღმდეგო ზომების შესახებ წარმოადგენს იმ წინააღმდეგობათა საერთო პრობლემის ნაწილს, რომლებიც წარმოიშვენ შეერთებული შტატების შინაური წყლის ტრანსპორტის გამოყენების ირგვლივ.

წყალდიდობა მისისიპის მიდამოებში პერიოდულათ მეორდება, ამიტომ, წყალდიდობის საწინააღმდეგო ზომებს წინათაც იღებდენ. ერთ-ერთ ასეთ ღონისძიებას წარმოადგენს მძლავრი ჯებირების აგება მდინარის გასწვრივ. ეს ჯებირები გამოსადეგი არიან წყლის შესაკავებლად ნორმალური წყალდიდობის დროს, მაგრამ არაჩვეულებრივად დიდ წყალდიდობის დროს თავის დანიშნულებას ვერ ასრულებენ. ამავე დროს, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ფართე განვითარება მისისიპის მიდამოებში სულ უფრო და უფრო საშიშრად ხდის წყალდიდობის შედეგებს, როგორც მატერიალური ზარალის, ისე ადამიანთა მსხვერპლის მხრივ.

სპეციალისტ-ინჟინერები უკვე დიდი ხანია ეწევიან აგიტაციას ისეთ მოწყობილობათა აგების სასარგებლოდ, რომლებიც შესაძლებლად გახდიან გაზაფხულის წყლების გადაყვანას მდინარის გვერდის შტოებში და ამრიგად რადიკალურად მოსპობენ წყალდიდობის საფრთხეს, რომელთანაც საბრძოლველად ჯებირები მხოლოდ პალიატივს წარმოადგენენ. უდიდესი ხარჯები, რომლებიც ამ პროექტის განხორციელებასთან არიან დაკავშირებული, შესაძლებლად ხდიან მის შესრულებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ საქმეს ხელს მოჰკიდებს მთავრობა, მაგრამ აღნიშნულ მოწყობილობათა აგება დღის წესრიგში აყენებს მძლავრ ელექტრო-სადგურების მოწყობას (რომ წყლის ენერგიის გამოყენებით მაინც იქნეს ანაზღაურებული გაწეული ხარჯები). მაგრამ აქ მთავრობას წინააღმდეგობას უწევენ ელექტრონის მრეწველობის მაგნატები, რომლებიც მტკიცედ დგანან თავისი ჯიბის სადარაჯოზე.

ელექტრონის მრეწველობის მაგნატები ხელს უშლიან მთავრობას მუშაობის დაწყებაში ელ.-სადგურების მოსაწყობათ, რაც პირველი ნაბიჯია იმ საშინელ წყალდიდობასთან საბრძოლველად, რომელიც ანადგურებს უზარმაზარი რაიონის სასოფლო მეურნეობას.

წყალდიდობა მისისიპის მიდამოებში, რომელმაც მიმდინარე წელს მიიღო გრანდიოზული კატასტროფის ხასიათი, კიდევ უფრო შეუწყობს უკმაყოფილების ზრდას კულიჯის მთავრობის პოლიტიკით. კულიჯი კი, როგორც ვიცით, აღმოსავლეთის შტატების ფინანსიური და სამრეწველო კაპიტალის ნება-სურვილების ამსრულებელია, ეს უკმაყოფილება ფერმერების წინანდელ უკმაყოფილებასთან ერთად კულიჯის პოლიტიკით (უარის თქმა ფერმერებისათვის დახმარების აღმოჩენაზე), ეჭვს გარეშეა გავლენას იქონიებს საპრეზიდენტო არჩევნებზე, რომელიც 1928 წ. არის დანიშნული.

ა. ს—ტი.

---

*) მისისიპის სიგრძე უდრის 4.000 კილომეტრს.

**) მისსური—4.700 კილომეტრს, არკანზასის — 3.200 კილომეტრს.

მუშათა მოძრაობა

საფრანგეთის სახელმწიფო მუშა - მოსამსახურეთა ბრძოლა

საფრანგეთის სახელმწიფო მოსამსახურეების ბრძოლას თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის აბრკოლებს ერთი მხრივ მათი პროფკავშირის უფლებრივი მდგომარეობის მოუწესრიგებლობა და მეორეს მხრივ — რეფორმისტების გამთიშველი პოლიტიკა.

1884 წ. 21 მარტის კანონის თანახმად „ერთი პროფესიის პირებს თავისუფლად, მთავრობის სპეციალური ნებართვის გარეშე შეუძლიათ თავიანთი კავშირის დაარსება.“ რამდენათაც ამ კანონში სახელმწიფო მოსამსახურეები არ იყვნენ მოხსენებული. ზოგიერთი ჯგუფები შეუდგენ პროფკავშირის დაარსებას. მაგრამ 1885 წ. 27 ივნისს საკასაციო პალატამ განმარტა, რომ 1884 წ. კანონი სახელმწიფო მოსამსახურეებზე არ ვრცელდება. ამის შემდეგ, დიდი ხნის განმავლობაში სწარმოებდა ბრძოლა სახელმწიფო მოსამსახურეებისათვის პროფკავშირის დაარსების უფლების მინიჭების გარშემო. ამ საკითხმა 1894 წ. გამოიწვია დაცემა კაზიმირ პერიეს სამინისტროსი. რომელმაც უარი სთქვა ეცნო სახელმწიფო მუშა - მოსამსახურეთა პროფკავშირის შექმნის უფლება.

ვალდეკ რუსსოს მეორე სამინისტრომ (1899—1902 წ.) და კომბას სამინისტრომ (1902 — 1905 წ.) აღიარეს, რომ 1884 წ. კანონი სახელმწიფო მოსამსახურეებს ანიჭებს პროფკავშირის შექმნის უფლებას. შესაფერი კანონპროექტი შემუშავებულ იქნა მხოლოდ 1907 წ. (კლემანსოს სამინისტროს მიერ), მაგრამ კანონპროექტმა ვერ მოასწრო პარლამენტში გავლა და საკითხი ჰაერში დარჩა გამოკიდებული მსოფლიო ომის დასრულებამდე. 1920 წ. 12 მარტს მილიერანის მთავრობამ გაატარა კანონი პროფკავშირების უფლებების გაფართოების შესახებ. კანონში აღნიშნული იყო. რომ იგი „ვრცელდება თავისუფალი პროფესიის პირებზე“ და, რომ „სპეციალური კანონით განსაზღვრული იქნება მოხელეთა მდგომარეობა“. მაგრამ არც მაშინ და არც შემდეგ აღნიშნული კანონი არ ყოფილა შემუშავებული.

მხოლოდ 1924 წ. 9 აგვისტოს მინისტრთა საბჭომ დაადგინა, რომ განყოფილებათა და დეპარტამენტების უფროსებს „უფლება აქვთ მიიღონ სახელმწიფო მოსამსახურეთა პროფკავშირების წარმომადგენლები და აწარმოონ მათთან მოლაპარაკება იმ საკითხებზე. რომლებიც მათ ეკონომიურ ინტერესებს შეეხება“.

მაგრამ, რამდენათაც ამ დადგენილებას კანონის სახე არ მიუღია, იმდენათ სახელმწიფო მოსამსახურეთა მდგომარეობა ძველებურად გაურკვეველი დარჩა.

მაგრამ არა იმდენათ ეს გაურკვევლობა, არამედ უქონლობა მთლიანი ორგანიზაციისა, რომელიც დაიცავდა მათ პროფესიონალურ ინტერესებს. აბრკოლებს დღემდი საფრანგეთის სახელმწიფო მუშა-მოსამსახურეების ეკონომიურ ბრძოლას.

განხეთქილება შეკავშირებულ მოხელეებს შორის მოხდა 1920 წ. ზაფხულში. როცა რკინისგზელთა გაფიცვასთან და მაშინ ჯერ კიდევ მთლიან შრომის ფედერაციის დევნასთან დაკავშირებით. საფრანგეთის მთავრობამ მოსთხოვა სახელმწიფო მოხელეებს გამოსვლა კონფედერაციიდან და დამოუკიდებელი კავშირების დაარსება პროფკავშირების უმრავლესობა დაემორჩილა ამ მოთხოვნილებას. ის კავშირები კი, რომლებმაც ურჩობა გამოიჩინეს, დაშლილად გამოაცხადეს და მათი აღმასკომები პასუხისგებაში მისცეს.

შრომის გენერალური ფედერაციიდან გამოსვლის შემდეგ (ფედერაცია ჩქარა გაიყო ორ ბანაკად — რეფორმისტულ და უნიტარულ— რევოლიუციონურ შრომის ფედერაციათ). სახელმწიფო მოსამსახურეების პროფკავშირები გაერთიანდენ სახელმწიფო და კომუნალურ მუშა-მოსამსახურეების ნაციონალურ ფედერაციაში.

მაგრამ ამ ორგანიზაციის გვერდით, ნაწილობრივ დარჩენ და ნაწილობრივ კვლავ წარმოიშვენ (რეფორმისტული შრომის ფედერაციის შიგნით) სახელმწიფო მოსამსახურეთა ცალკე კავშირები. მაგრამ მაინც, ყველაზე მძლავრ ორგანიზაციას, რომელიც ამჟამად აკავშირებს 200.000 სახელმწიფო მუშა-მოსამსახურეს წარმოადგენს ნაციონალური ფედერაცია, რომელშიც შედის 68 ცალკე პროფკავშირი. ნაციონალური ფედერაციის შიგნით იბრძვის ორი მიმდინარეობა: მემარჯვენე რეფორმისტული უმრავლესობა და მემარცხენე უმცირესობა, რომელიც სდგას კლასობრივი ბრძოლის ნიადაგზე და თანაუგრძნობს შრომის რევოლიუციონურ ფედერაციასა და კომპარტიას. 1926 წ. დეკემბრის დამლევს ნაციონალური ფედერაციის კონგრესმა 432 ხმით 226 წინააღმდეგ (55 თავი შეიკავა) დაადგინა შეერთებოდა შრომის რეფორმისტულ ფედერაციას. მემარცხენე. უმცირესობამ განაცხადა, რომ ემორჩილება კონგრესის დადგენილებას.

კონგრესზე არავის არ აღუძრავს საკითხი რაიმე წინასწარი პირობების შესახებ რეფორმისტულ შრომის კონფედერაციაში შესასვლელად. ეს საკითხი წამოიჭრა მხოლოდ 1927 წ. აპრილში, ე. ი. რამდენიმე ხნით ადრე იმ დრომდი, როცა ნაციონალურ ფედერაციაში შემავალ ცალკე პროფკავშირებს თავის გადაწყვეტილებით უნდა დაედასტურებია ან უარეყო კონგრესის პრინციპიალური დადგენილება.

შრომის რეფორმისტული კონფედერაციის პირობები. რომლებიც განხილულ იქნენ ნაციონალური ფედერაციის საბჭოს 23 აპრილის დახურულ სხდომაზე. შემდეგია: რეფორმისტულ შრომის ფედერაციაში ახლად შესული ნაციონალური ფედერაცია და მისი წევრები ვალდებული არიან: 1) „ლოიალურად ითანამშრომლონ რეფორმისტულ კონფედერაციასთან. 2) დაიცვან პროფკავშირების ავტონომია და დამოუკიდებლობა. 3) ებრძოლონ პოლიტიკური პარტიების. კერძოთ კი კომპარტიის ჩარევას პროფმოძრაობაში, 4) იცნონ ამსტერდამის ინტერნაციონალი და 5) არ იმსჯელონ და მით უფრო კრიტიკის საგნათ არ გახადონ შრომის კონფედერაციის დამოკიდებულება ნაციონალურ ეკონომიურ საბჭოსა და ერთა ლიგისადმი“.

მაგრამ საეჭვოა, რომ ეს პირობები მიიღონ ნაციონალურ ფედერაციაში შემავალმა მემარცხენე პროფკავშირებმა..

ა. მ—ე.

აღმოსავლეთში

ეგვიპტე და საბჭოთა კავშირი

თუმცა ეს ერთის შეხედვით გასაოცარია, მაგრამ ფაქტია ის გარემოება, რომ ყველაზე მტრულ განწყობილებას საბჭოთა კავშირის მიმართ აღმოსავლეთის ქვეყნებიდან დღემდი ეგვიპტე იჩენდა. საბჭოთა პასპორტის მქონე პირებს ეგვიპტეში შესვლა აკრძალული აქვთ. ეგვიპტეში არ შეუშვეს საბჭ. მეცნიერი პროფ. ვავილოვიც კი, რომელიც მეცნიერული მიზნებით მოგზაურობს აღმოსავლეთის ქვეყნებში. ეგვიპტის ნავთსადგურები დახურულია საბჭოთა გემებისათვის, რომლებიც იძულებული არიან რეიდზე (ნავთსადგურს გარეთ) გაჩერდენ. ეშინიათ არა მარტო საბჭოთა მოქალაქეების დაშვებისა ეგვიპტის ტერიტორიაზე, არამედ სხვა ქვეყნების მოქალაქეებისაც, რომლებიც საბჭოთა გემებით მოვიდენ. რასაკვირველია, ეგვიპტეში საბჭოთა კავშირის მიმართ არსებულ არამეგობრულ და ხშირად მტრულ დამოკიდებულებაში მთავარი „დამსახურება“ მიუძღვის ინგლისის ადგილობრივ ხელისუფლებას, რომელიც ცდილობს როგორმე შეუშალოს ხელი დამონებული ეგვიპტის ურთიერთობას მსოფლიო რევოლიუციის კერასთან — საბჭოთა კავშირთან.

ეგვიპტის ბურჟუაზიული პრესა, რომელიც უმთავრესად უცხოეთის დეპეშათა სააგენტოების (რეიტერისა და ჰავასის) ინფორმაციით იკვებება, განუწყვეტლივ ბრძოლას აწარმოებს კომუნიზმთან. მაგრამ საეჭვოა, რომ ეგვიპტის ჟურნალისტების თუგინდ მცირე ჯგუფს რაიმე წარმოდგენა ჰქონდეს იმის შესახებ, თუ რა არის კომუნიზმი. კაპიტალისტური დეპეშათა სააგენტოები სიამოვნებით აწვდიან მათ ათასჯერ გადაღეჭილ ჭორებს საბჭოთა კავშირის შესახებ, მიწისძვრების, ხანძრების და წყალდიდობის შესახებ, რომელთაც ჩვენში ვითომდა აქვთ ადგილი. მაგრამ ერთი სიტყვითაც არ იხსენიებენ იმ დიდ აღმშენებლობითი მუშაობას, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებთ სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ფრონტზე. ამის შედეგია ის, რომ საბჭოთა კავშირი ეგვიპტის საშუალო ინტელიგენტის და საქმიანი წრეების წარმოდგენაში იღებს ისეთ სახეს, როგორიც ეს ხელსაყრელია ინგლისელ იმპერიალისტებისათვის.

და უცებ ჩვენ მოწამე ვართ რადიკალური გარდატეხისა ეგვიპტის საზოგადოებრივი აზრის განწყობილებაში. ეგვიპტის პრესა, რომელიც თუთიყუშივით იმეორებდა ინგლისურ გაზეთების ჭორებს საბჭოთა კავშირზე, მოულოდნელად ალაპარაკდა საბჭ. კავშირის მნიშვნელოვანი როლის შესახებ მსოფლიო მეურნეობაში, მისი ეკონომიური ზრდის, ამა თუ იმ სახით მასთან ურთიერთობის აღდგენის და სხვ. შესახებ.

ბუნებრივად იბადება კითხვა: რა მოხდა? რით არის გამოწვეული ეს გარდატეხა?

გარდატეხის ფაქტი სულ ადვილი ასახსნელია. უკვე ორი წელიწადია, რაც ეგვიპტე უსასტიკეს ეკონომიურ კრიზისს განიცდის. ეგვიპტის „გამაბედნიერებელმა“ — ინგლისელმა იმპერიალისტებმა — ეგვიპტე გადააქციეს ბამბის ერთ დიდ პლანტაციად და მთელი ქვეყნის კეთილდღეობა ამ ერთ სასოფლო - სამეურნეო პროდუქტს დაუკავშირეს. ამავე დროს ეგვიპტის ბამბას, რომელიც ამ პროდუქტის მსოფლიო მოსავლის მხოლოდ 7 პროცენტს შეადგენს, არ შეუძლია დამოუკიდებელი როლი ითამაშოს მსოფლიო ბაზარზე ბამბის ფასების დაწესების დროს და ამ მხრივ იგი სავსებით არის დამოკიდებული შეერთებული შტატების ბამბის მოსავლისაგან. უკანასკნელ წლების ბამბის მოსავალი შეერთებულ შტატებში მეტად კარგია. ამან გამოიწვია ბამბის ფასების დაწევა მსოფლიო ბაზარზე, რაც საფრთხეს უმზადებს ეგვიპტის მთელ მეურნეობას.

ცხადია, რომ ასეთ პირობებში, ბაზრის გაფართოება, ახალი ბაზრების მოპოება, სიკვდილ-სიცოცხლის საკითხად გადაიქცა ეგვიპტის ბურჟუაზიისათვის.

ეკონომიურმა კრიზისმა ეგვიპტელ პოლიტიკოსებს გაახსენა ზოგიერთი დავიწყებული ფაქტები. მათ გაიხსენეს, რომ ყოფ. მეფის იმპერიას—ახლანდელ საბჭოთა კავშირს — მეოთხე ადგილი ეჭირა ეგვიპტის ექსპორტში. 1913 წ. მაშინდელ რუსეთში ეგვიპტიდან შეტანილი იქნა 22 მილიონი მანეთის საქონელი. ბამბის ექსპორტის მხრივ კი ძველ რუსეთს მესამე ადგილი ეჭირა: გაჰქონდა ეგვიპტის ბამბის მოსავლის ერთი მეშვიდედი. რუსეთიდან ეგვიპტე იღებდა ხე-ტყეს, პურსა და სხვ.

აი ამ ეკონომიური კრიზისის ზეგავლენით ეგვიპტელმა ჟურნალისტებმა დაივიწყეს ის, თუ რას უჩიჩინებდა მათ რეიტერის სააგენტო და მიწისძვრებისა და წყალდიდობას გარდა საბჭ. კავშირში დაინახეს უდიდესი სამრეწველო აღმშენებლობა, სახალხო მეურნეობის მძლავრი ზრდა და, რაც უმთავრესია ეგვიპტის ბურჟუაზიისთვის — დიდი მოთხოვნილება ბამბაზე.

საბჭოთა კავშირმა ეგვიპტეში 1924 წ. შეისყიდა 2.750 ათასი გირ. სტერლინგის ბამბა, 1925 წ.—2.170 ათასი სტერლინგის, 1926 წ.—2.449 ათასის. მაგრამ ამ რაოდენობიდან 1926 წ. მხოლოდ მცირედი ნაწილი—171 ათასი გირ. სტერლინგის ბამბა იქნა შეძენილი უშუალოდ ეგვიპტეში. ბამბის მთელი დანარჩენი რაოდენობა, იმის გამო, რომ ეგვიპტის „ბრძენ“ პოლიტიკოსებს ეშინოდათ საბჭოთა წითელი დროშის გამოჩენისა ეგვიპტის ნავთსადგურებში, შეძენილ იქნა ინგლისში (ლავერპულში).

გასაკვირი არ არის, რომ პრესამ ერთი განგაში ასტეხა ამ საკითხის გარშემო, დეპუტატები შეკითხვებით გამოვიდენ პარლამენტში, საზოგადოებრივი აზრი აღელდა. ამავე დროს გამოირკვა მეტად საგულისხმო ფაქტები.

მაგ., გაზეთი „ას-სიასა“ აქვეყნებს ცნობებს „სუდანის ბამბის სინდიკატის“ (ინგლისური ფირმაა) „სამარცხვინო მახინაციების“ შესახებ. ეს სინდიკატი ეგვიპტის მთავრობაზე გავლენას ახდენს იმ მიმართულებით, რომ უკანასკნელმა არ განაახლოს ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან და ამავე დროს საბჭოთა კავშირის საფეიქრო სინდიკატის წარმომადგენელს ეპატიჟება ხარტუმში სუდანის ბამბის შესასყიდათ. გაზეთი სასტიკად ილაშქრებს ეგვიპტის მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც ივიწყებს ქვეყნის ინტერესებს და თავს ატყუებინებს ინგლისის კაპიტალისტებს.

ეგვიპტის საზოგადოებრივ აზრს ჯერ არ გამოუტანია ლოღიკური დასკვნა შექმნილი მდგომარეობიდან. ჯერ-ჯერობით ლაპარაკია მხოლოდ სავაჭრო ურთიერთობის აღდგენაზე საბჭ. კავშირთან, მაგრამ ნახევრად-კოლონიალური ეგვიპტისათვის, რომელიც უკანასკნელ დრომდი ინგლისის გაფთრებული ანტი-საბჭოთა კამპანიის ასპარეზს წარმოადგენდა, ესეც დიდი მიღწევაა. კლასობრივი ინტერესები უკარნახებს ეგვიპტის ბურჟუაზიას დამოუკიდებელ გზას დაადგეს საბჭ. კავშირთან ურთიერთობის საკითხში და მიუხედავათ კომუნიზმის შიშისა და ინგლისელ იმპერიალისტების სურვილისა სავაჭრო ურთიერთობა აღადგინოს ჩვენთან. ეკონომიური ბლოკადის კედელი, რომლის აღმართვას ლამობს ინგლისის იმპერიალიზმი ჩვენი ქვეყნის გარშემო გაიბზარა კიდევ ერთ ადგილას, სწორეთ იქ, სადაც იგი ყველაზე მტკიცედ მიაჩნდათ ხიკსებსა და ბოლდუინებს.

რ. მ—ა.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

დახმარება მაკედონიის და ბულგარეთის მუშა-მეთამბაქოეთ

მოსკოვი, 21 ივნისი. მაკედონიაში (საბერძნეთი) ლოკაუტი გამოუცხადეს 40.000 მუშა-მეთამბაქოეს. მაკედონიის მუშა-მეთამბაქოეთა ფედერაციის თხოვნით, საბჭოთა კავშირის გემოკვების მუშაკთა კავშირის ცეკამ ლოკაუტ გამოცხადებულ მუშებს გადაუზავნა 2.000 მანეთი.

სოფიაში გაფიცულია თამბაქოს ფაბრიკების 2.000 მუშა, რომლებიც მოითხოვენ 8 საათის სამუშაო დღეს და სამუშაო ხელფასის გადიდებას.

საბჭოთა კავშირის გემო-კვების მუშაკთა კავშირის ცეკამ სოფიის გაფიცულ მუშებს გადაუზავნა 1.000 მან. (ადს).

ონეგინის მუზეუმი

ლენინგრადი, 21 ივნისი. სამეცნიერო აკადემიამ პარიზიდან მიიღო ცნობა ლენინგრადში ონეგინის მუზეუმის დოკუმენტების პირველი პარტიის გადაგზავნის შესახებ. აღნიშნული მუზეუმი მფლობელმა ონეგინმა უანდერძა საბჭოთა სამეცნიერო აკადემიას.

ონეგინის მუზეუმი წარმოადგენს ძვირფას საგანძურს, სადაც დაცულია პუშკინის იშვიათი ხელთნაწერები და აგრეთვე სხვადასხვა ნივთები, რომელთაიც დამოკიდებულება აქვთ პოეტთან.

პუშკინის ხელთნაწერების ლენინგრადში ჩატანა დავალებული აქვთ ჩვენი წარმომადგენლობის დიპლომატიურ კურიერებს [illegible] (ადს).

გადასახადისაგან განთავისუფლება

მოსკოვი, 21 ივნისი. საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა სანადირო გადასახადისაგან გაათავისუფლა იმ რაიონების მოსახლეობა, სადაც ნადირობა შეადგენს არსებობის მთავარ წყაროს (ადს).

თვითმფრინავთა აშენებისათვის

მოსკოვი, 21 ივნისი. ჯეტისუის გუბერნიაში დიდი წარმატებით მიმდინარეობს საშუალებების შეგროვება თვითმფრინავ „ჯეტისუ“-ს ასაშენებლად.

რიაზანის გუბაღმასკომმა და გუბპროფსაბჭომ თვითმფრინავ „რიაზანის მშრომელები“-ს ასაგებად გაიღეს 1.000 მან. მთელ გუბერნიაში შეგროვილია 10.000 მან.-დე.

უკრაინა

ქარიშხალი ბელორუსიაზე

მინსკი, 21 ივნისი. ბელორუსიის ჩრდილოეთ ოლქებზე გადაიარა ქარიშხალმა. მოვიდა ძლიერი წვიმა, რამაც დიდი ზარალი მიაყენა ნათესებს. მდინარე დვინა გადმოვიდა ნაპირებიდან. სულ ბელორუსიაში დაზიანებულია 55,000 ჰექტარი ნათესი და დანგრეულია 200 მეტი შენობა.

მიწადმოქმედების სახ. კომისარიატმა გადასწყვიტა შემოიტანოს ბელორუსიაში მოსახლეობისათვის 90.000 ფ. თესლი. (ადს).

ბელორუსია

„უტრიშის“ კაპიტანის საქმე

ოდესა, 21 ივნისი. შეწყდა გამოძიება თეთრგვარდიელების მიერ ბულგარეთში გატაცებული გემის „უტრიშის“ კაპიტანის ვერეცკის საქმეზე. გამოირკვა, რომ გემის გატაცების დროს ღია ზღვაში, როგორც კაპიტანისათვის, ისე მთელი კომანდისათვის ისეთი პირობები შეიქნა, რომ შეუძლებელი იყო გემის უკან დაბრუნება

ა.-კ. ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ნახრესპუბლიკის მორწყვა

ბაქო, 21 ივნისი. ნახრესპუბლიკის წყლის მარაგის გადიდების მიზნით, აზერბეიჯანის წყალთა სამმართველო ამუშავებს გეგმებს ახალ არხებისა და წყლის აუზების ასაგებად.

ახალი არხებით მოირწყვება 15.000 დესეტინა. (ადს).

თავდაცვის კვირეული

ბაქო, 21 ივნისი. 10 ივლისიდან აზერბეიჯანში დაიწყება თავდაცვის კვირეული. აზერბეიჯანის თავდაცვის ხელისშემწყობი საზოგადოება მართავს პლანერების, მოდელების შეჯიბრს და წრეების დიდ აღლუმს. თავდაცვის ხელისშემწყობი საზოგადოების წევრთა რიცხვი აზერბეიჯანში სჭარბობს 27.000; მარტო წარსულ კვირას ბაქოს საზოგადოებაში ჩაეწერა 1.000 კაცი. მაზრებში გაცხოველებით ეწერებიან საზოგადოების წევრად. (ადს).

დაშნაკელების აგენტის საქმე

ბაქო, 21 ივნის. დასრულდა დაშნაკელების მილიციონერის და აგენტის მიხეილ სოროვანიანცის (იგივე იზრაილოვი) საქმის გამოძიება. სოროვანიანცი პასუხისგებაშია მიცემული სისხლის სამართლის კოდექსის 64 მუხლის ძალით. მას ბრალდება მონაწილეობა კომუნისტების დახვრეტაში 1921 წ. სოფ. ხიზინიანში (ზანგეზურის მაზრა), დახვრეტა მოხდა სახალხოთ, დაშნაკური ტერორის მძვინვარების ხანაში, დაშნაკური რაზმის შტაბის განკარგულებით. დაშნაკებმა მოაწყვეს „ხალხის რისხვის“ ინსცენიროვკა გამართეს ყრილობა, რომელიც მოწყობილი იყო დაშნაკელების აგენტების და მათ შორის იზრაილოვის მონაწილეობით.

დახვრიტეს ამხ. სტეფანე ავანესოვი, თათევოს ტელუნცი და თანამგრძნობი სონა ტარიანცი. დაშნაკელების უკან დახევის შემდეგ, იზრაილოვი იმალებოდა და ცხოვრობდა ბაქოში სხვისი გვარით, სანამ იგი არ დააპატიმრა აზერ. სახელმწ. პოლიტ. სამმართველომ.

იზრაილოვმა თავი არ სცნო დამნაშავეთ და აღიარა მხოლოდ, რომ მსახურობდა დაშნაკელების მილიციაში.

საქმის გამო გამოძახებული იყო 8 მოწმე. დახვრეტის პირადათ მნახველებმა დაამოწმეს იზრაილოვის მონაწილეობა დახვრეტაში.

საქმე გადაეცა აზერბეიჯანის უზენაეს სასამართლოს პროკურატურას და ახლო ხანში გაირჩევა.

პროფკავშირების მონაწილეობა ქვეყნის თავდაცვაში

მოსკოვი, 21 ივნისი. საკავშირო პროფსაბჭოში გამართა პროფკავშირთა ცეკას, თავდაცვა - ავიაქიმის ხელისშემწყობ საზოგადოების და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირი ქვეყნის თავდაცვის საქმეში პროფორგანიზაციების მონაწილეობის საკითხზე..

თათბირმა დაავალა ყველა პროფკავშირების ცეკას გამოიმუშავონ ღონისძიებები, მათი კავშირების თავისებურებებთან შეფარდებით, ქვეყნის თავდაცვის გასაძლიერებლად. პროფკავშირების წევრებს შორის სამხედრო პროპაგანდის საკითხების დასამუშავებლად თათბირმა გამოყო სპეციალური კომისია. (ადს).

პარტიული ცხოვრება

პარტმუშაობის გამოცოცხლება სოფლად

ვინაიდან სოფლის პარტორგანიზაციებში საერთოდ არიან პოლიტიკურად ნაკლებად მომზადებული კომუნისტები, ამიტომ პარტორგანიზაციების წინაშე სდგას კომუნისტების პარტიულად აღზრდის ამოცანა. სწორი პარტიული აღზრდისათვის აუცილებელია, რომ კულტურული და პოლიტიკური დონის ამაღლება მჭიდროდ დაუკავშირდეს კომუნისტების მონაწილეობას პრაქტიკულ მუშაობაში. პრაქტიკული მუშაობის მოთხოვნილება აიძულებს ყოველ კომუნისტს შეუდგეს თვითგანვითარებას იმ დარგში, რა დარგშიაც აქვს მას დავალებული მუშაობის წარმოება.

ამგვარად, სოფლის ყველა კომუნისტების ჩაბმა პრაქტიკულ მუშაობაში ხელს შეუწყობს პარტორგანიზაციის მუშაობის, გაძლიერებას.

სოფლის კომუნისტების აქტიურ პარტმუშაობაში ჩაბმის ერთ-ერთი ფორმა პირველ რიგში უნდა გახდეს საუჯრედო პარტკრება. ყოველ პარტიულ კრებაზე ფართოდ უნდა იქნას განხილული საკითხები და ყველა წევრებმა და კანდიდატებმა უდიდესი აქტიობა უნდა გამოიჩინონ.

მაგრამ ეს პირობა ყოველთვის არ ტარდება, პარტკრებები ხანდახან ატარებენ „კაზიონურ“ ხასიათს და მათი წევრები კრებებს ესწრებიან მხოლოდ პარტდისციპლინის წესით, თვით პარტიულ კრებებზე რიგის წევრები არ იღებენ მონაწილეობას დღის წესრიგში მდგარი საკითხების განხილვაში, კამათში ნაკლებად გამოდიან; კამათში აქტიურ მონაწილეობას იღებენ მხოლოდ მოვალეობის მიხედვით, უმთავრესად ორგანიზაციის ხელმძღვანელები.

ყველაზე უფრო უკეთეს პრაქტიკულ მეთოდად უნდა იქნას აღიარებული შემდეგი მეთოდი: პირველი. პარტორგანიზაციის წევრებს წინასწარ უნდა ეცნობოს პარტკრების დღის წესრიგი, რომ ყოველ კომუნისტს მიეცეს დღის წესრიგში მდგარი საკითხების განხილვის საშუალება. ამასთან ერთად პარტკრებებზე უნდა იქნას დასახული შემდეგი პარტკრების ძირითადი საკითხები და ამასთანავე განმარტებული უნდა იქნას, თუ როგორი მიმართულებით უნდა გადაწყდეს ესა თუ ის საკითხი და რომელი დირექტივებით და ფაქტიური მასალით უნდა ისარგებლონ. მეორე, ძირითადი მომხსენებლის გარდა ყოველი საკითხის შესახებ, რიგის წევრთა და კანდიდატთა შემადგენლობიდან გამოყოფილ უნდა იქნან ერთი ან ორი თანამომხსენებელი, რომლებმაც კოლექტიურად უნდა დაამუშაონ მათზე მინდობილი საკითხები და აუცილებლად უნდა გამოვიდენ თანამოხსენებით. მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი და რთული საკითხების (ღარიბი გლეხობის შეკავშირება, მუშათა გლეხთა უპარტიო აქტივთან, სექციის მუშაობის გაცხოველების ზომები და სხ.). განსახილველად უნდა მოეწყოს ფართო კომისიები; ამ კომისიების წევრთა რიცხვის არა ნაკლებ ნახევარს უნდა შეადგენდენ პარტ. რიგის წევ-ბი და კანდიდატები. შემდეგ, პრაქტიკული საკითხების შესახებ შემუშავებული რეზოლიუციის ყოველი პუნქტი ფართოდ და ზედმიწევნით უნდა იქნას განხილული. თუ რეზოლიუციის შესამუშავებლად შეიქმნება კომისია, მასში აუცილებლად უნდა იქნას შეყვანილი რიგის წევრი. კამათში აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღებით მოეპყრან პირველად გამოსულ ამხანაგებს, და თუ იგი გამოსთქვამს შემცდარ შეხედულებას. ეს შეხედულება დიდის სიფრთხილით უნდა იქნას უარყოფილი—მას უნდა მიეცეს საშუალება იმისა, რომ ნამდვილად შეიგნოს თავისი შეხედულების შეცდომა. ამგვარად, პარტკრების გამოცოცხლება მნიშვნელოვნად გააძლიერებს პარტორგანიზაციის წევრთა აქტიობას. მაგრამ ეს არ არის საკმაო. პარტკრებების გამოცოცხლების გარდა, აქტიურ პარტმუშაობაში ჩასაბმელად აუცილებელია სწორად უნდა იქნას განაწილებული პარტმოვალეობა წევრებს შორის. ყოველ წევრს უნდა დაევალოს განსაზღვრული სამუშაო. რომ ორგანიზაციის ყოველი წევრი გრძნობდეს პასუხისმგებლობას თავისი ორგანიზაციის მუშაობისათვის, აუცილებელია, რომ პრაქტიკულ მუშაობას ასრულებდეს არა მარტო პასუხისმგებელი მდივანი, არამედ ყოველი მორიგი წევრი. პარტდატვირთვა უმეტეს შემთხვევაში მდგომარეობს ტეხნიკურ მუშაობის დავალებაში, როგორც მაგალითად: მორიგეობა ქოხ-სამკითხველოში, საწევრო გადასახადების შეკრება, ოქმების გადაწერა და სხ. უფრო სერიოზულ მუშაობას მორიგ წევრს არ ავალებენ, იმ მოსაზრებით, რომ იგი ვერ შესძლებს შესრულებას, საქმეს აურევსო.

ზემოხსენებული მუშაობის ჩატარება საგრძნობლად შეუწყობს ხელს სოფლის პარტორგანიზაციების მუშაობის გაძლიერებას.

ძაგანია.

კანდიდატთა ჯგუფების მუშაობა

კანდიდატთა ჯგუფების მუშაობა ერთ იმ საკითხთაგანს წარმოადგენს, რომელიც ჩვენი ქვედა ქსელის პარტორგანიზაციების ყველაზე ნაკლებ ყურადღებას იპყრობს. ამავე დროს კანდიდატთა ჯგუფების მუშაობას უაღრესი მნიშვნელობა აქვს პარტიულ ქსელის გაძლიერების და ორგანიზაციის ჯანსაღი ზრდისათვის.

იშვიათად თუ ნახავთ პარტიულ ორგანიზაციის დღის წესრიგში საკითხს კანდიდატთა ჯგუფების მუშაობის შესახებ. ეს ჯგუფები უმეტეს შემთხვევაში არანაკლებ დამოუკიდებლათ მუშაობენ, ვიდრე პარტუჯრედები.

ამიტომ ხდება, რომ კანდიდატთა ჯგუფების მხრივ ხშირად აქვს ადგილი სხვადასხვა მავნე გადახრებს, როგორც პოლიტიკურ მუშაობის, ისე ზნეობრივ დარგში, რაიც საგრძნობლად აფერხებს პარტიის ნორმალურ მუშაობას. ორგანიზაციები უმეტეს შემთხვევაში კანდიდატთა ჯგუფებს ხელმძღვანელობენ თითო-ოროლა პარტიულ ამხანაგების მიმაგრებით. მაგრამ ხშირათ ეს მიმაგრება უფრო ფორმალური ხასიათისაა.

აუცილებელია ამ საკითხს მეტი ყურადღება მიაქციონ პარტორგანიზაციებმა. კანდიდატთა ჯგუფები არც თავიანთ შემადგენლობით, არც თავიანთი მუშაობით ბევრ შემთხვევაში არ ამართლებენ მათ დანიშნულებას. თბილისის კომიტეტმა ამ დღეებში შეიმუშავა და დაუგზავნა ადგილობრივ ორგანიზაციებს დებულება კანდიდატთა ჯგუფების მუშაობის შესახებ.

საჭიროა თბილისის ორგანიზაციის მაგალითს სხვებმაც მიბაძონ. საჭიროა დებულება კანდიდატთა ჯგუფების მუშაობის შესახებ გულდასმით იქნას შესწავლილი და მტკიცეთ გატარდეს ცხოვრებაში. სამაზრო და სარაიონო პარტიულ კომიტეტებმა ამ მხრივ გარკვეული მითითებანი უნდა მისცენ ქვედა საფეხურის პარტორგანიზაციებს.

გ. ბ—ი.

თბილისის ორგანიზაციის გზით

(ჭიათურის სამრეწველო რაიონი)

სამაზრო ცენტრის ზესტაფონში გადასვლის შემდეგ ჭიათურაში ჩამოყალიბდა ქალაქის პარტიული კომიტეტი, რომელიც აერთიანებს რამოდენიმე მუშურ უჯრედს. აღსანიშნავია რაიკომის ახალი მეთოდი პარტიული მუშაობის დარგში. მან ამ თვე ნახევრის განმავლობაში ჩაატარა რამოდენიმე თათბირი უჯრედის მდივნებისა, ბიუროს წევრების თანდასწრებით, სადაც დამუშავებული იქნა მთელი რიგი პრაქტიკული საკითხებისა, როგორიც არის მიმაგრების და უჯრედის კრებებზე თავმჯდომარეობის არჩევითი წესის შესახებ.

უკანასკნელი საკითხების გარჩევაში ჭიათურის ორგანიზაციამ წაბაძა თბილისის ორგანიზაციებს, რამაც სასურველი ნაყოფი გამოიღო. პარტმუშაობის ახალი მეთოდით აქ ეხლა ასეა, თუ რომელიმე უჯრედის წევრს სურს ამა თუ იმ საკითხის დასმა სხდომაზე, ამის შესახებ რამოდენიმე დღის წინად იგი მიმართავს უჯრედის ბიუროს, რათა ეს საკითხი უფრო შემუშავებული და შესწავლილი დაისვას კრებაზე. ამით უჯრედს საშუალება ეძლევა დროზე გაათავონ თავისი სხდომა და, როგორც დღემდე ხდებოდა, როცა უჯრედის სხდომაზე მოულოდნელად წამოჭრილ საკითხებზე უხდებოდათ რამოდენიმე საათების გაცდენა, ასე მომავალში აღარ განმეორდება.

კ. სვერელი.

ხშირად ასეთი სტუმრობა

(საგარეჯო, გარე-კახეთი)

ამას წინად საგარეჯოში ჩამოვიდენ საქართველოს კომპ. ცენტრ. საკონტროლო კომისიიდან ამხ. პ. კერვალიძე და თბილისის კომიტეტიდან ამხ. ლომიძე. საგარეჯოს სახალხო კლუბში მოწვეული იყო უპარტიო გლეხთა კრება. კრებას დაესწრო მრავალი ღარიბესი და საშუალო გლეხები. ამხანაგებმა თავიანთ მოხსენებებში გააცნეს გლეხებს რევოლიუციონური კანონები.

ამის შემდეგ ისინი შეეკითხენ უპარტიო გლეხებს, თუ როგორ ექცევიან მათ პარტიული ამხანაგები, ჩაგრავენ თუ არა მათ და იყო თუ არა შემთხვევა, რომ პარტიულმა გაყიდა მიწა? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა გადადებულ იქნა შემდეგი დღისათვის. მთელი გლეხობა ძლიერ დააინტერესა ამხანაგების მოხსენებებმა.. გლეხებმა ამხანაგებს მიაწოდეს მრავალი საიდუმლო ცნობები ზოგიერთ პარტიულების შესახებ, რაზედაც იქნა მიღებული ზომები: ზოგი მათგანი გაირიცხა პარტიიდან და ზოგს გამოეცხადა საყვედური.

სასურველია ასეთი ამხანაგები ხშირად ესტუმრებოდეს ჩვენ სოფლებს.

გ. თამაზაშვილი.

დღეს, ოთხშაბათს, 22 ივნისს, სალ. 6 ს, საკავშირო კომპარტიის ა.-კ. საოლქო კომიტეტის შენობაში შესდგება ქალთა შორის მომუშავეთა ა.-კ. **თათბირის უკანასკნელი სხდომა** უჯრედების ქალ - ორგანიზატორებთან ერთად

დღის წესრიგი:

ამხ. მამია ორახელაშვილის

მოხსენება

საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ

მზადება ზაჰესის საზეიმო გახსნისათვის

გუშინ შესდგა ზაჰესის საზეიმო გახსნის ხელმძღვანელ კომისიის მორიგი სხდომა, რომელზედაც განხილულ იქნა ზაჰესის გახსნის ზეიმის გეგმა და ამასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

სხდომაზე დამტკიცებულია **ა. ახმეტელის** მიერ წარმოდგენილი ზეიმის გეგმა.

ზაჰესის გახსნის წინ

კომისიის მიერ მიღებული გეგმა ითვალისწინებს შემდეგს: 26 ივნისს საღამოს ზაჰესში ხალხი თავს მოიყრის ლენინის ძეგლთან. ძეგლთან გამართულ მიტინგზე რამოდენიმე სიტყვის წარმოთქმის შემდეგ მოხდება ძეგლის გახსნა. ძეგლის გახსნისთანავე ფარების ქვემოთ დაწევის საშუალებით წყალს გადაუშვებენ მთავარ არხში. ამ დროს შესრულებულ იქნება „ინტერნაციონალი“ და კანტატა „ზაჰესი“.

ამით დასრულდება ზაჰესის გახსნა.

როგორ იქნება მორთული ზაჰესი

ზაჰესის მთავარ შესავალთან მოწყობილი იქნება საზეიმო თაღი, რომელიც გამოხატავს მიუდგომელ ციხე-სიმაგრეს (მშრომელთა დაცვის სიმბოლო) თაღი აგებული იქნება ქართულ სტილზე.

გარდა ამისა მორთული იქნება ზაჰესის მთავარი შენობანი, მთავარი არხი მთელ სიგრძეზე და მტკვრის ნაპირები ზაჰესის ტერიტორიაზე.

ილიუმინაცია

ზაჰესის მახლობელ გორაკებზე დაიდგმება პროჟექტორების მთელი წყება, რომელთა საშუალებით გაანათებენ ზაჰესის მთელ ტერიტორიას.

საგენერატორო სადგურის გასწვრივ გორაკზე დაიდგმება ძლიერი პროჟექტორები და მათის საშუალებით განათებული იქნება თბილისი.

ზაჰესის ტბის თავზე, შუა ადგილას ჩამოკიდებული იქნება დიდი ხელოვნური ვარსკვლავი, რომელიც გაანათებს ტბის მთელ სივრცეს, მთავარ კაშხალიდან მდინარის გადმოხეთქვის ადგილი განათდება ფერადი სინათლეებით, რაც შექმნის ცისარტყელას შთაბეჭდილებას. ლენინის ძეგლი განათებული იქნება ფერადი სანათურებით.

ზეიმის პროგრამა

ზაჰესის გახსნის ზეიმის მთავარ ადგილათ ამორჩეულია ლენინის ძეგლის მახლობელი სივრცე, რომელიც დაყოფილი იქნება დანომრილ მოედნებით. გადაწყვეტილია ზეიმს მიეცეს სახალხო ხასიათი. ამიტომ გახსნის ზეიმზე ჩატარებულ იქნება ხალხური თამაშობანი, როგორც მაგალითად ბერიკაობა, ყეინობა, ფარიკაობა და სხ.

ბერიკაობა შესრულებული იქნება სოფ. დიღმის გლეხების მიერ 15 მორთული ურმით. დიღმელები შეხვდებიან მცხეთელებს და გაიმართება ბერიკაობის მთავარ პერსონაჟთა პაექრობა. ბერიკაობაში მონაწილეობენ: არლეკინი—ბერიკა „ღორის“ ნიღაბში, შეყვარებული კოლომბინა—კეკე, უნცროსი არლეკინები, მღვდელი და პოლიციელი.

ზეიმზე გამოვა ჯოხებზე შემდგარი რაზმი 40 კაცისაგან. ისინი ჩაცმულ იქნებიან ერთა ლიგაში შემავალ სახელმწიფოთა ფორმებში. ცალკე იქნება წარმოდგენილი „შუბლმაგართა“ ანუ ყოჩების ბრძოლა. ორი ყოჩს გაკეთებული ექნება ჩემბერლენისა და ბრიანის ნიღაბი, ხოლო მათ მოწინააღმდეგე ყოჩების წყვილს—ხიქსისა და საროს ნიღაბები. შემთანხმებელთა ბრძოლა წარმოდგენილი იქნება ორი მამლის წაჩხუბებით. მამლებს გაკეთებული ექნებათ მეორე ინტერნაციონალის ემბლემები.

ზაჰესის ტბაზე ჩაუშვებენ გუდებს, რომელზედაც ზემოდან გადაკრული იქნება ფიცრები. ფიცრებზე დააჯდენენ კინტოებს. კინტოები ითამაშებენ მოკლე მოკლე ინტერმედიებს და წაიკითხავენ სცენებს.

ზეიმზე მონაწილეობას ღებულობენ გარმონზე დამკვრელები, კინტოები, სახალხო გუნდები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან, გლეხური გუნდები, სახალხო მოცეკვავეები ცირკის მსახიობები, ბალეტი, რაჭიდან მოწვეული მესაზანდრეები, მეჭიანურეები ქართლიდან და კახეთიდან, სასულე ორკესტრები, მეარღნეები და სიმფონიური ორკესტრი ი. ფალიაშვილის ხელმძღვანელობით.

ზაჰესის გახსნის ზეიმი დასრულდება ყეინობის გამართვით.

თბილისში

26 ივნისს მთელი ქალაქი მორთული იქნება საზეიმოთ. საღამოს ქალაქის სხვა და სხვა ადგილას ქუჩაში დაუკრავენ სამხედრო ორკესტრები.

განსაკუთრებულად იქნება მორთული სასახლე და აღმასკომის შენობა.

მუშათა მასიური ექსკურსიები ზაჰესში

კვირას, 26 ივნისს, ზაჰესის საზეიმო გახსნის დღეს საქ. პროფკავშირთა საბჭო აწყობს დიდ მასიურ ექსკურსიას.

ექსკურსანტებისათვის დანიშნულია 4 სპეციალური მატარებელი, რომელთაგან პირველი თბილისიდან გავა დილის 9 საათზე 24 წუთზე, მეორე—ნაშუადღევის 2 საათზე, მესამე—ნაშუადღევის 2 საათზე 45 წუთზე და მეოთხე—საღამოს 4 საათზე 25 წუთზე.

მსურველმა ექსკურსანტმა ხვედრითი ფული უნდა შეიტანოს ადგილკომში, იქიდან კი წარდგენილ იქნეს კულტგანყოფილების საექსკურსიო ბიუროში არა უგვიანეს 24 ივნისისა დილის 10 საათამდე. ფაბქარხადგილკომების წევრები სარგებლობენ უფასო მგზავრობით. ცენტრალურმა გამგეობებმა კულტგანყოფილებაში უნდა წარადგინონ ფაბქარხადგილკომების წევრების სიები, რის შემდეგაც მათ მიეცემათ სამგზავრო ბარათები. სიები წარდგენილთ უნდა იქნეს 23 ივნისამდე.

ექსკურსანტები საჭირო სურსათს ყიდულობენ თვითონ, რადგან მუშკოოპის მიერ მოწყობილი ბუფეტები ყველას ვერ დააკმაყოფილებენ.

ექსკურსიის კარგათ ჩატარების მიზნით პარასკევს, საღამოს ექვს საათზე კულტგანყოფილებაში შესდგება ძირითად ორგანიზატორების თათბირი, რომელთაც გამოყოფენ კავშირები. და რომელთა დასწრებაც სავალდებულოა, სხდომას დაესწრებიან აგრეთვე სხვადასხვა წრეების ხელმძღვანელები.

ექსკურსიის ჩასატარებლად დანიშნულია კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. **ქუთინძერი, ორჯონიკიძე, ზვარამაძე. გურული და სალიაშვილი**.

ექსკურსიის პასუხისმგებელ ხელმძღვანელად დანიშნულია ამხ. **ქუთინძერი**.

ქალთა შორის მომუშავეთა ა.-კ. თათბირი

გუშინ საღამოს სხდომაზე მოსმენილი იქნა ამხ. მარიამ ორახელაშვილის მოხსენება „ყოფა-ცხოვრების“ საკითხებზე.

ერთ-ერთი ამოცანათაგანი ოქტომბრის რევოლიუციის და პროლეტარიატის დიქტატურისა, ამბობს მომხსენებელი, არის ძველი ყოფა-ცხოვრების ნანგრევებზე ახალი ყოფა-ცხოვრების შექმნა. ჩვენი ახალი ყოფა-ცხოვრება შესაძლებელია განვითარდეს მხოლოდ სოციალისტური წარმოების საფუძვლებზე. ახალი ყოფა-ცხოვრების ჩანასახები წარმოებაში განმტკიცდება საწარმოო თათბირების, ბავშთა თავშესაფრების, ქალთა კონსულტაციის და საბავშო ბაღების შექმნით. ყოფა-ცხოვრება წარმოების გარეშე უნდა ეწყობოდეს საზოგადოებრივ ორგანიზაციების განვითარების გზით, კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებით (კლუბი, კინო, თეატრი).

ზოგიერთ ქალთათვის საჭიროა გაიმართოს ქალთა კლუბები, ქალთა კუთხეები, სადაც უნდა მოეწყოს საბავშო ოთახები. ქალთა ყოფა-ცხოვრება არ შეიძლება გარდაიქმნას მანამდე, ვიდრე არ განვითარდება ის შენები, რომ იმავე თანხით და ნაკლები შრომით, რომელიც იხარჯება ოჯახში, შეიძლება საზოგადოებრივი სამზარეულოს, სამრეცხაოს, სასადილოს და აღმზრდელობითი ორგანიზაციების მოწყობა.

პროლეტარულ ოჯახში, განაგრძობს მომხსენებელი. ახალი ყოფა-ცხოვრების ნაკადის შეტანა უნდა ხდებოდეს ბავშთა საზოგადოებრივ კვებით და აღზრდით და ამასთანავე ახალი მუშათა სახლების და საიჯარო საბინაო, კოოპერატიულ ამხანაგობათა საშუალებით.

ეხება რა სოფლად ახალი ყოფა-ცხოვრების გატარების საკითხს, ამხ. მარიამ ორახელაშვილი ამბობს, ახალი ყოფა-ცხოვრების გატარება სოფლად რთული და ძნელი საქმეა. აქ საუკეთესო საშუალებად უნდა ჩაითვალოს სეზონური მუშაობის დროს ბავშებზე ზრუნვა-პატრონობა, (კოოპერატიულ ორგანიზაციების, ღარიბთა ჯგუფების და დელეგატ ქალების საშუალებით). სოფლად ჯერ კიდევ დარჩენილია მავნე ჩვეულებათა ნაშთები. ისინი მჭიდროთ არიან დაკავშირებული სარწმუნოებრივ მომენტთან. მათთან ბრძოლა მოითხოვს განსაკუთრებულ მიდგომას.

ყოველივე ამ საქმეში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს კომკავშირმა, რომელმაც სოფლად უნდა მოახდინოს კულტურული რევოლუცია და უნდა გარდაქმნას ძველი პატრიარქალური ზნე-ჩვეულებანი ახალი ყოფა-ცხოვრების ფორმებათ.

ვ. დ.

კომკავშირში

მძინარე უჯრედი

(სამტრედია, 8 ილორის უბანი)

ილორის უბანში ა. ლ. კ. კ. კავშირის მიერ 1925 წლის ივლისში გამოშვებული იქნა ორკვირეული კედლის გაზეთი „სოფლის გუშაგი“-ს სახელწოდებით.

აგერ თითქმის ორი წელი სრულდება მას შემდეგ, რაც ილორში არსებობს ეს გაზეთი და ამ ხნის განმავლობაში არის სულ გამოშვებული 20-დე ნომერი.

გაზეთი გამოდის თვეში ერთხელ, ხან კი სულ არა.

მოხდება თუ არა ახალი არჩევნები, კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიისა, ახალი კოლეგია ორ-სამ თვეს აწარმოებს გაზეთის გამოშვებას და შემდეგ სულაც ძილს ეძლევა.

ასეთ ძილში წარსულ შემოდგომაზე არჩეული კოლეგიაც, რომელმაც ძილს გაზეთი კი არა, ჩარჩოც ჩამოიღო და სამუდამოდ ჩააბარა არქივს.

როგორც ვსთქვით გაზეთის გამოშვებას ილორში ხელმძღვანელობს ადგილობრივი კომკავშირი. კარგი იქნებოდა სამტრედიის რაიონულ კომიტეტს გამოეფხიზლებია ძილის მოყვარული ჭაბუკები.

სერგო—ძე.

მუშაობა გამოცოცხლდა

(ქ. ზუგდიდის მაზრა, ს. ხორგა)

ს. ხორგაში პიონერთა კოლექტივი დაარსდა 1924 წელს. პირველ ხანებში პიონერთა შორის მუშაობა კარგად მიმდინარეობდა, რაც უნდა მიეწეროს კარგ ხელმძღვანელის ენერგიას. მაგრამ 1925 წლის შემდეგ პიონერთა კოლექტივი [illegible], ბოლო დროს მთელი 1 ნახ. წლის განმავლობაში მუშაობა სულ არ მიმდინარეობდა, არც ხელმძღვანელი ჰყავდა კოლექტივს, ვინაიდან ძველი ხელმძღვანელი სხვაგან იქნა გადაყვანილი.

1926 წლის მიწურულს და 1927 წლის პირველ ნახევარში ჩვენ ვხედავთ პიონერთა კოლექტივის კვლავ გამოცოცხლებას. პიონერთა რიცხვი 65 აღწევს. მათ შორის უმეტესობა ოქტომბრელებია. კოლექტივი არის დაყოფილი რგოლებად. რგოლს თითო ხელმძღვანელი ჰყავს ისევ პიონერებისაგან, პიონერთა კოლექტივის საერთო ხელმძღვანელია 7 წლედის გამგე ვ. ლომაია.

ერთ-ერთი ნაკლი აქაურ პიონერებისა იმაში მდგომარეობს, რომ მათ არა აქვთ საკუთარი კედლის გაზეთი და არც პიონერთა ჟურნალი აქვთ გამოწერილი.

ვიქტორ მირცხულავა.

კონფერენცია სკოლის ჰასაკამდე აღზრდის შესახებ

მეექვსე და მეშვიდე დღე

მეექვსე და მეშვიდე დღეს კონფერენციის დელეგატები ეცნობოდენ თბილისის საბავშო ბაღებს და საბავშო დაწესებულებებს, ხოლო საღამოობით გრძელდებოდა დღის წესრიგში დასმული საკითხების განხილვა.

უკანასკნელ სხდომებზე განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: „შრომა საბავშო ბაღში“ და „ბუნება სკოლის ჰასაკამდე აღზრდის დაწესებულებებში“. ამ საკითხების შესახებ წამოყენებული იქნა გარკვეული თეზისები, რომლის გარშემოც სწარმოებდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

შრომა საბავშო ბაღში

ბავში,—ნათქვამია კონფერენციის მიერ განხილულ და დამტკიცებულ თეზისებში, თავისი ბუნებით აქტიურია, იგი მუდამ მოძრაობაშია, მუდამ მისწრაფვის რამე გააკეთოს. გასასვლელს იგი ჰპოულობს თამაშში. ამ თამაშში არის შრომის მოთხოვნილებათა ჩანასახი. საჭიროა ამ გარემოების გამოყენება და საბავშო ბაღის ცხოვრების ისე წარმართვა, რომ ბავშს თანდათანობით განუვითარდეს მიდრეკილება შრომისადმი. საბავშო ბაღში შრომა ბავშისათვის უნდა იქნეს ფიზიკურად ასატანი, შესაძლებელი, როგორც იარაღების ხმარებით, ისე შრომის ხანგრძლივობის თვალსაზრისით. შრომა ბავშისათვის უნდა იქნეს საინტერესო და საჭირო. ბავშმა უნდა გააკეთოს ის საქმე, რომელსაც საჭიროებს საბავშო ბაღის ცხოვრება, რომლის მნიშვნელობა მისთვის გასაგები და მისაწვდომია. შემდეგ ჩამოთვლილია სხვადასხვაგვარი შრომა, რომელიც შემოღებული უნდა იქნეს საბავშო ბაღებში.

ბუნება სკოლის ჰასაკამდე აღზრდის დაწესებულებებში

სკოლის ჰასაკამდე აღზრდის საქმეში დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს ბუნებას, რადგან იგი მთელი თავისი მრავალფეროვნებით დიდ გავლენას ახდენს ბავშის ორგანიზმზე და ქმნის მის ხასიათს. ბუნება ერთი მთავარი ფაქტორთაგანია ბავშის რეალისტური მსოფლმხედველობის განსავითარებლად. იგი ბავშს საშუალებას აძლევს გამოამჟღავნოს თავისი კვლევაძიებითი ინსტიქტი, დააკმაყოფილოს მისი ცნობისმოყვარეობა და გაავითაროს მასში დაკვირვების ნიჭი. ბუნებაში ყოფნა, მის წიაღზე შრომა და თამაში ბავშის ფიზიკური განვითარების და გაჯანსაღების მთავარ საშუალებას წარმოადგენს. თავის გარე-გრძნობების განსავითარებლად ბავში ბუნებაში პოულობს მრავალფეროვან და მდიდარ მასალას. შემდეგ თეზისებში მოცემულია ის მეთოდები, რომლებიც უნდა გამოიყენონ პედაგოგებმა ბავშების ასაღზრდელად ბუნების წიაღში.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ვენახების საწამლ მასალის ნაკლებობა

ქუთაისი, 20 ივნისი. ქუთაისის მაზრაში და, საერთოდ, დასავლეთ საქართველოში ვენახების საწამლ მასალების დიდი კრიზისია. ყოველმხრიდან მოდის საჩივრები გოგირდის და განსაკუთრებით, შაბიამნის ნაკლებობის შესახებ. ჩვეულებრივ ვენახებს რწყავენ სეზონში სამჯერ. წელს კი გამუდმებული წვიმების და სიცივეების გამო, გლეხები იძულებული ხდებიან უწამლონ ვენახებს ოთხჯერ მაინც. პირველი წამლობა უკვე ყველგან დასრულდა, მეორე და შემდგომი წამლობისათვის კი მასალა საკმაო აღარ არის.

ქოხ-სამკითხველოების გამგეთა მომზადება

ოზურგეთი, 20 ივნისი. გაიხსნა ორკვირეული კურსები ქოხ - სამკითხველოების გამგეთა მოსამზადებლად. კურსები ნავარაუდევია 40 კაცისთვის (ადს).

ტყეების მოწყობა

ოზურგეთი, 20 ივნისი. მუშაობა გურიის ტყეების მოსაწყობად (75.000 დესეტინ. სივრცეზე) სწარმოებს დაკვრითი წესით, მოსახლეობისა და სამაზრო სატყეოს დახმარებით. დამთავრებულია მოწყობა სამი სატყეო აგარაკისა: საშების, ზომლეთის და ჩოჩხათის.

გურიის ყველა ტყეების მოწყობა ნავარაუდევია მოთავდეს მიმდინარე წლის აგვისტოს ნახევრისათვის. (ადს).

აბრეშუმის ახალი ფაბრიკა

ოზურგეთი, 20 ივნისი. ჩაეყარა საძირკველი აბრეშუმის ამოსახვევ ახალ ფაბრიკას. (ადს).

რადიო-მიმღები სოფლისთვის

თელავი, 20 ივნისი. მთავპოლიტგანისაგან ალმასკომის მიერ მიღებულია 4 რადიო-მიმღები, რომლებიც იდგმება: ახმეტაში (პანკისის ხეობის კარი), ჯოყოლოში (პანკისის ხეობის ცენტრი, დასახლებული ქისტებით, ოსებით, ხევსურებით და სხვა მთიელებით), ყვარელში და ხაფიჩეულში.

სასოფლო ბაზრობა

თელავი, 20 ივნისი. 19 ივნისს სოფ. კურდღელაურში გაიხსნა ბაზრობა, რომელშიაც გაცხოველებული მონაწილეობა მიიღეს ხევსურებმა, თუშებმა და ლეკებმა. ბაზრობაზე აღინიშნა სიმრავლე მსხვილ და წვრილ რქოსან პირუტყვის და დიდი მოთხოვნილება მუშა - ცხენებზე (ადს).

აბრეშუმის პარკის მოსავალი

თელავი, 20 ივნისი. წელს მთელ კახეთში გამოყვანილ იქნა 5.000-მდე კოლოფი აბრეშუმის თესლი. ამინდი ძლიერ უწყობდა ხელს ჭიების გამოკვებას. თესლი კარგი გამოდგა. მოსალოდნელია კარგი მოსავალი. (ადს).

ქერის მკა

თელავი, 20 ივნისი. მთელ რიგ სოფლებში ალაზნის გაღმა შეუდგენ ქერის მკას (ადს).

წითელ პედაგოგების მომზადება

გორი, 20 ივნისი. გორის პედაგოგიურ ტექნიკუმში მოხდა 23 წითელი პედაგოგის მეორე გამოშვება; მათ შორის 11 ქალია.

მომავალ სამოსწავლო წლიდან ყველა კურსდამთავრებულები გაიგზავნებიან მასწავლებლებად სხვადასხვა თემებში (ადს).

სამხრეთ ოსეთში

ყოფა-ცხოვრებრივი დანაშაულობანი

ცხინვალი, 20 ივნისი. სამხრეთ-ოსეთის ცაკმა მიიღო სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლების დამატებითი პროექტი ყოფა-ცხოვრებრივ დანაშაულობათა შესახებ. (ადს).

ყრილობა კავკავში

ცხინვალი, 20 ივნისი. კულტურისა და განათლების საკითხების განსახილველად მოწვეული ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის წარმომადგენელთა ყრილობა, რომელიც უნდა გახსნილიყო თიბათვის 20-ში, გადატანილია შემოდგომაზე. (ადს).

წერილები

აბანოს საქმე საბჭომ მოაწესრიგოს

(საგარეჯო, გარე კახეთი).

ჩვენ სოფელში არის აბანო, რომლითაც სარგებლობდა როგორც ადგილობრივი გლეხობა, აგრეთვე ჩამოსული მოსამსახურენი. ეს აბანო თითქმის 2 წელიწადია დაკეტილია, იმიტომ რომ აბანოზედ გადასახადი ბევრი იყო და პატრონი იძულებული გახდა, რომ აბანო დაეკეტა. იმედია ადგილობრივი სათემო საბჭო ჩაერევა ამ საქმეში და მოაწესრიგებს საქმეს.

გიორგი თამაზაშვილი.

როდის გაარჩევთ ამ საქმეს?

(ქ. სენაკი)

ს. უშაფათის მცხ. შარვან გაბუნიას განცხადება მიწაზე უფლების აღდგენის შესახებ, რომელიც მან მისცა სახ. სასამართლოს გასული წლის მაისში—დღესაც გაურჩეველია, განცხადება აგდია უშედეგოთ.

საქმისადმი ასეთი დამოკიდებულება დაუშვებელია. საჭიროა ეს საქმე საჩქაროდ გაირჩეს.

მეხი.

—:—

საკურორტო სამმართველო, გვიპასუხე

დასავლეთ საქართველოს დაბალ და ჰაობიან ადგილების მოსახლეობას რომ წყალტუბო არ ჰქონდეს, მცხოვრებთა 80 პროცენტი დაავადებული იქნებოდა. თითქმის ყოველ ოჯახში ნახავთ სამ-ოთხ წევრს, რომელთაც ესაჭიროება წყალტუბოს წყლებით აქიმობა. გასულ წელში დამზღვევი სალაროს წევრებს და მათ ოჯახებს შესაფერი და სამართლიანი შეღავათი ქონდათ ამ წყლებით სარგებლობის დროს; უფასოთ ეძლეოდათ აბაზანები და ბინა, ეს გარემოება საშუალებას აძლევდა მუშა-მოსამსახურეებს დროზე მიეღო ზომები თავის და ოჯახის წევრების აქიმობისათვის. წელს ქუთაისის დამზღვევი სალაროს განკარგულებით მთელი სეზონის განმავლობაში, მხოლოდ 25 ადგილია. ამ განკარგულებას არავითარი გასამართლებელი საბუთი არ აქვს და დაუყოვნებლივ უნდა იქნეს შეცვლილი. დასავლეთ საქართველოს მოსახლეობისათვის სამკურნალო წყლებით სარგებლობა შეადგენს პირველ მოთხოვნილების საგანს. მუშა-მოსამსახურეთა უმეტესი ნაწილი თავისი ხარჯით ვერ ისარგებლებს სამკურნალო წყლებით.

ამ გარემოებას უნდა მიექცეს საჩქარო და საჭირო ყურადღება და მოგვარდეს ისე, როგორც ამას მოითხოვს მშრომელის ინტერესები.

დაინტერესებული.

წერილებიდან

— **წყალდიდობა გვაზარალებს** (ოზურგეთის მ.). წვიმების დროს მდ. სუფსა დიდ ზარალს აყენებს გლეხობას. მდინარე გადმოდის ნაპირებიდან და დამწიფებული ყანები მიაქვს. საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს. მდ. სუფსას აქვს ზოგან დაბალი ნაპირები, საიდანაც გადმოდის წყალი, ეს ადგილები უნდა იქნეს გამაგრებული. წყალთა სამმართველომ და სამაზრო აღმასკომმა უნდა ითავონ ეს საქმე, გლეხობა კი ყოველგვარ დახმარებას გაუწევს.

ბ. შაფათავა.

— **თემის მდგომარეობა.** (პატარძეული, გარე-კახეთი). ეს თემი ახალი გამოყოფილია სართიჭალიდან. ამ უკანასკნელ წლებში თემს დასჩემდა მოუსავლიანობა. ვენახები სრულიად ახმო ფილოქსერამ. წელს მოსავალს უკეთესი პირი უჩანს. გლეხები იმედობენ, რომ მომავალში არ ექნებათ საჩრო საყიდელი. სწარმოებს ვენახების ხელმეორეთ გაშენება. რგავენ ამერიკულ ჯიშის ვენახებს. უწყლობა დიდ ზიანს აყენებს სოფელს. აგრეთვე საჭიროა მთავრობის დახმარება არხის გასაყვანად.

ს. ცაიშვილი.

— **სახ. სახლის გახსნა.** (ს. ღანირ - ქუტირი, ქუთ. მ.). 4 ივლისს მოხდა ღანირ - ქუტირის სახალხო სახლის საზეიმო გახსნა. სახლი შენდება ორი წელიწადია და ახლა დამთავრდა. შენობა სულ დაჯდა 14.630 მან.; აქედან მთავრობამ დაგვეხმარა 3.000 მანეთით, გლეხობამ გაიღო 5.000 მან.; გარდა ამისა ხე-ტყით დაგვეხმარა სვანეთის სამაზრო სატყეო განყოფილება. სახ. სახლის გახსნას დაესწრენ ამხ. ფ. მახარაძე, ვ. სტურუა და სხვ. წარმოთქმულ იქნა მისასალმებელი სიტყვები სხვადასხვა ორგანიზაციებიდან. სხდომის დახურვის შემდეგ გაიმართა წარმოდგენა. ზეიმს აუარება გლეხობა დაესწრო და დიდი კმაყოფილი დარჩა.

ვ. გოლდავა.

— **კომისია.** (სართიჭალა). თემში გამოყოფილია კომისია, რომელმაც უნდა გამოარკვიოს ნათესების მდგომარეობა. როგორც ირკვევა შემოდგომაზე დათესილი ყანები სრულიად გაუფუჭებია ქარს. გარდა ამისა სოფ. ხაშმში უმთავრესად მევენახეობას მისდევენ. წელს ვენახს ძლიერ ცოტა ასხია, ასე რომ 50 პროც. თითქმის გამცდარია.

ხაშმელი.

სოფლის ქრონიკა

— **თავის ჩამოხრჩობა.** 14 ივნისს თავი ჩამოიხრჩო სიღნაღის მაზრის სოფ. ქვემო-მაჩხაანის მცხოვრებმა მოსე ხატასძე ჯანყარაშვილმა. მიზეზი გამოურკვეველია.

— **დიდი სეტყვა.** 16 ივნისს შორაპნის მაზრის ბოსლევის თემში დიდი წვიმის შემდეგ მოვიდა სეტყვა, რომელმაც საათ-ნახევარი გასტანა. სრულიად განადგურებულია სიმინდი, ხეხილები და ვენახი. საჭიროა ზარალის გამორკვევა და დახმარების გაწევა გლეხობისათვის.

— **მესაქონლეობის კურსები.** გორის მაზრაში სოფ. ციხის ჯვრის ფერმამ 11 ივნისს გახსნა მესაქონლეობის და მერძეობის კურსები. მსმენელების რიცხვი 30-მდე აღწევს. მსმენელები—გორის მაზრის სხვადასხვა თემის გლეხებია.

— **გაფლანგვა.** გურჯაანის მომხმ. კოოპ. ამხანაგობის გამგეობამ თანამდებობიდან მოხსნა და პასუხისგებაში მისცა ექსპედიტორი კირილე ჯაჯანიძე 739 მან. გაფლანგვისათვის, და ნოქრები გეგო ქარუმოვი და რომან ჩუგოშვილი საქონლის ნიხრის ზევით გაყიდვისათვის.

— **სარკვევი მანქანები.** ერწო-თიანეთის თემ. აღმასკომებმა შეიძინეს ხორბლეულის სარკვევი მანქანები.

— **ვაზის მყნობის კურსები,** რომელიც მოეწყო ასურეთის რაიონში, დაამთავრა 25 კაცმა.

— **აგურის ქარხანა.** საგარეჯოში წელს აგებული იქნება აგურის ქარხანა.

— **მიწად-მოწყობა,** ამჟამად თბილისის მაზრის 16 სოფელში მიმდინარეობს მიწად-მოწყობა.

მუშათა ცხოვრება

დღეს საღამოს, ხუთ საათზე რედაქციის ბინაზე შესდგება მუშკორთა კრება

დასწრება სავალდებულოა.

გავაცნოთ ერთმანეთს თავისი წარმოების გამოცდილება

ხშირათ შემთხვევაა, რომ ერთი წარმოების მუშები ნაკლებად იცნობენ მეორე წარმოების ცხოვრებას, მის ნაკლსა და მიღწევებს. ერთი ფაბრიკის თუ ქარხნის მუშას წარმოდგენაც არ აქვს მეზობელ ფაბრიკა-ქარხნის მუშაობაზე—როგორ არის დაყენებული წარმოების საქმე, რა დონეზე იდგა წინად შრომის ნაყოფიერება და როგორია დღეს, ან რა გააკეთეს მუშებმა და ადმინისტრაციამ შრომის ნაყოფიერების ასაწევად, რა ზომებია მიღებული ნაწარმოების ხარისხის გასაუმჯობესებლად, ტარდება თუ არა წარმოების რაციონალიზაცია, არიან თუ არა მუშები ჩაბმული საწარმოო თათბირებში და სხვ. საკითხები, რომლებიც ეხებიან ჩვენ წარმოების სხვადასხვა დარგს. საჭიროა, რომ წარმოებები იცნობდენ ერთმანეთს, თუ რა გააკეთეს მათ დასახელებულ საკითხების მოგვარებაში.

ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. ბევრ ქარხნის და ფაბრიკას თვალსაჩინო მიღწევები აქვს წარმოების გაუმჯობესების საქმეში: ადმინისტრაციისა და მუშების საერთო ღონისძიებებით მოსპობილ იქნა მუშა-დღეების გაცდენა, საწარმოო თათბირების მუშაობა გამოცოცხლდა და სხვ. ასეთი ღონისძიებებით ქარხანა ფეხზე დადგა. მაგრამ საქმე ის არის, რომ ყოველივე ეს ქარხნის კედლებს არ სცილდება, სხვა ქარხანა და ფაბრიკა და არ იცნობს ამ ქარხნის მიერ წარმოებულ მუშაობას. არა და გამოცდილების სხვისთვის გაზიარებას დიდი მნიშვნელობა აქვს. განა ცოტაა ჩვენში ისეთი ფაბრიკა-ქარხანა, რომელსაც აუარება ნაკლი აქვს, ეძებენ ახალ გზებს, ახალ მეთოდებს ქარხნის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ასეთი წარმოებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ქარხნის გამოცდილებას, რომელმაც ეს გზა უკვე გაიარა და ალორძინების გზას დაადგა.

თავისი გამოცდილების სხვისთვის გადაცემას უსათუოდ მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. პირველად ყოვლისა საჭიროა, რომ სხვადასხვა წარმოებების მიღწევები, განვლილი გზა, მიღებული გამოცდილება ფართოდ შუქდებოდეს პრესაში. ეს საქმე მუშკორებმა უნდა აიღონ თავის ხელში და უფრო ფართოდ გააშუქონ პრესაში, ვინემ ეს დღემდის იყო. აქ ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგს: როგორი იყო წინად დაყენებული საქმე, რა ზომები იქნა მიღებული საქმის გამოსასწორებლად და რა შედეგი მოგვცა.

გარდა ამისა საჭიროა, რომ ერთი და იმავე ქალაქის ფაბრიკა-ქარხნები ხშირად უზიარებდენ ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას წარმოების სხვადასხვა დარგში. ამ მხრით დიდი მნიშვნელობა აქვს ექსკურსიებს. გარდა ამისა საჭიროა რომ ერთი ქარხნის წარმომადგენელი მეორე ქარხნის საწარმოო თათბირზე თუ მუშათა აქტივის კრებაზე მოხსენებას აკითხებდეს თავის ქარხნის მუშაობაზე.

ყველა ამ საშუალებებით ჩვენ შევძლებთ ჩვენი მიღწევები, განვლილი მუშაობის გამოცდილება ფართოდ გავაცნოთ მუშათა მასებს, რითაც ისარგებლებენ ყველა წარმოებები. ეს ხელს შეუწყობს ჩამორჩენილ ფაბრიკა-ქარხნების წინ წაწევას.

მიეცით შვებულება

სად. იორში მუშაობს „ზაკპოგრუზ“-ის მუშა ლადო გაბრიშვილი, რომელსაც არც გასულ წელს და არც წლეულ შვებულებით არ უსარგებლია.

ეს იმიტომ, რომ „ზაკპოგრუზი“-ს მოიჯარადრე მას არ აძლევს შვებულებას, რაც უკანონოდ დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს.

„ზაკპოგრუზ“-ის საქართველოს განყოფილების გამგეობამ ამას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს და დაუყონებლივ მისცეს ხსენებულ გაბრიშვილს ან კუთვნილი შვებულება ან-და შესაფერი ფულადი კომპენსაცია.

კოლარგოლი.

ერთი პასუხის გამო

„კომუნისტი“-ს № 89-ში მოთავსებულ წერილს სათაურით „პროცენტების ბრალია“, რკ. გზ. გამგეობა შემდეგს უპასუხებს: „13 აპრილს სადგ. თბილისში პერონის რევიზორმა დააჯარიმა 6 მან. და 60 კაპ. მეისრე ბრეგვაძე, რადგან მას 28 კილოგრამი ზედმეტი ბარგი აღმოაჩნდა. ამ შემთხვევაში ის მოიქცა არსებულ წესების მიხედვით“. ახირებული პასუხი თუ გინდათ ეს არის!

უკანასკნელ ხანებში ხშირია განმარტება—პასუხები: — გინდა თუ არა მუშკორის წერილი სინამდვილეს არ შეეფერება. ამ ნაკლს ადგილი არ ქონია და სხ. ეს ითქმის რკ. გზის ადმინისტრატიულ განყოფილებაზედაც.

პერონის რევიზორების შესახებ სხვა დროსაც ბლომად დაიწერა, მაგრამ მათ ალვირ-ახსნილობას მაინც ბოლო არ მოეღო, რაც რა თქმა უნდა ნაწილობრივ რკ. გზ. ადმინისტრატიულ განყოფილების სისუსტეს უნდა მიეწეროს. უკანასკნელებმა არ იციან როგორ მოექცენ მუშებს და გლეხებს, რომელთაც სანოვაგე ჩამოაქვთ სოფლებიდან თავის პირადი საჭიროებისათვის. რევიზორები კი ვაჭარს, სპეკულიანტს და მშრომელთ ერთნაირად უყურებენ.

ზედმეტი ბარგის გამოანგარიშებაც ორიგინალურად სწარმოებს: ხელში 3 გირვანქა ბალის ასხმული ან სხვა ხილი, რომ გეჭიროთ, ამასაც აგიწონიან.

ეს კიდევ არაფერი. საქმე ისაა, რომ პერონის რევიზორები „ვაჭრულ“ ხასიათს აძლევენ დამნაშავეთა დაჯარიმებას.

მეისრე ბრეგვაძეს, რომელსაც მხოლოდ რამოდენიმე კილოგრამით მეტი ჰქონდა ბარგი, პირველად სთხოვეს 9 მანეთი. შემდეგ 8 მანეთი და 80 კაპ. ამის შემდეგ 7 მან. 70 კაპ. ხოლო ბოლოს ბრეგვაძემ გადაიხადა 6 მან. და 60 კაპ. რას ნიშნავს ეს?

რკინის გზის ადმინისტრატიულ განყოფილებამ უნდა გვიპასუხოს, თუ რამდენი ჯარიმა უნდა გადაიხადოს რკინის გზის მუშამ 28 კილ. ზედმეტ ბარგში. ე. ი. 6 მან. 60 კაპიკი. მეტი თუ ნაკლები?!

შვილი.

გეგმიანი მუშაობა

არჩევნების დამთავრებისთანავე სამაზრო აღმასკომმა დაუგზავნა ადგილებს ვრცელი დირექტივები და სანიმუშო სქემა გეგმიან მუშაობის შესახებ. ხსენებულ დირექტივების თანახმად საბჭოების გეგმებს საფუძვლად უნდა დადებოდა ის ნაკაზები, რომელიც საბჭოებს მისცა საარჩევნო კრებებმა. სამწუხაროდ ჩვენი საბჭოები დღემდე ვერ შეეჩვიენ პრაქტიკული გეგმების შედგენას.

მთელს მაზრაში სულ 29 თემაღმასკომია, ამათში სამუშაო გეგმები წარმოადგინა 17-მა, რომელთაგან მაზრაღმასკომმა დაამტკიცა მხოლოდ 9.

შემჩნეულია, რომ ადგილებს გეგმაში შეაქვთ განუხორციელებელი კითხვები. მაგალითად, ტიბაანის თემაღმასკომის გეგმაში ნათქვამია: „დადგმული იქნეს ელექტრო სადგური, აშენდეს სახალხო სახლი და სხვა“. ტიბაანის თემი დეფიციტიანია და მას არა აქვს გეგმაში აღნიშნულ ამოცანის შესრულების შესაძლებლობა. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში გეგმა ქაღალდზე დარჩება. არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც თემები სწორ გეგმას შეადგენენ, მაგრამ ჩაიკეტებენ მას საქმეში და ყოველდღიურ მუშაობაში არ ხელმძღვანელობენ გეგმებით.

პირველ საკვარტალო პერიოდში მთელ მაზრაში მხოლოდ 7 თემსაბჭომ შესძლო სწორ გეგმიან მუშაობაზე გადასვლა. ეს პირველი ნაბიჯია და მომავალში ყველა ზომები უნდა იქნას მიღებული საბჭოების მუშაობაში მუდმივი გეგმიანობის დასამყარებლად.

აკ. ჭოჭუა.

მადლობა შეფებს

9 ივნისს მოეწყო ექსკურსია ქ. თბილისში კაკაბეთის თემის შრომის სკოლის მოწაფეებისა. დათვალიერებულ იქნა ზაჰესი, შემდეგ თბილისის თვალსაჩინო დაწესებულებები და ქარხნები. დიდი მადლობის ღირსნი არიან „როზა ლიუქსემბურგის“ სახელობის თამბაქოს ქარხნის მუშები, რომელსაც შეფობა აქვთ აღებული ს. კაკაბეთის სკოლაზე. მათ აქტიური მონაწილეობა მიიღეს ბავშვების ექსკურსიაში: დაუთმეს საცხოვრებელი ბინა, უზრუნველყვეს ბავშვები კვებით, ზაჰესში წაიყვანეს ავტომობილით და სხვა.

საერთოდ ბავშვები კმაყოფილნი დარჩენ ექსკურსიით. ზოგიერთი მოწაფე არ ყოფილა არამც თუ თბილისში — მატარებელშიაც კი არ მჯდარა.

ვანო მატათაშვილი.

საყურადღებო წვრილმანი

— **ავადმყოფობას გაიჩენს.** ამას წინად, სადგურის ქ. № 5 თევზით სავაჭროში ერთ-ერთ მოქალაქემ იყიდა მოხარშული თევზი, რომელშიც აღმოჩნდა მატლები. თევზი დიდი ხნის იყო საშინლად ყარდა. ასეთი შემთხვევები ბევრია. მოხარშული თევზებით ვაჭრობა აკრძალული უნდა იქნეს, თორემ მოსალოდნელია ავადმყოფობა გავრცელდება.

გ. არუელი.

— **ესეც „დასვენება“** თბილისიდან მიმავალი ორთქლმავლის მემანქანეები ისვენებენ სად. ხაშურის სამორიგეო ოთახში. მაგრამ ვაი, ასეთ დასვენებას. ერთ პატარა ოთახში რამოდენიმე კაცს უხდება დასვენება. ამას გარდა ეს ოთახები მოუწყობელია და არ არის დაცული სანიტარული პირობები.

შრომის ინსპექტორის მოვალეობაა შეიხედოს ამ სახლში.

ძია—ლევან.

—:—

მუშათა ქრონიკა

— **სპეც-ტანთსაცმელი.** ვინაიდან ზოგიერთ მუშა-მოსამსახურეს ჯერ კიდევ არ მიუღიათ წარსული დროის სპეც-ტანთსაცმელი, სამტრედიის კომიტეტმა კატეგორიული მოთხოვნილებით მიმართა ადმინისტრაციას—დაუყონებლივ მისცეს მათ ფულადი კომპენსაცია და ამავე დროს საჩქაროთ იქნეს მიცემული შეკვეთა ახალი სპეც-თანსაცმელის ნორმის მიხედვით.

— **მოვალეობის განსაზღვრა.** ვინაიდან კონდუქტორებისა და გამზეთავებს შორის განსაზღვრული არ არის მათი მოვალეობა მატარებლებზე მუშაობის დროს, სამტრედიის საუბნო კავშირმა მიმართა განყოფილების უფროსს და წევის დარგს მოაგვარონ ეს საქმე და მისცენ კონდუქტორებს და გამზეთავებს სათანადო განმარტებები.

— **42 საათის დასვენება.** სამტრედიის უბნის კავშირმა დაადგინა მიიღოს სათანადო ზომები, რათა სისწორით იქნას გატარებული [illegible] ბრიგადების ყოველკვირეული 42 საათიანი დასვენება.

— **კვალიფიკაციის გამოკვლევა.** იმავე კომიტეტის დადგენილებით, მოწაფეთა კვალიფიკაციის გამოკვლევა დაევალა ადგილკომებს და ახალგაზრდა წარმომადგენლებს.

— **კოლ. ხელშეკრულების დარღვევა.** სამტრედიის უბნის კავშირმა მიმართა ადგილკომებს ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ კოლექტიურ ხელშეკრულების დარღვევას და აწარმოონ დარღვეულ მუხლების აღრიცხვა არსებული ფორმების მიხედვით.

— **დახმარება.** ხაშურის საუბნო კომიტეტმა პიონერთა საერთაშორისო დღის ჩატარების მოსაწყობად დახმარების სახით გასცა ხაშურის პიონერთა კოლექტივის ბიუროს 25 მან., შორაპნის პიონერთა კოლექტივს 15 მან. და ზესტაფონის პიონერთა კოლექტივს 10 მანეთი.

— **მაღაზიის გაფართოება.** „ზაკტპო“-ს გამგეობამ დაადგინა გააფართოოს თავისი მაღაზია ზესტაფონში.

პროფკავშირებში

800 მუშა

ფეიქართა კავშირის ცენტრალური გამგეობა შეუდგა აბრეშუმის პარკის დამზადება - დახარისხებისათვის სამზადის მუშაობას.

პარკის დახარისხებისა, ხარშვისა და გაშრობისათვის, რომელიც იწარმოებს სამტრედიაში, ხონში, თელავში, ოზურგეთში და ქუთაისში ფეიქართა კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ აღრიცხვაზე აიყვანა 800 მუშა, რომლებიც ჩაირიცხებიან კავშირში და გამოყენებული იქნებიან ზემოაღნიშნულ სეზონურ მუშაობის ჩასატარებლად.

ექსკურსია მოსკოვ-ლენინგრადში

ფეიქართა კავშირის ცენტრალური გამგეობა ამ ახლო მომავალში აწყობს მოსკოვ - ლენინგრადში მუშების ექსკურსიას. ექსკურსიის საჭიროებისათვის კავშირმა ჯერ - ჯერობით გადასდო 500 მანეთი. ექსკურსია გაგრძელდება 25 დღეს. ექსკურსანტები დაათვალიერებენ მოსკოვს, ლენინგრადს, „ვოლხოვსტროის“ და საბავშვო სოფელს (ყოფილი ცარსკოე სელო).

პროფსკოლის გამოშვება

ფეიქართა კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ გამოუშვა პროფსკოლა. პროფსკოლა სულ დაამთავრა 15 კაცმა.

კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ დაასაჩუქრა ყველა ის მსმენელები, რომლებმაც პროფსკოლა კარგად დაამთავრეს.

დახმარება უმუშევრებს

ფეიქართა კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა კავშირის საკავშირო ცეკას წინაშე უმუშევარ ფეიქრებისათვის განსაზღვრულ თანხის მიცემის შესახებ.

ფეიქართა კავშირის საკავშირო ცეკამ დააკმაყოფილა საქართ. ფეიქართა კავშირის შუამდგომლობა და უმუშევარ ფეიქართა ფონდის გასაძლიერებლად უკვე გადმოუგზავნა საქართველოს ფეიქართა კავშირის ცენტრალურ გამგეობას 2.500 მანეთი, რომელიც დაურიგდება უმუშევრებს.

მუშაობის გამოკვლევა

კომუნალურ მეურნეობის კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ ჩაატარა ქუთაისის და ოზურგეთის სამაზრო განყოფილებების მუშაობის მდგომარეობის გამოკვლევა.

როგორც გამოირკვა, აღნიშნულ სამაზრო განყოფილებებს საანგარიშო პერიოდში აქვთ საგრძნობი მიღწევები, რისთვისაც როგორც ოზურგეთის, ისე ქუთაისის სამაზრო განყოფილებების მუშაობა დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი.

რაც შეეხება ნაკლს, რომელსაც ადგილი ქონდა აღნიშნულ სამაზრო განყოფილებების მუშაობაში, მისი გამოსწორების მიზნით კომუნალურ კავშირის ც. გამგეობამ გამოიმუშავა პრაქტიკული ღონისძიებები და ამ დღეებში დაუგზავნის მათ სახელმძღვანელოდ.

კვალიფიციური მუშები

სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ დაამთავრა მოსკოვში გასაგზავნ მუშების აღრიცხვაზე აყვანა. სულ მოსკოვის მაუდის ქარხნებში კვალიფიკაციის მისაღებათ გაიგზავნება 55 კაცი, აქედან თბილისის საფაბრიკო-საქარხნო სკოლიდან—25, ტექნიკუმებიდან—4, დანარჩენი—საფეიქრო ქარხნიდან. ეს 55 კაცი მოსკოვში დაყოფს 1 წელიწადს, რის შემდეგ დაბრუნდებიან უკან და იმუშავებენ თბილისის მაუდის ქარხანაში, რომელიც ამჟამად შენდება დიღომში. გასაგზავნით მუშები წინასწარ შემოწმებული იქნებიან ჯანმრთელობის მხრივ.

კურორტებზე

თბილისის აღმასკომის საკურორტო სექციის ცნობით, თბილისის მაზრის ყველა აგარაკებზე, დამთავრდა ბინების შეკეთება და ეზოების და ბაღ-მოედნების კეთილმოწყობა. აგარაკები შარშანდელთან შედარებით კარგათაა მოწყობილი. ბევრ ადგილას გაყვანილი იქნა კანალიზაცია, გაიწმინდა ჭები, გამოყვანილია წყაროს წყლები, სწარმოებს ახალი ტყიების მოშენება, შეკეთებულია ყველა გზები, აგებულია ახალი სახლები და სხვ.

ამას გარდა კოჯორსა და მანგლისში მოეწყო პოლიკლინიკები, სადაც მოაგარაკე დაზღვეულებს გაუწევენ უფასო საექიმო დახმარებას.

ზაჰესი

მტკვარი უღელში

მორჩილებით შეტბორებულა მშფოთარე მდინარე მცხეთის მახლობლად. დაგუბებულა, მხარ-ბეჭი გაუშლია ტრიალებს, უვლის, ნაპირებს ათვალიერებს და სინჯავს ზღუდეს, ასე უეცრად და თავხედურათ რომ აღიმართა მის სავალ გზაზე.

პირველად, როცა მის გაქანებას გადაეღობა ფოლადის ფარი, როცა ტალღები მიემსხვრენ მაგრად ძირ-გადგმული ბეტონის ბჭეებს—მის გადარევას ბევრი უკრთოდა.

იყო კიდეც საფიქრებელი.

შეიძლებოდა განა კაცის ხელით აღმართული—ზღუდე ქვითკირის ფოლადნირევი, გამკლავებოდა ასეთ ღონიერს, გახელებულ მდინარეს? ის ხომ მთის ოდენა ქვებს ისე ათრევდა ფსკერზე, როგორც ნაფოტებს...

ამიტომ იყო:

როდესაც მტკვარს გულს დაეცა ფარი, როდესაც წელზე დაადგეს ფეხი და გადასწყვიტეს ნაწილ-ნაწილად მისი სხეული—ბევრს აფიქრებდა მტკვარის სიგიჟე.

გაბრაზდა კიდეც, აიბუზა, ამრავალწყალდა. შეგუბდა წყალი ჯებირის პირას, აიწვირთა, გაიბერა მდინარე მეტრად, დაჭიმვით... თითქოს ჰკრეფდა ძალებს, ემზადებოდა თითქოს ძგერისთვის, ფაფარაყრილ ლომს წააგავდა თვალამღვრეული...

ხოლო ჯებირი იყო საზღვარი ზღუდე და მტკვარის ბრაზით გამსიებელი იმ ჯებირის ქვევით გათავდა მტკვარი. იმ ჯებირის ქვევით მიწყდა ხმაური და საცოდავი, სულმბორგავი, ავადმყოფურით გაიზრლაზნა უწყინარ ღელის პაწია ზოლი.

ჯებირს ზევით ტბათ ქცეული რისხვით ბორგავდა კრიჭა შეკრული ანცი მდინარე, ჯებირის ქვემოდ იგი ბავშვებმაც კი დაიბრიყვეს და თავის ფეხით მოარღვევდა მტკვარის კალაპოტს დიდყურა ვირი.

ასე დასცინა მტკვარს ადამიანის გონებამ და მანაც იგრძნო ეს დაცინვა, მანაც გაიგო, რომ მცხეთასთან თავდებოდა აღვირახსნილი მისი თარეში...

მცხეთასთან მტკვარს უღელი დასდეს.

ისიც შეგუბდა, გაწვა, გაივსო ღონით და, რომ ვეღარა დააკლო ჯებირს, ისევ მორჩილად წასწია კისერი.

და დაიწყო ხანა ახალი...

ახალი ხელით გადაიფურცლა მატიანეს პაპირუსები.

მტკვარი ზაჰესმა გადაყლაპა, გამოატარა უძლებ სტომაქში და ააკვესა.

ველურ ხარს მოგაგონებს სანახობა: ხარს რომ დაესხმის გლადიატორი წითელი ფერით ალაფებს ხოლმე. სძულს ხარს ეს ფერი, გიჟდება იგი, ირევა ხარი, ჰკარგავს გონებას და გლადიატორს ეძგერება ალესილ რქებით...

გლადიატორი ელის ამ წუთებს. განზრახ აბრაზებს ღონიერ ცხოველს და როცა მოაწევს წუთი ანთების, მოხერხებულად, ოსტატურად მოუვლის ცხოველს, დაეჭიდება, მოსთოკავს სწრაფად, დაიმორჩილებს და იზეიმებს გამარჯვებასაც.

რატომღაც მტკვარი გარეულ ხარად წარმომიდგება.

ასე მგონია: დაგუბებული, შეკავებული სიბრაზით მისდევს გაკვლეულ არხებს, ბიდის სიფრთხილით, მსუბუქად სცურავს ცემენტით მორთულ გრძელ კალაპოტში.

და მატებს მას ბრაზს გზა მეტად რბილი, უჩანჩქერო, უზღუდო გზა...

კენჭი რა არის, კენჭიც არ ხვდება გზაზე, რო თავის ბრაზი მასზე მოიკლას. იქ კი, ბოლოში, სადაც თავდება ცემენტ-ნაგები კალაპოტი ახალ გათხრილი, ბრაზით დატვირთულს ტურბინის ხახა ელოდება ჩასაფრებული.

შხუილით შერბის წყალი ხახაში. მოწყვეტილი ძგერით ეჯახება იგი ზღუდეებს და ძუ ლომსავით ღრიალებს დღე-ღამ...

ზაჰესს ეს უნდა.

ამღვრეულ ტალღას უფრო აბრაზებს და ტალღის ძალას ელვის ნაკვესად გადაისვრის ნაპირისაკენ. და ეს ტალღა ელჩანჩქერებათ მიემართება სპილენძის ძარღვით დედა ქალაქის გასაახლებლად.

ასეთია მტკვარი უღელ დადგმული.

გათავდა. მორჩა უქმად ლაღობა, ხეტიალი ჯავახეთიდან კასპიის ზღვამდე უსაქმური და უნაყოფო.

მუშაობს მტკვარი.

ახალი ხანა გახსნა ზაჰესმა.

აღმოსავლეთით დაუღლეს მტკვარი...

დასავლეთითაც დაუღლავენ რიონს და მაშინ...

„ორნი არიან, ტოლნი არიან“,

ორი გიჟი, დაუღალავი მძლავრი მდინარე ელექტრო ჩქერით ააყვავებს საბჭოთა ქვეყანას.

რიონი მტკვარს გადაუწევდის უღელტეხილით ძმობილობის ხელს.

მტკვარი რიონთან დაძმობილდება სურამის მთაზე და ხუთქიმიან წითელ შუქურას,—ახალ ქვეყანას, რომ გზას უკვლევს განთიადისკენ, საჩირაღდნებლად,—მიაწვდიან შუქს მავთულებით.

ვ. ბერაძე.

ქუთაისი

წყალსადენი ქუთაისში

ორი ისტორიული სიძველენი ჰქონდა ქუთაისს:

— ბაგრატის ტაძრის ნანგრევები და... წყალსადენის სურვილი.

ეს უკანასკნელი მაინც იგივე იყო და არის ქუთაისისათვის, რაც ოაზისი უდაბნოსათვის. მაგრამ დღემდე სურვილი სურვილათ რჩებოდა და მას განხორციელება არ ღირსებია.

რატომ?

ინჟ. ნ. პ. თუმანიშვილი

წყალსადენის გეგმის ავტორი, სამუშაოთა უფროსი

ადვილი გასაგებია:

— მეფის დროს წყალსადენზე ქუთაისში არ ზრუნავდენ, ხოლო მენშევიკური საქართველოს ავლა-დიდება კურდღელს აეკიდებოდა.

ჯერ კიდევ 35 წლის წინათ სცადეს, გამოიკვლიეს წყაროები, მიიარ-მოიარეს, ყიფიანის ცნობილი ღვინის ზერები ინახულეს,,,ყელი გაისველეს“ და გზას გაუდგენ.

36 წლის წინათ ვიღაც ინჟენერი მიხაილოვი გამოუდგა ამ „მოსაგებ“ საქმეს, სააქციონერო საზოგადოება აარსა, არქილის გორაზე აუზიც ააგო, მაგრამ საზოგადოება გაკოტრდა და ბევრი რამ, მგონი, არც მიხაილოვს გაყოლია. 1918 წელს მენშევიკურმა კუმაც აბზიკა ფეხი დასაჭედათ, მაგრამ მიწერ-მოწერით, ცარიელი ბაქა-ბუქით დაკმაყოფილდენ და დაჩუმდენ.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ, 1924 წელს შეიქნა შესაძლებელი მუშათა და გლეხთა ხელისუფლება სერიოზულად შესდგომოდა ქუთაისის დიდი ხნის ნატვრა-სურვილის განაღდებას და დაეწყო საქმე.

1926 წლისათვის უკვე წყალიც გამორკვეული იყო, წყალსადენის გეგმაც შემუშავებული და ხარჯთ-აღრიცხვაც გამოანგარიშებული. ხსენებული პროექტი განიხილა და მოიწონა სპეციალისტთა კომისიამ, შემდეგ იგივე პროექტი განსახორციელებლათ საჭიროთ სცნო წყალთა სამმართველოს ტექნიკურმა თათბირმა და უკანასკნელათ მისი მიღება დადასტურებულ იქნა საქართველოს ეკონომიურ საბჭოს საამშენებლო-ტექნიკურ თათბირის მიერ. მიმდინარე წლის 23 მარტს ქუთაისის საბჭომ გადაუდებლათ სცნო მისი განხორციელება.

ეს უკვე დღეების საკითხია, თანხებიც არის და ახლო ხანში კიდევაც შეუდგებიან თუჯის მილებში მოქცეულ საწყალსადენო კალაპოტის აგებას.

* *

წყალსადენით სარგებლობა გამოანგარიშებულია 25 წლის განმავლობაში, იმ ვარაუდით, რომ ქალაქის მცხოვრებთა რიცხვი ყოველწლიურად გაიზრდება 2,5 პროცენტით. თითეულ მცხოვრებზე გამოანგარიშებულია დღიურათ 6 ვედრო წყალი, ხოლო გაორმაგებული რაოდენობით, ასე მაგალითად: აღებულია არა მცხოვრებთა ეხლანდელი შემადგენლობა 50 ათასი, არამედ 100 ათასი და მაშასადამე დღე-ღამ წყალსადენი ქალაქს მიაწოდებს 600 ათას ვედრო წყალს. წყალის ასეთი რაოდენობა უზრუნველყოფილია ისეთ შემთხვევაშიც კი, რომ ერთ და იმავე დროს ქალაქში სამგან გაჩნდეს ხანძარი.

საქართველოს ეკონომიურ საბჭოს საამშენებლო-ტექნიკურ თათბირის მიერ დამტკიცებულია ინჟ. ნ. პ. თუმანიშვილის ხსენებული პროექტი და მისი ხარჯთ-აღრიცხვაც.

წყალსადენი დაჯდება სულ 1.850.000 მანეთი. მუშაობის პირველ წელს იხარჯება: 1) ადგილობრივ საშუალებათაგან—280.000 მან., 2) სესხი—700.000 მან. სულ 980.000 მანეთი.

მეორე წელს იხარჯება: 1) ადგილობრივ საშუალებათაგან—320.000 მ., 2) სესხი—550.000 მან. სულ 870.000 მანეთი.

მესამე წლის დასაწყისს ხდება წყალსადენის გახსნა და იწყება მისი ნორმალური ექსპლოატაცია.

ამრიგათ მუშაობა გაგრძელდება სულ ორ წელს, მაგრამ პირველსავე ერთ წელიწადში სამუშევარი შესაძლებლობას იძლევა დამწდარი და დაშაბული, ხოლო არა საბოლოვოთ ფილტრში გავლებული, წყალი მიაწოდოს ქალაქის სხვადასხვა ადგილებზე მდებარე სხვა და სხვა საწარმოო დაწესებულებათ, როგორიცაა: ბარიტის ქარხანა, აბრეშუმის თესლის ქარხანა, აბრეშუმის ძაფის, მაუდის საქსოვი ქარხნები და სხ. მაშასადამე, ეს უკანასკნელნი თავისუფლდებიან წყალის საჭიროებისა და საკუთარ გასაწმენდ სადგურთა საჭიროებისაგან.



წყალსადენის გეგმა

* *

შემოსავლის მხრივ ხელსაყრელია თუ არა ასეთი წყალსადენი?

საქართველოს ეკონომიურ საბჭოს დადასტურებით წყალსადენი ერთ-ერთი შემოსავლის წყარო იქნება ქალაქისათვის. ეს შემოსავალი სავსებით ფარავს საექსპლოატაციო ხარჯებს, ანაზღაურებს ვალს და საკმაო მოგებასაც სტოვებს შემდეგისათვის საქმის გასაფართოებლად.

აგების პირველ წელს პროექტით განზრახულია ვედრო წყალზე ერთ კაპეიკის გადახდევინება (ამჟამად ვედრო წყალი ქუთაისში ჯდება 8-10 კაპეიკამდე და უფრო მეტიც!), ხოლო შემდეგში ვედრო წყალზე გადასახადი არ აღემატება ერთ მეოთხედ კაპეიკს.

საიდან გამოჰყავთ წყალი?

არა ერთხელ დაუდასტურებიათ საექსპერტო კომისიებს, რომ ყველას ისევ რიონის წყალი სჯობია, ჯერ ერთი ამ შემთხვევაში წყალსადენი უზრუნველყოფილია წყლის რაოდენობით, ხოლო შემდეგ—მრავალ გზის გამოკვლევის მიხედვით რიონი უწყინარი და ნოყიერია. წყალსადენს თავი ექნება ქუთაისის ზევით, სამხედრო ოსეთის გზის გასწვრივ ოთხი ვერსის დაშორებით და იგი საკმაოდ დაშორებული იქნება რიონჰესისათვის განზრახულ ჯებირიდან.

ყველა დამწრეტი და გამწმენდი ნაშენობანი ინგლისურ ფილტრში გავლებულ წმინდა წყლის შესანახ აუზთან ერთად აგებულ იქნება რიონჰესის ჯებირის ქვევით, ეგრედწოდებულ ჭომაში, სადაც ამჟამად გამოკუზულია ნახევარი კუნძული.

ძალა მიმცემი აუზი მოთავსებული იქნება მწვანე-ყვავილას გორაკზე საიდანაც მიეცემა დასაწყისი საქალაქო ქსელის მთავარ ხაზს. თვით პირველ ხანებში გასაყვანი ქსელის სიგრძე 33 ვერსს უდრის.

სახანძრო კრანები დაშორებული იქნებიან ერთმანეთზე 50 საჟენით და ეს სავსებით საკმარისია როგორც ხანძარის საქრობ, ისე ქუჩათ საწყავ საჭიროებისათვის.

* *

როგორ უნდა შეხვდეს ყველაფერ ამას ქუთაისი?

ყველა გასცემს ამ კითხვაზე პასუხს, ვისაც, თუნდ ერთხელ, ამ ქალაქში გზათ გაუვლია.

— უდარიბესი მცხოვრებნი დასახლებულნი საკმაოდ მაღალსა და შორეულ გორაკებზე, როგორიცაა: საფიჩხია, მწვანე-ყვავილა, არქილის მთა, სალორია და სხვა, მთელი ვერსების სიშორიდან ზურგით მიეზიდებიან მდინარე რიონიდან სასმელ წყალს. წყალს შესანახ ჰურებს ბევრგან ბოქლომით კეტენ. საოჯახო საჭიროებისათვის აგროვებენ წვიმის წყალს, რომელიც ლპება და ავრცელებს კოღოებს და ციებას.

ათეული წლებით ხალხი ელის წყალს და ვერ მიუღია. მაშასადამე, წარმოგიდგენიათ მისი საჭიროება? და ეს საჭიროება ეხლა კიდევ უფრო მწვავეთა დგას:

— რიონჰესის საამშენებლო მუშაობა უკვე დაწყებულია.

სარიონჰესო წერაქვი ახმაურდა.

ამ დღეებში ამეტყველდება საწყალსადენო მუშაობა. წყალსადენს—ბუნებრივათ მოსდევს საჭიროება კანალიზაციის, რომლის პროექტის შემუშავება იმავე ინჟენერ ნ. თუმანიშვილს აქვს მინდობილი.

გ. რიონიძე.

69 ახალი ფაბრიკა

სახკომსაბჭოსთან შესდგა თათბირი ადგილობრივი მრეწველობის საკითხების შესახებ. თათბირზე მოხსენებით გამოვიდა ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის წევრი ამხ. **საკიანი,** რომელმაც განმარტა ადგილობრივ მრეწველობის ზრდის უახლოესი პერსპექტივები.

მისი სიტყვით, ამჟამად რესპუბლიკაში მუშაობს 70 ადგილობრივი მრეწველობის მნიშვნელობის წარმოება. აქედან გასაბჭოებამდე არსებობდა მხოლოდ რამოდენიმე წარმოება, ხოლო დანარჩენი წარმოებები დაარსდენ გასაბჭოების შემდეგ.

ახალი ფაბრიკა - ქარხნების ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმით გათვალისწინებულია 69 ახალი წარმოების აგება. აქედან სასოფლო - სამეურნეო პროდუქციის გადასამუშავებლათ აგებული იქნება 31 წარმოება, სამშენებლო მასალათა დასამზადებლათ — 29 ახალი ქარხანა და ფართო მოხმარების საგნების დასამზადებლათ 9 ფაბრიკა. ყველა ამ ქარხნების აგება დაჯდება 12.992.000 მანეთი.

სასოფლო - სამეურნეო პროდუქციის გადასამუშავებელი ქარხნების მთელი ჯგუფი ყოველწლიურათ გამოუშვებს ბაზარზე 7.487.137 მანეთის (თვითღირებულებით) პროდუქციას. ყველა 69 ქარხნის აგების შემდეგ მივიღებთ—14.976.172 მანეთის თვითღირებულების პროდუქციას ყოველწლიურად.

ამ თანხიდან წმინდა მოგება იქნება 2.327.5[illegible] მანეთი.

დასასრულ მომხსენებელმა განაცხადა, რომ აღნიშნული 5 წლიანი საპერსპექტივო გეგმის შესასრულებლათ და ადგილობრივი მრეწველობის წარმოებათა რეკონსტრუქციისათვის საჭირო იქნება 11.180.940 მანეთი.

მოხსენება დასკვნისათვის გადაეცა საგეგმო კომისიას.

ქაღალდის ქარხნისათვის

ელექტრო-ენერგია

ახალშენებათა კომიტეტის მომარაგების განყოფილება შეუდგა სამზადისს აბაშის ჰიდროელსადგურიდან სოფ. ჯვარში, ქაღალდის ქარხანასთან ელექტრო-ენერგიის გასაყვანათ. ამ მიზნით გადაწყვეტილია აბგესის ამუშავების შემდეგ ელდენი გაყვანილ იქნეს ჯვარში.

სატყეო მრეწველობის ტრესტს, შეუკვეთეს 2.000 ცალი დიდი ზომის ხის ბოძები. ტრესტმა მასალა უნდა დაამზადოს ორ თვეში.

რკინის-გზა ზუგდიდი—ჯვარი

ქალ ზუგდიდიდან სოფ. ჯვარამდე ფართო ლიანდაგიანი რკინის-გზის გაყვანის სამუშაოების დაწყების გამო, სატყეო მრეწველობის ტრესტს შეკვეთილი აქვს 60.000 ცალი რკ. გზის შპალი.

რკინის-გზის გასაყვანათ საჭირო საგამოკვლევო სამუშაოები ჩატარდება მიმდინარე ზაფხულის განმავლობაში.

გურიის ნავთი

ამჟამად გურიის ნავთიანი ადგილების შესასწავლად მუშაობს საკავშირო გეოლოგიური კომიტეტის რწმუნებული გეოლოგი ილინი, რომელსაც დავალებული აქვს შეადგინოს ნავთიანი ადგილების გეოლოგიური რუკა.

შარშან აღნიშნულ რაიონში გეოლოგიურ გამოკვლევებს ახდენდა გეოლოგ. კომიტეტის მიერ მოვლინებული ინჟ. მიხაილოვსკი, რომელმაც ცუდი ამინდების გამო ვერ მოასწრო ყველა განზრახულ სამუშაოთა შესრულება. უახლოეს კვირაში დაიწყება მუშაობა მეორე ჭა-ბურღილის ამოსაღებად.

გარდა გეოლოგიური გამოკვლევებისა, იქვე მუშაობს აგრეთვე ტოპოგრაფების ჯგუფი, ტოპოგრაფ ემილიანოვის ხელმძღვანელობით. ტოპოგრაფიული გამოკვლევების მიზანია აღნიშნული ნავთიანი ადგილების რაიონს ტოპოგრაფიული რუქის შედგენა.

მთელი საგამოკვლევო სამუშაოების დასრულება ნავარაუდევია ოთხ თვეში.

აბრეშუმის მრეწველობა

ა.-კ. უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ მიზანშეუწონლად და ზედმეტად სცნო აბრეშუმის მრეწველობის სახელმწიფო წარმოების გაერთიანება, ვინაიდან ეს არის ახალი ცდა შექმნილ იქნეს მეაბრეშუმეობის სრულიად საკავშირო კომიტეტი.

ეს საკითხი არა ერთხელ ყოფილა განხილული ამიერ-კავკასიაში და გადაწყვეტილი იქნა უარყოფითად, რადგან არსებული დაწესებულებები და ორგანიზაციები საკმაოდ უზრუნველჰყოფენ იმის შესაძლებლობას, რომ მთელი სააბრეშუმო საქმე მოწესრიგებული და დაკავშირებული იქნეს ერთმანეთთან გეგმაშეწონილად.

ამას გარდა მეაბრეშუმეობის საქმე საგრძნობლად გაუმჯობესდა და კონვენციის შექმნა არ არის გამოწვეული ობიექტიური პირობებით.

წითელ ჯარში

„კავშირი გლეხობასთან თავდებია წითელ არმიის სიძლიერის“.

(№ ქართ. მსრ. დივიზია).

დივიზიის ნაწილები უკვე შეუდგნენ საზაფხულო სწავლებას მინდვრათ. წითელარმიელნი, როგორც ახალწვეულნი, ისე ძველი მსახურნი, გულმოდგინეთ მეცადინეობენ და იძენენ ახალ ცოდნას სამხედრო დარგში.

ბანაკად ყოფნის დროს წითელარმიელების მიერ სავსებით უნდა იქნეს შეთვისებული საომარი წესები და ხერხი.

ეს გარემოება კარგათ აქვთ გათვალისწინებული წითელარმიელებს და ამიტომაც საზაფხულო მეცადინეობა ყველა ნაწილებში წარმატებით მიმდინარეობს.

„ბანაკად ტაქტიკური მეცადინეობა ტარდება წარმატებით. ადგილმდებარეობასთან შეფარდება და სხვა სახის საომარი ოპერაციები სრულდება დიდის დაკვირვებით და მუყაითობით. აღსანიშნავია, რომ ყველა დარგში კარგ ცოდნას და მომჭირნეობას იჩენენ 1904 წელში დაბადებული არმიელები“ — იწერება № ქართ. მსრ. ლეგიონის სამხკორი.

მიუხედავათ იმისა, რომ სამხედრო მეცადინეობას ბანაკად მიქცეული აქვს მთავარი ყურადღება და წითელარმიელები დატვირთულნი არიან მრავალი საგნებით, მათ არა აქვთ დავიწყებული კავშირი გლეხობასთან.

„მოვაწყვეთ თუ არა ბანაკი, მაშინვე გავეშურეთ სოფლისაკენ მის გასაცნობათ. ვიხაზულეთ ადგილობრივი ხელისუფლება და გამოუცხადეთ, რომ ჩვენი ლეგიონი აწარმოებს მუშაობას გლეხებში ბანაკობის დამთავრებამდე. გლეხობა დიდის კმაყოფილებით შეხვდა ჩვენს განცხადებას“ — ასე გვწერს ერთ-ერთი ლეგიონის №-ასეულის სამხკორი.

დივიზიის ყველა ნაწილებს გაბმული აქვთ კავშირი გლეხობასთან. წითელარმიელებმა კარგათ იციან, რომ დღეს წითელი ჯარი არ წარმოადგენს რაიმე განყენებულ ორგანიზაციას, არამედ იგი არის შექმნილი თვით გლეხებისა და მუშების მიერ, მათივე დასაცავად მტრებისაგან. ამიტომ წითელარმიელნი თავისივე ინიციატივით ღებულობენ ზომებს, რომ კავშირი სოფელსა და ყაზარმას შორის იყოს ძლიერი, მტკიცე და მეგობრული.

აი თვით წითელარმიელთა შენიშვნები ამაზე!

„ბანაკად გასვლის წინ ჩვენი ასეულის ლენინის კუთხეში მოწვეულ იქნა აქტივის თათბირი, რომელზედაც ირჩეოდა საზაფხულო მუშაობის საკითხები, წითელარმიელების მიერ გამოთქმულ იქნა აზრი, რომ საჭიროა კავშირი გლეხობასთან, რადგან ამითი შესაძლებელი იქნება გლეხების გასამხედროება, და თუ გლეხებს კარგად ეცოდინებათ სამხედრო საქმე, მაშინ ისინი ყოველს წამს მზად იქნებიან შეუერთდენ წითელარმიას“.

№ სართ. ლეგიონის სამხკორი ამხ. გიორგაძე იწერება:

„ლეგიონის მთელი შემადგენლობა სცდილობს, მჭიდროთ დაუახლოვდეს სოფელს. გამოუწერეთ გლეხებს ჟურნალ - გაზეთები, გავმართეთ მათთვის უფასო წარმოდგენა. გლეხები დიდი სიხარულით გვხვდებიან, იმართება საუბარი, იძლევიან მრავალ კითხვებს. გლეხები განსაკუთრებით დაინტერესებული არიან წითელარმიის ცხოვრებით და მუშაობით“.

№ ქართულ ლეგიონს სოფლებთან დამყარებული აქვს მჭიდრო კავშირი, კულტურულ მუშაობასთან ერთად სწარმოებს მუშაობა გლეხების გასამხედროების მიზნით. სასიამოვნოა ყურება, როდესაც გლეხები, და მათ შორის მოხუცებულები და ქალებიც სწავლობენ სროლას ან და ეცნობიან ტყვიამფრქვევს. წითელარმიელნი იძახიან, რომ გლეხობიდან უნდა შევქმნათ წითელარმიის კარგად მომზადებული დამხმარე ძალა“ — მოგვითხრობს თავის შთაბეჭდილებებს № ლეგიონის წითელარმიელი გოლდაშვილი.

ი. ზ.

ავაშენოთ თვითმფრინავი



თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატი“-ს ასაგებ ფონდში ამხანაგ **ფილიპე მახარაძემ** შემოიტანა 10 მანეთი.

შემომაქვს ათი (10) მანეთი ამხ. გიორგი ყურულაშვილის გამოწვევით და ჩემის მხრივ ვიწვევ ათი (10) მან. შემდეგ ამხანაგებს: **არჩილ მიქაძეს, ივანე პრეობრაჟენსკის, გოზალოვს, სალიაშვილს** (მელითონეთა კავშირიდან), **ცანავას, ინჟ. მგელაძეს, ინჟ. ანდრონიკაშვილს, ინჟ. ჩირგაძეს** („ტელასი“). **ინჟ. გეორგობიანს. ინჟ. კობერს და კრაუკლის** „ს.ე.ტ“-დან (გ.ე.ტ.) (ელსოფმშენიდან) **ბურჯანაძე დიმიტრის.**

გ. მაჩაიძე.

თანახმად ამხ. ნიკო კიკნაძის გამოწვევით „თბილისის პროლეტარის“ ასაგებ ფონდის გასაძლიერებლად შემომაქვს 10 მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: **გ. მუშიშვილს, გრიშა გოგოტიშვილს, მიშა ჯაფარიძეს, არტემონ გოლეთიანს,** (ქუთაისი), **გრიშა შანიძეს,** (ქუთაისი), **გრიშა გორგაძეს, ბიქტორ მხეიძეს, ფილიპე შავგულიძეს, ილიკო ცინცაძეს, მათე კარპს, ანდრო ჭეჭიაშვილს და ვეფხო აკოფაშვილს.**

აკაკი სირაძე.

თანახმად ამხ. ბესარიონ რაზმაძის გამოწვევისა შემომაქვს 10 მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ასაგებ ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ ამავე თანხით შემდეგ ამხანაგებს:

სურმავა ივანე, გურგენიძე ანდრო, სალუქვაძე, პერვუშინი (ყველანი ა.ლ.კ.კ. რაიკომიდან). **ლამბრიანოვი ივანე, ცინცაძე ლადო** (გორის ნავთსადენი), **ქვრივიშვილი სოლ.** (სად. გორის ადგილკომის თავმჯდომარე) **ჩიტალაძე გიორგი** (სად. მცხეთის ადგილკ. თავმჯდომარე), **ბუჯიაშვილი ილია, ხანიშვილი კოტე, ზარხოსაშვილი, მარქაროვი ბაგრატი** (ყველანი მო/2 სახელოსნოდან), **ნაცვალოვი ლეონიდე, მერაბოვი ივანე, ანტონოვა ნინა** (მო/2). **ნეკრაშვილი გიორგი, შარვაძე ივანე** (მო/2 ადგილკომიდან ორივე). **კოჩინევი ვასილი** (მთავარი საწყობი), **ორაგველიძე ლუკა და ავანოვი იაშა** (საშემოსავლო დარგის ადგილკომიდან). **კალაძე ალექსანდრე** (საკავშირო სამსახურის სახელოსნოები), **ბაკურია გრიშა და კორძახია იასონი** (თბ. უბკავშირთან არსებული საბინაო ამხანაგობა). **ამირანაშვილი პავლე** (ამ. რკ. გზ. კლუბი), **ალავიძე გრიშა** (ს. ორჯონიკიძის სახ. კლუბის გამგე)—**ნესტორ რუხაძე** (ეკონომ. სამსახური).

რაფიელ კვირკველია.

ამხ. ლადო სუხიშვილის გამოწვევით შემომაქვს ათი მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდში და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

სტანსკი, ვალიკი, საჯაია, მხეიძე, (ს.ს.პ.ს.), **მორჩილაძე, კუდრიავცევი, ტინტიკოვი** (ქალაქის რაიკომი), **ეგოროვი** (შ.ს.ს.კ.), **არუსტამოვი, გოგიტიძე** (სახკინმრეწვი), **გოგიბერიძე, კერვალიძე** (ს.კ.პ.ს.კ.), **კონტრიძე, თალაკვაძე, ტაბიძე** (თბილისის მ. გ. მილიცია,) **ექ. წულუკიძე, ექ. გულისაშვილი, ექ. კამალოვი, ექიმი ცომაია, ექიმი სოსიანი, ექ. ვეფხვაძე, ექ. აპ. ურუშაძე, ექ. კილურაძე, ვ. ბოლქვაძე, ერისთავი, ძაგანია და მელჩარსკი**—(მუშკოპი).

სიმონ ხმალაძე.

თვითმფრინავი „თბილისის პროლეტარიატის“ ასაშენებელ ფონდის გასაძლიერებლად შემაქვს ათი მანეთი (10 მ.) და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: **თულაშვილს, ბაქრაძეს, ულენტს, საბახტარაშვილს, სოხაძეს, გელოვანს, ხუნდაძე სიმონს, რევია ალექსანდრეს, ბელსკი იოსებს, ივანოვი გიორგი, პაპავა ანტიოხ, ცაბაძე სიმონ. ცერცვაძე იაკობ, ქურთიშვილს, ჩხაიძე თეოფილეს, ნადირაძე ვასო, გვერდწითელი.**

ვლადიმერ თენეიშვილი.

ამხ. შიო გუგეშაშვილის გამოწვევით, შემომაქვს ერთი (1) მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ასაგებ ფონდის გასაძლიერებლად და ამავე თანხით ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

ციცკარიშვილი ვასილი, კარტაული ამირან, (თელავის მ.), **ხვედელიანი შურა რენტი** (თელავის მ.), **ხვედელიანი შურა** (ფოთი მ.), **ნემსიწვერიძე შურა** (შორაპნის მ.), **ხარაძე ვარო** (შორაპნის მ.), **სასანია საშა** (დაბა წობი), **კვაშილავა მადიკო** (აფხაზეთი), **ჩაჩხიანი, კალისტინა** (ლეჩხ. მაზ.), **სამხარაძე მარო** (გორის მაზრა).

ირაკლი როსტომაშვილი.

შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის გასაძლიერებლად (8) მან. და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

მელენტი თოფურიას, თომა ლუკავას, ნუგეშიძეს, ერისთავს, არუთინოვს, მღებრიშვილს, ძამანაშვილს და ბაქრაძეს (მიწსახკომიდან).

ილია გუაძე.

თავდაცვის კვირეული

კვირეულის ჩატარების პროგრამა

თავდაცვის კვირეულის ჩამტარებელმა ცენტრალურმა კომისიამ გამოიმუშავა — ავტონომიურ რესპუბლიკებში, მაზრებში, რაიონებში და თემებში — კვირეულის ჩატარების დაწვრილებითი პროგრამა.

რესპუბლიკის ქალაქებში 17 ივლისს გაიმართება დემონსტრაციები, რომელშიაც მონაწილეობა უნდა მიიღონ თავდაცვა - ავიაქიმის ხელისშემწყობი საზოგადოების წევრებმა, ჯარის ნაწილებმა, პიონერთა და კომკავშირის ორგანიზაციებმა, სხვადასხვა სასპორტო ორგანიზაციებმა (ატლეტებმა, ფეხბურთელებმა, ველოსიპედისტებმა და სხვ.) დემონსტრაციებზე გამოტანილი იქნება პლაკატები, ლოზუნგები, კარიკატურები, დროშები და სხვ.

იმ ქალაქებში, სადაც დაბანაკებული არიან წითელი არმიის ნაწილები უნდა გაიმართოს წითელი არმიის ტექნიკური მიღწევების დემონსტრაცია და ამ მიღწევათა გამოფენები. გარდა ამისა ამავე ქალაქებში გაიმართება თანამედროვე ომის იმიტაცია, რომელშიაც მონაწილეობა უნდა მიიღონ ცხენოსანმა ნაწილებმა, არტილერიამ, ტყვიამფრქვეველთა რაზმებმა, აეროპლანებმა, ქიმიურმა რაზმებმა და სხვ.

დემონსტრაციები და ომის იმიტაციები უნდა დასრულდეს მიტინგებით.

17 ივლისი თბილისში

თავდაცვის კვირეულის უკანასკნელ დღეს, 17 ივლისს თბილისის მთავარ ქუჩებზე და მოედნებზე გაიმართება ქიმიური ომის იმიტაცია. „ომის“ ცენტრად გადაქცეული იქნება რუსთაველის პროსპექტი და თავისუფლების მოედანი.

ქალაქზე „თავდასხმას“ მოაწყობენ აეროპლანები, რომლებიც ქუჩებში გადმოისვრიან ყალბი გაზებით გატენილ ქაღალდის ყუმბარებს. ომის იმიტაციაში მონაწილეობას მიიღებენ თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების წევრები, სამხედრო უწყების ქიმიური რაზმები, სანიტარული დახმარების რაზმები და სხვ.

ომის იმიტაციის დროს ქუჩებში გაუშვებენ ხელოვნურ ნისლს და შემდეგ ამ ნისლს ხელახლა გარეკენ სპეციალური მოწყობილობებით.

ლოზუნგები თავდაცვის კვირეულისათვის

1) შუბლმაგართა ხრიკებს საბჭოთა კავშირის მშრომელნი უპასუხებენ თავდაცვა-ავიაქიმის ხელისშემწყობ საზოგადოებაში შესვლით.

2) თავდაცვა - ავიაქიმის საზოგადოების წევრებო და ყველა მშრომელნო დადექით თავიანთ პოსტებზე და მეტი აქტივობა გამოიჩინეთ საბჭოთა კავშირის თავდაცვის გაძლიერების საქმეში.

3) მშრომელნო — გააძლიერეთ საბჭოთა კავშირის თავდაცვა.

4) მტერი ჩვენს წინააღმდეგ ამზადებს ტექნიკას, — მშრომელნო გააძლიერეთ სამხედრო ქიმია და წითელი საჰაერო ფლოტი.

5) გააძლიერეთ საბჭოთა კავშირის სანაპიროების თავდაცვა.

6) მშრომელნო — შეუდგომელი კედელი აღვმართოთ სოციალისტური მშენებლობის ციხე-სიმაგრის გარშემო.—გაამრავლეთ თავდაცვა-ავიაქიმის ხელისშემწყობ საზოგადოების რიგები.

7) თავდაცვა ავიაქიმის ხელისშემწყობი საზ-ბა უნდა გადაიქცეს მუშურ - გლეხური წითელი არმიის დასაყრდენად და რეზერვად.

8) მუშებო და გლეხებო, თავდაცვა - ავიაქიმის საზ-ბის ხელისშემწყობით თქვენ აძლიერებთ საბჭოთა კავშირის თავდაცვას.

თბილისის მილიციის თანამშრომელთა კრება

გუშინ, საღამოს ხუთნახევარ საათზე, მუშათა ახალ კლუბში შესდგა თბილისის მილიციის თანამშრომელთა კრება, რომელზედაც ვრცელი მოხსენებით გამოვიდა თბილისის მილიციის უფროსი ამხ. **ხმალაძე.**

მომხსენებელმა ილაპარაკა თბილისის ქუჩებში მოძრაობის მოწესრიგების სისუსტის შესახებ და დასძინა, რომ ზოგიერთი მილიციელი თავის საგუშაგოს მეტად უყურადღებოდ ეპყრობა. ზოგიერთი მილიციელი თავისი მოუფიქრებელი მოქმედებით სახელს უტეხს წითელ მილიციას; მას არა აქვს კარგად შეგნებული, თუ რა შედის მის მოვალეობაში. მაგალითად, იყო ასეთი შემთხვევა: პირველი უბნის გუშაგმა მილიციელმა შუაღამისას გააჩერა მეეტლე, რომელსაც რამოდენიმე ქალი და კაცი მიჰყავდა ვერის დაღმართზე და განუცხადა მგზავრებს, რომ ისინი დაპატიმრებული არიან. მგზავრებმა მიმართეს მას თხოვნით გაეშვა ისინი, რადგან საეჭვო პირებს არ წარმოადგენდენ; ამასთანავე მათ დასძინეს, რომ ფეხმძიმე ქალი მიჰყავთ სამშობიაროში; აჩვენეს თან პარტიული და სხვა პირადობის მოწმობები, მაგრამ მილიციელი თავისას არ იშლიდა. ავადმყოფი კი ამ დროს საშინელ მდგომარეობაში იყო.

თურმე იმ მილიციელის აზრით, ღამით მხოლოდ საეჭვო პირები დადიან.

არასოდეს არც ერთ მილიციელს არ ჰქონია მიცემული წინადადება, რომ ღამე მგზავრობა აეკრძალა, მაგრამ, როგორც აღვნიშნე, ზოგ მილიციელს არ ესმის თავისი მოვალეობა.

ზოგიერთი კიდევ მეტად უხეშად იქცევა. მაგალითად, ამ რამოდენიმე ხნის წინად მე-10 უბნის ერთ-ერთი მილიციელი იდგა საგუშაგოზე; უფროსმა მორიგემ შეუნიშნავს, რომ იგი არ იცავდა საგუშაგოს შესაფერად და წინადადება მისცა მისთვის დამდგარიყო საგუშაგოზე; უფროს მილიციელს ეს წყენია, ჯერ კარგად გაულანძღავს ის, ხოლო შემდეგ ამოუღია რევოლვერი და დაუპატიმრებია თავისი უფროსი.

საჭიროა მილიციელებმა საფუძვლიანად მიჰყონ ხელი კულტურულ მუშაობას. გაზეთი არ უნდა იყოს მათთვის უცხო ხილი.

თუ ჩვენ თავს ვუწოდებთ წითელ მილიციელს, საჭიროა შევიგნოთ, შევისწავლოთ და შევითვისოთ ჩვენი მოვალეობა, ამას კი მიგვიწევს კოლექტიური მუშაობით.

მომხსენებელმა დაასახელა ყველა ის ღონისძიებები, რომლებიც უნდა იქნეს მიღებული მილიციელების მიერ ქალაქში წესიერების დასაცავად.

მოხსენების შემდეგ ამხ. **ხმალაძემ** უპასუხა მილიციელებს შეკითხვებზე, რის შემდეგაც კრება დაიხურა.

საქართველოს ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებას

ყოველდღე მიმართავენ, წერილობით თუ პირადათ, სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული გლეხები, მოწაფეები, უმუშევრები და დამზღვევ კასის პენსიონერები, რომლებიც მოითხოვენ ფულით დახმარებას, კურორტზე გაგზავნას, სამუშაო საქონლის (ხარების) შეძენას, სახლის აშენებას სახელმწიფო ხარჯზე და სხვა.

სრ. საქართველოს ცაკის სოც. უზრუნველყოფ განყოფილება აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ განყოფილებიდან ერთდროული დახმარების მიღების უფლება აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც აღრიცხვაზე არიან აყვანილი სოც. უზრ. ორგანოების მიერ, ასეთებს ეკუთვნიან:

რევოლუციის და სახელმწიფოს წინაშე დამსახურებული პირები და მათი ოჯახები, ომის ინვალიდები, ომში მოკლულთა და წითელ-ჯარში გაწვეულთა ოჯახები და სხვა. რაც შეეხება დანარჩენ მოქალაქეთ, როგორიც არიან სოფლიდან ჩამოსული გლეხები, დამზღვევ კასის პენსიონერები, პროფკავშირის წევრები, დაზღვეულები, უმუშევრები, მოსწავლე ახალგაზრდობა და სხვა, მათ არა აქვთ უფლება მიიღონ დახმარება ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებიდან. ამ პირთა მიერ შემოტანილი განცხადებები განყოფილებაში უშედეგოთ იქნება დატოვებული.

1—1 ნ. 1345

სურებ-ჩოხატაურის გზა

თანახმად ბ. ბიბინეიშვილის გამოწვევისა შემომაქვს 10 მანეთი სურებ-ჩოხატაურის გზის გასაყვანათ და ვიწვევ ბუკისციხის თემის მცხოვრებ შემდეგ ამხანაგებს: (ბაქოდან) ლევან ლუკასძე სიმონიას, ხამსონ სიმონისძე ქორიძეს, ილიკო ლუკას ძე სიმონიას. (თბილისიდან): კალისტრატე კონსტანტინესძე ცინცაძეს, ვანო ანტონის ძე შარაშიძეს, (ლადო) ვლადიმერ ნიკოლისძე ცინცაძეს, სევერიანე მაქსიმელისძე კეკელიძეს, გრიშა ილაკრის ძე შარაშიძეს, კოლია (ნიკოლოზ) ჯაბულოს ძე მეგრელიშვილს, კლემენტი ესეს ძე ქორიძეს, იულო ლუკასძე სიხარულიძეს, პანტელეიმონ მელიტონის ძე ჩხიკვაძეს, შალვა ილიას ძე მგალობლიშვილს, ნოე ერასტოს ძე გურგენიძეს და ეზეკი ივანეს ძე გურგენიძეს. (ს. ცხიდან): რაჟდენ ლუკას ძე სიხარულიძეს და ილარიონ ამბაკოს ძე გურგენიძეს. (ს. იანეულიდან): არჩილ გრიგოლისძე კეკელიძეს და ამროსი ლავრენტის ძე კეკელიძეს.

სერგო ქორიძე.

სურებ-ჩოხატაურის გზის გასაყვანათ შემომაქვს 10 მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

ერმალო კალანდაძეს, დ. კოპლატაძეს, ს. ხუციშვილს, აკ. ბაქანიძეს, (ქალაქის აღმასკომიდან). კ. დოლიძეს (ფინსახკომიდან) აბ. თენიეშვილს, (ოლქის სასამართლოდან). არ. დავ. ბარამიძეს, (ქუთაისიდან) ვლ. ბარამიძეს (მოძრაობის დირგ. მე-2-რე განყ. უფრ.), შ. კ. კილურაძეს, ნ. ბარამიძეს, კონტრიძეს, გრ. თალაკვაძეს, (ადმინგანიდან), კ. გურგენაძეს. ილ. კალანდაძეს, დ. ნიკოლაშვილს, პ. ჟღენტს, ვ. როინიშვილს, პ. თალაკვაძეს, კ. უჯმაჯურიძეს, ლ. მამალაძეს, ლ. სოსელიას (ოზურგეთიდან). ვ. ს. წიტაიშვილს, (კახეთის ლიანდაგის უფროსი), არ. თავბერიძეს, აპ. მგალობლიშვილს (რკ. საგან. კომ.) ს. კვიწმარიშვილს, გ. ბერიძეს, ზ. კეშელავას, კ. რამიშვილს, ერ. სიხარულიძეს, ლ. ბერძენიშვილს, ერ. კალანდაძეს, ლ. ჩხიკვაძეს, (საქ. გ. დ. განყ.); ო. ცინცაძეს, (გურჯაანიდან). ს. კეკელიძეს, ერ. იმნაიშვილს, გრ. ჩხაიძეს (ასურეთიდან).

შ. ბარამიძე.

ამხ. ბ. ბიბინეიშვილის გამოწვევით შემომაქვს ხუთი მანეთი სურებ-ჩოხატაურის გზის სასარგებლოდ და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: (ვისაც რამდენი სურს) სერგო მეგრელიშვილს, ვარდენ კალანდაძეს, ლევან ჟღენტს, გერმანე ლომთათიძეს, ალექსანდრე ბობოხიძეს, გიორგი ელიაშვილს (მეორე დივიზია), იაკობ დონდუას, (რკინის გზის რაზმი), ვ. ხუტულაშვილს (ა. კ. საბაჟო), შალვა ლომთათიძეს (საბაჟო) და ელიზბარ კალანდაძეს.

ტარასი მგალობლიშვილი.

ქრონიკა

ა.-კ. სახკომსაბჭოს და უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს გაერთიანებული სხდომა

დღეს, 22 ივნისს, საღამოს 7 საათზე შესდგება ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს და უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს გაერთიანებული სხდომა, რომელზედაც გაირჩევა შემდეგი საკითხები:

1) ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიან პერსპექტიულ გეგმის კონტროლო ციფრების პროექტი.

2) 1927-28 საბიუჯეტო წლის წინასწარი საკონტროლო ციფრების პროექტი.

3) ამიერ-კავკასიის 1927-28 საბიუჯეტო წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენის და განხილვის სამუშაოების კალენდარული გეგმა.

საჭიროა 100 მუშა

თბილისის შრომის ბირჟისათვის საჭიროა 100 მუშა სხვადასხვა დაწესებულებებში გასაგზავნათ. მუშები უნდა გამოცხადდენ დღეიდან ამხ. კომახიძესთან.

„შუგმელსტროი“-ს ლიკვიდაცია

ა.-კ. უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა „შუგმელსტროი“-ს სალიკვიდაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით.

ამხ. ხუმარიანი (თავმჯდომარე), ბაგიროვი, შირიუშოვი, ბუნიატ-ზადე და კალანტაროვი.

საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირი

ა.-კ. უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა ა.-კ. რკინისგზების გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირი შემდეგი შემადგენლობით:

ამხ. ტერ - მიქელიანი, შახბუდაგოვი, არხანგელსკი, ნებესოვი, პაპიტაშვილი, გორიაინოვი, მაჭავარიანი, კალანტაროვი, ჯანიბახჩიევი და ათაბეკოვი.

ხე-ტყის დამზადება

ამიერ - კავკასიის უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილი იქნეს ხე-ტყის ნორმალური მიწოდება ამ.-კავკაზ. რკინისგზებისათვის, საჭიროდ სცნო გაგრძელებული იქნეს მერქანის დამზადება ა.-კ. რკინისგზებისათვის ა.-კ. რკინისგზების ხე-ტყის დამამზადებელ აპარატის მიერ. ამასთან ერთად ხე ტყის დამზადება უნდა აწარმოონ ამიერ-კავკასიის სატყეო ტრესტებმაც.

ამიერ - კავკასიაში შემავალ რესპუბლიკების სახკომსაბჭოს დაევალა გადასცენ ა.-კ. რკინისგზებს საჭირო სატყეო ნაკვეთები.

თბილისის აღმასკომში

◆ **ბავშვები სანატორიუმებში.** ჯანმრთელობის განყოფილებასთან არსებულ დედათა და ბავშვთა დაცვის ქვე-განყოფილებამ მანგლისის საბავშვო სანატორიუმში გაგზავნა ჯანმრთელობით სუსტი ბავშვები.

◆ **ორთაჭალის მამულის** საჩვენებელ პუნქტად გადაქცევის მიზნით, აღმასკომმა გადასწყვიტა იქ გააშენოს ძვირფასი ჯიშის ხეხილებისა და ბოსტნეულის ბაღები..

საბინაო მშენებლობა

◆ **საბინაო გადასახადიდან** წელს საამშენებლო ფონდში გადაირიცხება 400.000 მანეთი.

◆ **ახალი სახლები.** საბინაო კოოპერაციის დაარსების დღიდან საამშენებლო ამხ-ბებმა თბილისში ააგეს 76 ახალი სახლი.

◆ **საბინაო-საიჯარო ამხ-ბებს** დღემდე გადაეცათ 214 სახლი.

◆ **სახლების შეკეთება.** საიჯარო ამხ-ბის სახლების შესაკეთებლად ყოველთვიურად იხარჯება 24.500 მანეთი.

სხვადასხვა

◆ **შემნახველი სალაროები.** მთელ ამიერ-კავკასია'ში 1 ივნისისათვის ირიცხებოდა 452 სალარო.

◆ **ფიზიო-ტერაპევტიული ინსტიტუტი,** შეკეთების გამო, იხურება 1 ივლისიდან 1 აგვისტომდე.

◆ **მოსახლეობის მოძრაობა.** მიმდინარე წლის პირველი ნახევრის განმავლობაში თბილისში ავად გახდა 117,654 კაცი, გარდაიცვალა—1373.

◆ **სამხედრო სწავლება.** მომავალ სასწავლო წლიდან უმაღლეს სასწავლებლებში სავალდებულო საგნებათ შემოღებული იქნება სამხედრო სწავლება.

მოამბე. რედაქციამ მიიღო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტების „მოამბე“ № 15.

◆ **მოხსენებები.** ხუთშაბათს 23 ივნისს საღ. 6 საათზე საქ. გეოლოგიური ინსტიტუტის ბინაზე (უნივერსიტეტის ქ 1) შესდგება საჯარო სხდომა რომელზედაც მოხსენებებს წაიკითხავენ: 1) ინჟ. **ზუნტურიძე:** გეოდეზიური პუნქტების სიმაღლეთა ცვალების შესახებ ამიერ-კავკასიაში და 2) პროფ. **ალ. თვალჭრელიძე:** მოხსენება ბაქოში მივლინების შესახებ, 3) მცირე მოხსენებები.

შემთხვევები

◆ **პუშკინის ბაღთან** 20 ივნისს სამსონ კიკაბიძეს ჯიბიდან ამოაცალეს 110 მანეთი.

◆ **ქურდი ქალი.** 20 ივნისს შეიპყრეს შაროაკოფის ასული ბაღდასაროვი, რომელმაც არტემ ბაღდასაროვს მოპარა 30 მანეთი.

◆ **ნავთლუღში** 20 ივნისს დავით სარქისოვს ჯიბიდან ამოაცალეს 75 მანეთი.

◆ **მტკვარში დახრჩობა.** მოქ. პეტრე ზრანდუხმანმა მილიციას წარუდგინა უცნობი მოქალაქის ტანისამოსი და განაცხადა, რომ 20 ივნისს, დღის 12 საათზე ვიღაც მოქალაქემ გაიძრო ეს ტანისამოსი და შეცურდა მტკვარში, რის შემდეგ ნაპირზე აღარ გამოსულა.

◆ **სავაჭროს გაქურდვა.** 20 ივნისს, კაშოს ქ., № 81, გაქურდეს პეტრე ქეივანოვის სავაჭრო.

◆ **კედლის ჩამონგრევის** დროს პარკოვის ქ., № 21, ნანგრევებში მოჰყვა სარქის ივანიანი, რომელიც მძიმედ დაშავდა.

◆ **ბავშვის მოტყუების** საშუალებით 20 ივნისს კოტე ლალიაშვილის ბინაში შევიდა უცნობი ქალი, რომელმაც მოიპარა 30 მ. ფულად და 43 მან. ნივთები.

◆ ამავე დღეს არსენალის ქ., № 14, სახლში ძილის დროს გაქურდეს გარეგინ გრიგორიანცის ბინა.

◆ **ქალის დაკარგვა.** 18 ივნისს, დილის 8 საათზე (1 სამილიციო რაიონში) სახლიდან გავიდა მოქ. ნინა ზაქარიას ასული მჭედლიშვილი და დღემდე აღარ დაბრუნებულა.

◆ ამავე რიცხვს სახლიდან გავიდა ვლადიმერ ილიასძე გიგაური (მცხოვრ. ბროსეს ჩიხი, № 18, და დღემდე არ დაბრუნებულა.

◆ 16 ივნისს სახლიდან გავიდა შახრამ მამედოვი (19 წლის), რომელიც დღემდე არ დაბრუნებულა.

განმარტება

ჩვენი გაზეთის № 136-ში გამოქვეყნებული ცნობა სიმულიანტ ალ. სამადაშვილის შესახებ არ შეეხება ალექსანდრე გიგას ძე სამადაშვილს.

◆ ამ რამოდენიმე დღის წინად ჩვენს გაზეთში მოთავსებული ცნობა ბავშვების გამხრწნელ მიხ. ლაშხის შესახებ არ შეეხება მიხეილ ლაშხი ლობჟანიძეს.

სამკურნალო ბალახების ექსპორტი

სამკურნალო მცენარეების გატანა უკანასკნელ ხანებში თვალსაჩინო ადგილს იჭერს ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს საექსპორტო გეგმაში.

ამიერ - კავკასიიდან უმთავრესად იგზავნება წითელი გვირილა, ბელადონა, კოლხიდის ვალერიანა და სხვა.

სამი საოპერაციო წლის განმავლობაში წითელი გვირილა დამზადებული იქნა 2224 ფუთი, აქედან მეტი ნაწილი უკვე გატანილია საზღვარგარეთ; იგივე ითქმის ფიტოლიაკზე, რომელიც 1925—26 წელში გასაღებული იქნა ნიუ-იორკში.

იზრდება აგრეთვე დანარჩენი სამკურნალო მცენარეების ექსპორტიც.

ჩაი

შავი ჩაი

ადგილობრივი შავი ჩაის გაყიდვა ამიერ-კავკასიის ფარგლებში, ა.-კ. უმაღლეს ეკონომიური საბჭოს დადგენილებით. დაეკისრა სააქციო საზ. „საქართველოს ჩაი“-ს, ა.-კ. კოოპერატიულ კავშირის და ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს.

დანარჩენ ორგანიზაციებს და პირებს ეკრძალებათ შავი ჩაით ვაჭრობა.

ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატს და ა.-კ. ფინსახკომს დაევალა მიიღონ ზომები ამ დადგენილების სასწრაფოდ ცხოვრებაში გასატარებლად.

ჩაის მავნებლები

საქართველოს ს. ს. რ. მიწათმოქმედების კომისარიატის მცენარეთა დაცვის ქვეგანყოფილებამ ჩაის სამმართველოსთან ერთად ჩაატარა ბრძოლა ჩაის ბუჩქების მავნებელთა (ჩაის ჩილი) და ნარიჯოვან მცენარეულობის მავნებლების (ტკიპი და სხვა) მოსასპობად. „საქართველოს ჩაიმ“ ამ საქმისათვის გადასდო 1200 მანეთი

ჩაის პლანტაციები

1926-27 წლის სათეს კამპანიის განმავლობაში შემჩნეულია ჩაის პლანტაციების ინტენსიური ზრდა, როგორც გურიაში, ისე აჭარისტანში. კერძოდ საგრძნობლად გადიდდა ჩაის პლანტაციების სივრცე ქობულეთის მაზრაში. გასულ წელთან შედარებით მიმდინარე წელს გლეხების ჩაის პლანტაციების სივრცე 116,5 დეს. ანუ 74 პროც. გაიზარდა. გასულ წელს პლანტაციების სივრცე უდრიდა 157,5 დესეტინას, წელს კი ქობულეთის მაზრაში ჩაის პლანტაციები შეადგენენ 275 დესეტინას. ჩაის პლანტაციის გაშენებას წელს დააგვიანდა, მიუხედავათ ამისა ჩაის მცენარე კარგად აღმოცენდა და ნორმალურად იზრდება.

ნაქალაქევის შესწავლა

ნაქალაქევი, რომელიც მდებარეობს სენაკის მაზრაში, ფოთსა და სამტრედიას შუა, ცნობილია ჩვენში, როგორც ისტორიული. უძველესი ქალაქი. წინასწარი ცნობებით, ამ ქალაქს ჰასაკი ორი ათას წელს აღემატება.

დღემდე ნაქალაქევი სათანადოთ შესწავლილი არ ყოფილა.

მხოლოდ ეხლა საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატთან მოეწყო კომისია, რომელსაც ევალება დაამუშაოს ნაქალაქევის არქეოლოგიური გამოკვლევების და გათხრების გეგმა. კომისიაში სამუშაოდ მოწვეული არიან სპეციალისტები—არქეოლოგები, ისტორიკოსები და სხვა პირები.

ამ ადგილის ისტორიული გამოკვლევისადმი დიდ ინტერესს იჩენს აგრეთვე საბჭოთა კავშირის სამეცნიერო აკადემია. გადაწყვეტილია ნაქალაქევის გასათხრელი მუშაობა ჩატარდეს საქართველოს განათლების კომისარიატის და საბჭოთა კავშირის სამეცნიერო აკადემიის გაერთიანებული ძალებით, ამჟამად განათლების კომისარიატთან მოწყობილი საგანგებო კომისია აწარმოებს წინასწარ მოსამზადებელ მუშაობას.

სპეციალისტ - არქეოლოგები ფიქრობენ, რომ ნაქალაქევის გათხრით ნაპოვნი იქნება დიდი ძალი ისტორიულ-არქეოლოგიური მასალა.

წინასწარი ცნობებით ამ ადგილას არსებული უძველესი ქალაქი, რომელიც ქართული წარმოშობის უნდა ყოფილიყო, ეკუთვნოდა ხალხთა კულტურის ე. წ. ბერძნულ პერიოდს.

მომავალ სამოსწავლო წლისათვის

მოწაფეთა მიღება მე-8 და მე-5 ჯგუფებში

თბილისის აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების განმარტებით მიმდინარე წლის შემოდგომაზე მერვე და მეხუთე ჯგუფებში მისაღები გამოცდები არ შესდგება. მოწაფეების მიღება ზემოხსენებულ ჯგუფებში იწარმოებს შრომის სკოლების მიერ გაცემული მოწმობის მიხედვით სკოლის დამთავრების შესახებ. მოწაფეებს უნდა ექნეთ აგრეთვე პედაგოგიურ საბჭოს მიერ მიცემული მოწმობები შრომის უნარიანობის შესახებ და მოწმობა სოციალური მდგომარეობის შესახებ.

ელექტრო-ტეხნიკური კურსები

მომავალი სამოსწავლო წლის დამდეგიდან ქალაქის აღმასკომის განათლების განყოფილება სამოცდამეათე შრომის სკოლასთან ხსნის სპეციალურ ელექტრო-ტეხნიკურ კურსებს, რომლებზედაც მიიღებიან შრომის სკოლების კურს დამთავრებულნი.

ხელოვნება

გამოცდები კონსერვატორიაში
(ფორტეპიანოს კლასი)

დიდი ყურადღება ექცევა მუსიკალურ განათლების განვითარებას სახელმწიფო კონსერვატორიაში. ამით აიხსნება სერიოზული მოთხოვნილებები გამოშვებითი გამოცდებისადმი. სწავლების პროგრამა სავსებით შეეფარდება რუსეთის დიდი ქალაქების კონსერვატორიების სწავლების პროგრამას, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში სჭარბობს კიდევაც ევროპიულ კონსერვატორიების (გარდა ბერლინისა) მოთხოვნილებებს.

ამას წინად გაიმართა გამოშვებითი გამოცდები პროფესორ ვირსალაძის, ტერ - სტეპანოვის და თულაშვილის კლასებში. ყველა კურსდამთავრებულნი ვალდებული არიან მუსიკალურ გამოცდამდე ჩააბარონ გამოცდები პოლიტიკურ და ყველა თეორეტიულ საგნებში, და მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლიათ დაასრულონ კონსერვატორიის კურსი არჩეული სპეციალობის მიხედვით.

პროფესორ თ. ტერ - სტეპანოვის კლასში გამოცდების დროს ყველა მოსწავლეები ასრულებდნენ კლასიკოსების (ბახი, ბეთჰოვენი, მოცარტი) ნაწარმოებებს შემდეგ პროგრამაში შედიოდა შუმანის, შოპენის, ლისტის ნაწარმოებნი, ფორტეპიანო კონცერტი, ანსამბლის ნომერი და რუსული მუსიკალური ლიტერატურა. გარდა ამისა პროგრამაში შეტანილია ქართული მუსიკალური ხელოვნების ნაწარმოებნი.

ტერ - სტეპანოვას კლასი დაასრულეს ეგეიაზაროვამ, ტერ - მინასოვამ (ორივე სამაგალითოდ ასრულებენ ბახის, ბეთჰოვენის, შუმანის, სომატას და ლისტის ნაწარმოებს ნაკლებ დამაკმაყოფილებლად ასრულებს შოპენის ბალადას ეგეაზაროვა. ორივე დიდი ნიჭის პატრონია), მაზმანოვამ (მშვენიერი ტეხნიკა, ნაკლები მუსიკალობა) და შერმაზანოვამ. სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა დამასკინას მოსმენა.

ვირსალაძეს კლასი დაასრულა საცკევიჩმა, რომელიც დიდი ნიჭის, მაგრამ ნაკლები მუსიკალობის პატრონია. სჩანს სერიოზული, მშვენიერი სკოლა. შუმანის სონატაში კარგია უკანასკნელი ნაწილი. პირველსა და მეორე ნაწილს აკლია რომანტიკა (შუმანის სტილის დამახასიათებელი მხარე).

თულაშვილის კლასი დაასრულა ჟოჟიკაშვილმა. საშუალო ნიჭი, ნაკლები მუსიკა. მეტად მკრთალი პიანიზმი გამოიჩინა ტატევოსიანმა (ტრუსკოვსკის მოწაფე). ეტყობა, რომ მოუმზადებელია (შოპენის პრელიუდია, შუმანის ფანტაზია).

ვ. ბ.

საბჭოთა კავშირის ეროვნებათა ხელოვნების გამოფენა

ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის საკავშირო სამხატვრო აკადემია, საკავშირო ცაკის მიერ ოქტომბრის ათი წლის თავის ზეიმის ჩასატარებლად გამოყოფილი კომისიის დადგენილების თანახმად, აწყობს საბჭოთა კავშირის ეროვნებათა ხელოვნების საიუბილეო გამოფენას. შინა-მრეწველობის, მხატვრული მრეწველობის და აგრეთვე მუსიკალური შემოქმედების დარგში გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება მთელი საბჭ. კავშირი. რაც შეეხება სახვითი ხელოვნებას, ბეჭდვითი სიტყვას, სამხატვრო ლიტერატურას, თეატრსა და კინოს, —გამოფენის ეს განყოფილება წარმოდგენილი იქნება თითქმის მხოლოდ უკრაინის, კავკასიის ერების, ბელორუსიის, ყირიმის, თათართა რესპუბლიკის და შუა-აზიის რესპუბლიკების ექსპონატებით.

რაც შეეხება რუსეთს, საიუბილეო ზეიმისათვის რუსეთის მთელი რიგი ორგანიზაციები აწყობენ ცალკე გამოფენებს.

საღამო უპატრონო ბავშვთა სასარგებლოდ

საქართველოს ცაკთან არსებული უპატრონო ბავშვთა დამხმარე კომისია შაბათს, 25 ივნისს „არტო“-ში აწყობს დიდ საღამო - სეირნობას, რომელ'შიაც მონაწილეობას მიიღებენ თბილისის საუკეთესო არტისტული ძალები.

პროგრამაში: საბავშვო სეირნობა, საესტრადო გამოსვლა და გართობის სხვა ნომრები.

„დიდება ზაჰესს“

ზაჰესის გახსნის დღეს 26 ივნისს, ზეიმზე შესრულებული იქნება მ. ბალანჩივაძის კანტანტა „დიდება ზაჰესს“. კანტანტას შესრულებს ახალგაზრდა მუსიკოსთა საზ-ბა და ოპერის მომღერალთა გუნდი.

◆ **ცნობილ პიანინოზე დამკვრელის ლეკკერის** მონაწილეობით დღეს მიხსანშრომის კლუბში გაიმართება დიდი სიმფონიური კონცერტი.

◆ **„ტამილა“.** რეჟისორი ბერიშვილი შეუდგა ახალი სურათის „ტამილას“ გადაღებას.

◆ **მომღერალი ქუმსიაშვილი** გაემგზავრა აღმოსავლეთ საქართველოში კონცერტების გასამართავათ; კონცერტების მთელი შემოსავალი მოხმარდება მთიულეთში რადიო-მიმღებ სადგურების მოწყობას.

◆ **სიმფონიური კონცერტი.** დღეს მუშათა ახალ კლუბში ივანე ფალიაშვილის ხელმძღვანელობით გაიმართება სიმფონიური კონცერტი.

სასამართლო

უმადური სიძე, ანუ ღორი მუხის ქვეშ

ახალგაზრდა სანდომიანი ქალი ცოლად გყავს, სიდედრი თავზე გევლება და მთელს თავის დედულ - მამულს მემკვიდრეობათ გიტოვებს, რაღა გინდა მეტი ხარბო გულო! იცხოვრე და სხვაც აცხოვრე. რა დაგიშავა საწყალმა დედაბერმა? შენთვის უშრომია, შეუქმნია ბარაქიანი ოჯახი.

— რა გინდა, შვილო, ყველაფრით სავსე ოჯახში შემოგიყვანე, ჩემი ერთად - ერთი ქალი ხომ შენი მონა - მორჩილი ცოლია, მეც თავზე გევლები... მთელი ჩემი სარჩო - საბადებელი შენთვის დამიტკიცებია. ღმერთმა დიდი დღე მოგცეს... ოჯახზე მოდავე არავინ გყავს.. იცხოვრე, გაიხარე შვილო. ამ სიბერეში ცუდს ნუ შემომასწრებ, ნუ ჩამიმწარებ უკანასკნელ დღეებს ლუკმა პური მაჭამე, სანამ სული მიდგია და შენი ლოცვის მეტს არაფერს ვიზამ..

— ჰმ! ლუკმა პური.. შენ რომ პატარა ლუკმა იცი?.. ვითომ ეს ლუკმა პური მუქთად მოდიოდეს! შე ბერ - ძაღლო, შენა.. რომ დაგიღია პირი და უცოხნელად იყლაპები, როგორ ფიქრობ, სანამ უნდა იყო ჩემს კისერზე?

— შვილო, დიდი დღე მაინც არ მაქვს, ნუ გამწირავ, ნუ გამაგდებ ჩემი ოჯახიდან, სადაც მთელი ჩემი აჯა და ღონე ჩამილევია.. ალალი იყოს შენზე ყველაფერი.. ნუ გამრისხავ, დამაცალე სიკვდილი ჩემს ოჯახში...

— შენ ჩაძაღლებამდე თუ ვიცადე, კარგად წავა ჩემი საქმე. შენს სიკვდილს არაფერი ეშველა.. აბა! გაიკმინდე ენა... სიკარი შენი ბარგიბარხანა და ჩემს თვალს არ დაენახვო.. ჩქარა!

— სად მაგდებ, შვილო, სად უნდა წავიდე არაქად გამოლეული დედაბერი... ეი ჩემს დღე...ე...ე...ს...

ასე, კალურის კვრით გააგდო ოჯახიდან ვლადიმერ ილურიძემ მტირალი სიდედრი ლიზა გოხელაძე, რომელმაც ყველა სასიძოებს ანაცვალა ვლადიმერი და მთელი თავისი ნაამაგარი ოჯახი ხელში ჩაუგდო. ეს ამბავი მოხდა სოფელ საკორინთელოში, გორის მაზრაში.

დიდ ხანს დაეხეტებოდა საწყალი დედაბერი უპატრონოთ, მშიერ - მწყურვალე. ბოლოს ეს ამბავი მივიდა სასამართლოს ყურამდე. უკანასკნელმა უკუღმა შეატრიალა ვლადიმერ ილურიძის „სამართალი“: სიდედრი უკანვე დააბრუნა თავის ოჯახში, ხოლო ვლადიმერი მიაბრძანა ეზოდან.

რა უჭირდა ოჯახ-ქორს, რა ეშმაკი შეუჯდა, გაჩერებულიყო პატიოსნათ! ეცხოვრა ამ სხვის გაკეთებულ ოჯახში! ამაზე იტყვიან, „ღორის თავს სუფრაზე სდებდენ, ის კი ნაცარში ვარდებოდაო“, — ასე ამბობდენ მეზობლები.

გადიოდა დრო... ვლადიმერს უზრუნველი ცხოვრების მოგონება მოსვენებას არ აძლევდა. დღე და ღამე იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ მოეხერხებია დაკარგული ოჯახის ხელში ჩაგდება. ადგენდა გეგმებს, ფიქრობდა საშუალებებზე და უმადურმა მხეცმა ყველა საშუალებებს შორის უსაზიზღრესი აირჩია.

ერთ საღამოს, როცა მისი სიდედრი ძლივძლივობით მოფარფატობდა მეზობელ სოფლიდან, ვლადიმერი ჩაუსაფრდა ორი ჯოხით „შეიარაღებულ მტერს“, მოხადა მხრებიდან შალი, წაუჭირა ყელში და დაახრჩო. გვამი გადააგდო სადღაც ხევში.

— ეხლა რომ არავინ არის ხელის შემშლელი. იცხოვრე და იხარე ვლადიმერ! გიყვარდა კარგი ცხოვრება და გეშველა კიდეც! — ნეტარობდა [illegible]

მაგრამ „ხელის შემშლელი“ აღმოჩნდა. ვლადიმერ ილურიძეს კიდევ დაატოვებინეს ოჯახი და ცხრა წლით გაგზავნეს იქ, სადაც მისფერი „კუდები“ სხედან.

საქმე გაირჩა ქ. გორში. **სასამართლოს შემადგენლობა:** თავმჯდომარე—ამხ. **სიჭინავა,** სახალხო მსაჯულები: ცაბაძე და ლოლაძე, მდივანი—კომახიძე, პროკურორი — **ხარაბაძე.**

ვერ.

—:—

კაცი, რომელიც ორ შაურათ სცხოვრობდა

ორი შაურით მხოლოდ ტრამვაიში თუ ჩაჯდებით, ან ლაღიძის წყალს გადაკრავ ამ სიცხეში, ან კიდევ ვადა გასულ ბილს თუ იყიდით,.. ერთ გირვანქას... ერთი სიტყვით, ორი შაურით რომ დიდ სადირალს ვერაფერს იყიდით, რა არის აქ სადავო?

მაგრამ თბილისში სცხოვრობდა ერთი ადამიანი, რომელიც ორ შაურათ კიდეც სჭამდა, კიდეც სვამდა, ტანზედაც იცვამდა, მტერ-მოყვარეს უსწორდებოდა.., ერთი სიტყვით სცხოვრობდა, როგორც სცხოვრობს, მაგალითად კარგი მოზრდილი ჯამაგირის მქონე საბჭოთა მუშაკი. ფერზედაც კარგზე იყო, ჯანზედაც; წარმოიდგინეთ თეატრშიაც არ გაუშვებდა უნახავს არც ერთ პრემიერას, არც ერთ გასტროლს.

საუკეთესო სასადილოებში ხომ ყველა მის ხელგაშლილობაზე და პურმარილიანობაზე ლაპარაკობდენ..

ორი შაურით კაცი სცხოვრობდა და ერთხელ დაღვრემილს ვერ ნახავდით, მაშინ, როცა ზოგიერთი ორას მანეთზე მეტს ღებულობს და ყოველთვის ცხვირი ჩამოსტირის, ტრამვაის ფულისთვის რომ შეესესხო, ხელებში ცახცახი აუტყდება.

ეს მთელი გამოგონებაა... ორ შაურად ცხოვრების გამოგონებას დღევანდელ პირობებში, იმას ამბობთ, რომელი პლანეტის აღმოჩენა შეედრება!

ყოველ გამოგონებას თავისი საიდუმლოება აქვს. აი ამ საიდუმლოებაშია საქმე... ეს გამოგონება სამუდამოდ დაეკარგებოდა ისტორიას, რომ კოოპერატივ „ბოეც“-ის ნოქარს თვითონ არ ენახა ეს ორ შაურად მცხოვრები კაცი და მილიციის საშუალებით არ გამოემჟღავნებია მთელი საიდუმლოება.

ასეთი საკვირველი ადამიანი გახლდათ რევაზ მრევლიშვილი. მისი გამოგონების საიდუმლოება მდგომარეობდა შემდეგში: მაგალითად, რევაზს ჰქონდა ორი შაური, შევიდოდა რომელიმე კოოპერატივში ააწონიებდა ორი შაურის ვსთქვათ, ქიშმიშს... გამოუწერიდენ ჩეკს და რევაზი წავიდოდა. 10 კაპიკს გადაასწორებდა მან. 60 კაპეიკად, დაბრუნდებოდა და გამოალაგებინებდა ნოქარს რაც მას მოესურვებოდა.

ასე მარტივი იყო გამოგონება, თუმცა მარტივია ყოველი გენიალური გამოგონება. ასე მუშაობდა თავისი გამოგონების გასაღრმავებლად რევაზ მრევლიშვილი დიდი ხნის განმავლობაში.

სახალხო სასამართლომ დაინახა საჭიროდ რევაზ მრევლიშვილის ორი თვით გაგზავნა გამასწორებელში, რათა რევაზს ტვინი არ ელრწოს ამ გამოგონების გაღრმავების ცდაში.

ბ.

თბილისის ბაზრების მოწესრიგება

„სალდათის“ ბაზრის აღება.—„დეზერტირკის“ მოწესრიგება.—დახურული ბაზარი მადათოვზე

თბილისის აღმასკომის საგეგმო კომისიამ გადასწყვიტა შეუდგეს თბილისის ბაზრების მოწესრიგებას. ბაზრების მოწესრიგება მით უფრო აუცილებელი ხდება, რომ სანიტარული ზედამხედველობა ამჩნევს ბაზრებზე დამპალი საქონლით ვაჭრობის ზრდას და საერთოდ საქონლის ცუდ შენახვას.

საგეგმო კომისიამ მიიღო ე. წ. სალდათის ბაზრის გადაკეთების პროექტი. არსებული ბაზარი დაიხურება და გადატანილი იქნება ახალ ადგილზე—იქ. სადაც ამჟამად ამერიკული ბაზარი იმყოფება. აქ მოწყობილი იქნება ჩვეულებრივი სახის კარვები, მათ შუა საკმაოდ ფართე გასასვლებით. გაყვანილი იქნება წყალსადენი, კანალიზაცია და სხ. გარდა ამისა, მიღებული იქნება ზომები, რომ ბაზარზე გასაყიდათ მოზიდული საქონელი ვაჭრების მიერ საღამოობით არ იქნას წაღებული სახლებში. ეს იმ მიზნით, რომ სანიტარულ ექიმებს საშუალება ჰქონდეთ სისტემატიურად შეამოწმონ საქონლის ღირსება.

სწორედ ასევე მიღებული იქნება ზომები „დეზერტირკის“ მოსაწესრიგებლად და სანიტარული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამ ზომების ჩატარებაში ჩაბმული იქნებიან. აგრეთვე, ბაზრის ვაჭრებიც, რომლებიც დიდ ზარალს ღებულობენ ბაზრის მოუწესრიგებლობის გამო. მათ ყოველდღე უფუჭდებათ დიდძალი საქონელი.

რაც შეეხება დახურულ ბაზარს, საგეგმო კომისიამ აღიარა მისი აუცილებლობა და ამიტომ მის ადგილად აირჩია მადათოვის კუნძული, რომელიც წინასწარ მოყვანილი იქნება დახურული ბაზრისათვის გამოსადეგ მდგომარეობაში.

ბრძოლა კალიის წინააღმდეგ

კალია გავრცელდა სიღნაღის მაზრის სამ რაიონში: ალაზნის ველზე, შირაქის ველზე და მწვანე მინდორზე (გარე-კახეთში, იორზე). კალია მოდებულია 40.000 დესეტინის არეზე. ხოლო არე, რომელსაც კალია ემუქრის და შეიძლება მოედვას, უდრის 200.000 დესეტინას. ამ რაიონებში ბრძოლა კალიის წინააღმდეგ დაიწყო 15 მაისს. ალაზნის რაიონში მუშაობდა 5 რაზმი.

კალიის უმთავრესი გროვები და ბუდეები მოსპობილია. ალაზნის ველის დაცვის შემდეგ რაზმები გადაყვანილ იქნენ შირაქის ველზე, სადაც კალია უფრო გვიან, მაგრამ მეტად ბლომად გაჩნდა. ბრძოლას კალიასთან შირაქის ველზე დაცვითი ხასიათი აქვს. ასეთივე ბრძოლა სწარმოებს მწვანე მინდორზედაც.

სიღნაღის მაზრის გარდა, კალია გაჩდა თბილისის და ბორჩალოს მაზრებში. აქ მუშაობს ორი რაზმი. მიწადმოქმედების სახკომისარიატს განზრახული აქვს გააძლიეროს კალიასთან ბრძოლა, რისთვისაც საჭირო შეიქნება რაზმების რიცხვთა გამრავლება.

რადიო-გადაცემა

ოთხშაბათი, 22 ივნისი

დღეს, საქართველოს პროფსაბჭოსთან არსებულ რადიო - სტუდიიდან გადაცემული იქნება:

კომკავშირის გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“ — ქართულ ენაზე (7—7-20).

რემედაის ინფორმაცია — რუსულ და ქართულ ენაზე (7-20—7-40).

მიწათმოწყობის საკითხები — რუსულ ენაზე (7-40—8).

საუბარი რადიო - ტეხნიკაზე — ქართულ ენაზე (8—8-20).

ამიერ - კავკასიის დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია — რუსულ და ქართულ ენებზე (8-20—8-40).

კონცერტი ან ტრანსლიაცია.

ფეხბურთი

მოსკოვი—დინამო

გუშინ საღამოს „დინამო“-ს სტადიონზე გაიმართა მოსკოვის „დინამო“-ს და თბილისის საგზაო-სატრანსპორტო მთავარ პოლიტიკურ სამმართველოს გუნდის შეჯიბრი. მატჩს სჯიდა ამხ. **იოსავა.**

შეჯიბრის დაწყებამდე მოედანზე თბილისის პროლეტარულ სასპორტო საზ-ბა „დინამო“-ს სახელით სტუმრებს მიესალმა ამხ. **ვოლკოვი,** რომელმაც მათ გადასცა თაიგული ცოცხალი ყვავილებიდან.

საპასუხო მისალმებით გამოვიდა მოსკოვის გუნდის წარმომადგენელი, პროლეტარულ სასპორტო საზოგადოებების „დინამო“-ს ცენტრალური გამგეობის მდივანი ამხ. **ლავრენტიევი.**

მისალმებების შემდეგ დაიწყო შეჯიბრი.

პირველ ხანებში ორივე გუნდი ფრთხილად თამაშობს. სჩანს, რომ ისინი ზომავენ ერთმანეთის ძალებს. თამაში თანაბრად მიმდინარეობს. ბურთი ხშირად ტრიალობს, როგორც ერთი, ისე მეორე გუნდის მხარეზე.

მე-35 წუთზე კვანტის დადების გამო მსაჯი აჯარიმებს მოსკოვს და 11 მეტრიდან დარტყმული ბურთი სტუმრების ბადეშია მოქცეული. პირველ მარცხს მოსკოველებზე არ უმოქმედნია. ისინი ისევ დინჯად განაგრძობდენ თამაშობას, ხშირად მიაქვთ ბურთი თბილისის კარებამდე, მაგრამ ამ უკანასკნელის მეკარის მოხდენილი თამაშის წყალობით იძულებული არიან უკან დაბრუნდენ.

პირველი ტაიმი თავდება 1:0 თბილისის სასარგებლოდ.

თამაშის მეორე განყოფილებაში სტუმრებმა უკვე გააცხოველეს თამაში და მე-12 წუთზე პირველი ლამაზი ბურთი გაიტაცეს. მათ ფორვარდებს შემდეგშიაც ხშირად მიაქვთ ბურთი თბილისის კარებისაკენ, ხშირია „შუტებიც“, მაგრამ თბილისის მეკარე ამხ. **სოლომინი** ახერხებს ყველა კრიტიკულ მდგომარეობიდან გამოსვლას.

მოსკოველების იერიშები გრძელდება. მე-25 წუთზე [illegible] მეორე ბურთი გაივლის თბილისის კარებში. ჩქარა თბილისი დაჯარიმდა და სტუმრები მესამე ბურთით უმასპინძლდებიან თბილისელებს.

ტაიმის ბოლომდე ორივე გუნდი ახერხებს კიდევ თითო ბურთის გატანას და შეჯიბრი თავდება 4:2 მოსკოვის „დინამო“-ს სასარგებლოდ.

სტუმრების მხრიდან განსაკუთრებით კარგათ თამაშობენ მცველები.

ხუთშაბათს მოსკოვის „დინამო“ ეთამაშება „არსრაიონს“.

ვ—ნი.

ა.-კ. ფიზკულტურის დღესასწაული

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა ა.-კ. ფიზკულტურის დღესასწაულის ჩატარება მიზანშეწონილად ჩასთვალა.

ს.პ.კ.ს. კულტგანყოფილებასთან არსებულ ფიზკულტურის ბიუროს დაევალა დაინტერესებულ კავშირებთან ერთად დაამუშაოს საკითხი ა.-კ. ფიზკულტურის დღესასწაულზე საქართველოს პროფკავშირების მონაწილეობის მიღების შესახებ.

მეცნიერება და ტეხნიკა

სურათების გადაცემა რადიოთი

ამერიკის სატელეფონო-სატელეგრაფო კომპანია წარმატებით აწარმოებს ცდებს სურათების გადაცემაზე რადიოთი. გადაცემის პრინციპი იგივეა, რაც ერთფეროვან სურათების გადაცემის დროს. ფერადი სურათების გადაცემა სწარმოებს სპეციალური აპარატის საშუალებით, რომელიც ახდენს ფერების ფილტრაციას და თანამიმდევრობით გადასცემს მათ.

კვამლი და მზის სინათლე

კვამლი, რომელიც აბინძურებს ატმოსფერას დიდ სამრეწველო ცენტრებში, გამანადგურებელ გავლენას ახდენს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე არა მარტო იმიტომ, რომ მტვერით ავსებს ფილტვებს და აღიზიანებს სასუნთქ ორგანოებს, არამედ იმიტომაც, რომ, როგორც ამ რამდენიმე ხნის წინათ განსაკუთრებული აპარატების საშუალებით ჩატარებულმა გამოკვლევამ დაამტკიცა, იგი აკავებს მზის სხივების ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს—ულტრა-იისფერ სხივებს. გამოირკვა, რომ კვამლი აკავებს ულტრა-იისფერი სხივების ერთ მესამედს.

ხელოვნური ნაწლავები

უკანასკნელ დრომდის ძეხვებისათვის და სხვ. ამგვარ პროდუქტებისათვის სარგებლობდნენ ცხოველების ნაწლავებით. ამ ჟამად ამ მიზნისათვის დამზადებულია ხელოვნური პროდუქტი, რომელიც არა თუ არ ჩამოუვარდება ღირსებით ბუნებრივ ნაწლავს, არამედ კიდეც სჯობნის მას.

ნედლეულს ხელოვნურ ნაწლავების დასამზადებლად წარმოადგენს იგივე მასალა, რომლითაც სარგებლობენ ხელოვნური აბრეშუმის დასამზადებლად—ბამბა.

ბამბას მთელ რიგ ქიმიურ პროცესების ზეგავლენით აქცევენ თხელ ან ნახევრათ თხელ ნივთიერებათ; შემდეგ, მიღებულ მასას ატარებენ შესაფერი სიდიდის მილში, მასა გაშრობის შემდეგ იქცევა ცილინდრისებურ მილებათ.

ხელოვნურ ნაწლავებს შემდეგი ღირსება აქვს: აკმაყოფილებს სანიტარულ მოთხოვნილებებს, არ ფუჭდება ისე სწრაფად, როგორც ბუნებრივი ნაწლავები, აადვილებს მუშაობას ძეხვეულის დასამზადებლათ, სავსებით გამოსადეგია საჭმელათ და არ ფუჭდება მოხარშვის დროს.

ნარევი

გარაჟი-კოშკი

ჩიკაგოში (ამერიკა) ააგეს გარაჟი-კოშკი 528 ავტომობილისათვის. გარაჟი 40 სართულისაგან შესდგება. მისი სიმაღლე 170 მეტრს უდრის. შენობის უფრო ფართე ნაწილი, რომელიც 23 სართულისაგან შესდგება, წარმოადგენს გარაჟს,—დანარჩენ 17 სართულში მოთავსებული არიან სხვადასხვა სავაჭრო სამრეწველო კანტორები. ავტომობილები ზემო-სართულებში აჰყავთ სპეციალური ლიფტების საშუალებით.

ავტობუსები

უცხოეთში ავტობუსები წარმატებით უწევენ მეტოქეობას მიმოსვლის სხვა საშუალებებს, ლონდონში მუშაობს 450 ავტობუსი, თითეული იტევს 50-57 მგზავრს. ჩიკაგოში მუშაობს 450 ავტობუსი—68 მგზავრისათვის თითო; ნიუ-იორკში—400—68 კაცისათვის თითო. ფილადელფიაში—ორასი ავტობუსი, ამათგან 125 ავტობუსი ორსართულიანია. გერმანიაში ავტობუსი მასზე გაწეულ ხარჯებს ფარავს პირველსავე წელს, ტრამვაი—4 წელიწადში, მეტროპოლიტენი—8 წელიწადში.

იურიდიული დახმარება

ზუგდიდის მაზრის მცხ. (პარტ. ბ. № 0862.391) ჩიტა ფაცაციას

პასუხი

თუ სამსახურში ყოფნის დროს ნერვიული ავადმყოფობის გამო თქვენ გახდით შრომის ინვალიდი მთლად ან ნაწილობრივ, (რაც უნდა დაადასტუროს ადგილობრივ დამზღვევი სალაროს საექიმო-საკონტროლო კომისიის ექსპერტიზამ), მაშინ თქვენ გაქვთ უფლება მოითხოვოთ პენსიაზე გადარიცხვა საერთო წესით.

კავშირის წევრს (წიგნ. № 2.004) ალ. აფაქიძეს

პასუხი

ყოველი თქვენგანი ბინის ქირას იხდის ცალ-ცალკე მის მიერ ფაქტიურათ დაკავებულ საცხოვრებელ ფართობის მიხედვით. საერთო ფართობი პირობით უნდა გაანაწილოთ სამ ნაწილად და ის მდგმურები საერთო ოთახში, რომელნიც თვიურად უნდა იღებდენ ხელფასს 46 მან. 50 კ. და 47 მან. 50 კ. თითოეულ კვადრ. მეტრზე თვიურად გადაიხდიან თერთმეტ კაპეიკს, მესამე მდგმური, რომელიც იღებს ხელფასს 52 მ. და 50 კ. რაოდენობით, თითოეულ კვად. მეტრზე მისთვის მიჩენილ ფართობის ფარგალში გადაიხდის თორმეტ კაპ.

ნაგვის გასაზიდი ხარჯები და მეეზოვის ხელფასი უნდა გაიღოს სახლის პატრონმა.

კაპიტალურ (ძირითად) რემონტზე დახარჯულ ფულებს სახლის პატრონს დაუკავებთ ბინის ქირიდან სამოქ. სამართლის კოდექსის მუხ. 159 ძალით.

თქვენ მიერ სახლის პატრონთან დადებულ ხელშეკრულებას არა აქვს იურიდიული აქტის ძალა, რადგანაც იგი ეწინააღმდეგება სამოქალაქო სამართლის კოდექსის მუხ. 33 და 116 და თავისთავად ბათილია.

შრომის სიების შედგენის შესახებ

პასუხი

თანახმად საკავშ. საბ. სახკომ. 1926 წ. 26 სექტემბრის დადგენილების შრომის სიები უნდა შესდგეს სამსახურის გავლის შესახებ არსებული საბუთების მიხედვით როგორც ამ სიების შემოღებამდე, ისე მის შემოღების შემდეგაც.

მუშა - მოსამსახურის სხვა სამსახურზე გადასვლის შემთხვევებში ეს სიები უნდა იქნეს გადაგზავნილი სამსახურის ახალ ადგილას.

პარტიული კალენდარი

— 22 ივნისს, საღამოს 6 საათზე საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტში მოწვეულია **თათბირი დაწინაურებების საკითხის** შესახებ. დღის წესრიგში სდგას: დაწინაურებულთათვის დანიშნულ თანამდებობათა დამტკიცება.

სავალდებულოა ქვემოჩამოთვლილ ამხანაგების თავის დროზე დასწრება:

გუდავაძე, აკოპოვი სტ., ფირალოვი, კუდრიავცევი, ხვედელიძე (ს. პ. კ. ს.), ატოევი (საბჭოთა-სავაჭრო მოსამსახ. კავშირი), კალანდაძე (თბილ. უძრავ ქონების სამმართველო), ფრიდონოვი, ცანავა (ტელასი), იორამაშვილი („სამშენი“), ამირაგოვი (საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო), ბრეგვაძე (საქ. სატყეო მრეწველობის სამმართველო), გარინი (ზეთსაპონი), თენეიშვილი (ლომბარდი), ბოლქვაძე და ანშელევიჩი (ცეკავშირი), დათუნოვი (ლითონტრესტი), კუხალეიშვილი („მისოტორგ“), ძამანაშვილი (მიწადმოქმედების სახ. კომისარიატი), უჩანეიშვილი (ფოსტა - ტელეგრაფის სამმართველო), დუმბაძე (მდელოსი).

— ხუთშაბათს, 23 ივნისს, დილის 9 საათზე, ს. კ. პ. (ბ) ც. კ. ქალთა განყოფილებაში **მოწვეულია ქალთა განყოფილებების ოლქკომების, მაზრკომების და რაიკომების გამგეების თათბირი.**

დასწრება ყველასათვის სავალდებულოა.

— **ქალაქის და სოფლის კავშირის საზოგადოების** თბილისის საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა შესდგება დღეს, 22 ივნისს, საღამოს 6 საათზე, თბილისის კომიტეტის საავიტაციო საპროპაგანდო განყოფილებაში.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის **არსრაიკომის მუშა და გლეხ ქალთა** განყოფილება იუწყება, რომ დღეს, 22 ივნისს, საღამოს 6 საათზე მუშათა ცენტრალურ კლუბში შესდგება არსრაიონის ქალთა სადელეგატო კრება.

სავალდებულოა ყველა დელეგატ ქალთა დასწრება დაუგვიანებლათ.

საბჭოთა — სავაჭრო მოსამსახურეების საზაფხულო კლუბი
(ქორუსის ქ. № 3).

დღეს, ოთხშაბათს 22 ივნისს, შესდგება
საქართველოს ახალგაზრდა მუსიკოსთა საზოგადოების
მეორე სიმფონიური
— კონცერტი —
რესპ. სახ. არტ. ი. პ. ფალიაშვილის ხელმძღვანელობ.
დასაწყისი საღამოს 9 საათზე. 1—1 3110

ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)
დარბაზი
(ბაღში, პლეხანოვ. № 91)
აპოლლო
(არტოს ბაღში).

დიდი წარმატების გამო
კიდევ 1 დღეს
„მისი უდიდებულესობის სოლისტკა“
ანონსი: ამ დღეებში—ეთერში „ბანდიტი ქალი“ მილტონ სილსის მონაწილეობით.
დარბაზში „საპნის ქაფი“ მერი პიკფორდის მონაწილ.

კონრად ვეიდტი და შიუნტცელი
მხატვრულ შედევრში
„გრაფი კალიოსტრო“
იშვიათი ანსამბლი, უაღრესად საინტერესო სიუჟეტი.
ვინც კინოში შესასვლელ ბილეთს იყიდის, ბაღში შესასვლელი ბილეთი აღარ სჭირდება.

0—19 ნ. 1289
ანონსი: მალე უკრაინის საუკეთესო სამხატვრო სურათი „მოხეტიალე ვარსკვლავები“ შოლომ ალეიხემის რომანის მიხედვით.

ТРИ ЦЕННЫХ ПРИЛОЖЕНИЯ
своим подписчикам ВО ВТОРОМ ПОЛУГОДИИ 1927 г.
дает самый распространенный
ОГОНЕК
еженедельный иллюстрирован. журнал

I. „ОГОНЕК“ с 1 июля до конца года с одним приложением: „АЛЬБОМ СОВЕТСКОГО ЮМОРА и САТИРЫ“ (лучшие художники и карикатуристы) — издание большого формата, на отличной бумаге, в художественной папке . . . . 3 руб.

II. „ОГОНЕК“ с 1 июля до конца года с двумя приложениями: 1) Богато иллюстрированный том, посвященный 10-тилетию Октябрьской Революции „ДЕСЯТЬ ЛЕТ СОВЕТСКОГО СТРОИТЕЛЬСТВА“ (промышленность, сельское хозяйство, наука, литература, искусство) в прочн. перепл. и 2) „АЛЬБОМ СОВЕТСКОГО ЮМОРА и САТИРЫ“ . . 4 р. 50 к.

III. „ОГОНЕК“ с 1 июля до конца года с тремя приложениями: 1) 52 книжки БИБЛИОТЕКИ „ОГОНЕК“ (произведения лучших русских и иностранных писателей), 2) „ДЕСЯТЬ ЛЕТ СОВЕТСКОГО СТРОИТЕЛЬСТВА“ и 3) „АЛЬБОМ СОВЕТСКОГО ЮМОРА и САТИРЫ“ . . . . 9 р. 50 к.

Переводы адресовать: МОСКВА 9, Тверской бульвар 26. Акц. Издат. О-ву „ОГОНЕК“
Подписка принимается также во всех почтовых учреждениях СССР.

ЖЕНЩИНЫ, ХОЗЯЙКИ!
МАТЕРИ, КУСТАРКИ!
СПЕШИТЕ ПОДПИСАТЬСЯ
на ВТОРОЕ ПОЛУГОДИЕ 1927 года
на ежемесячный домашне - хозяйственный
богато-иллюстрированный и модный
„ЖЕНСКИЙ ЖУРНАЛ“
К каждому номеру прилагаются выкройки и контурные листы.
УСЛОВИЯ ПОДПИСКИ:
„ЖЕНСКИЙ ЖУРНАЛ“ на 6 мес.—5 р. 50 к., на 3 мес.—3 руб.
„ЖЕНСКИЙ ЖУРНАЛ“ с приложением „КУЛИНАРНОЙ КНИГИ“ на 6 мес.—6 р. 30 к., на 3 мес.—3 р. 80 к.
Полугодовые подписчики получат, кроме того, БЕСПЛАТНУЮ ПРЕМИЮ: 10 книжек „БИБЛИОТЕКИ ОГОНЕК“.
Переводы адресовать: МОСКВА 9, Тверской бульвар 26.
АКЦ. ИЗДАТ. О-ВУ „ОГОНЕК“.
Подписка принимается также во всех почтовых учреждениях СССР.
1320б. 4—1

ამიერ-კავკასიის ს. ს. რ. რკინის გზათა სამმართველო

აცხადებს, რომ 1927 წ. 28 ივნისს, დილის 10 საათზე გზათა **სამმართველოს** შენობაში დანიშნულია

შერეული ვაჭრობა

იჯარით გაიცემა: I კლასის ბუფეტები სადგ. ბათომში, ქუთაისში, ჰიათურაში, თბილისში და ლენინაკანში; III კლასის—სადგ. ბათომში, ქუთაისში, ჰიათურაში, სახჩერეში, თბილისში, ნორაშენში, ფოილოში, სუმგაიტში, დივიჩში, კუსარ-ჩაიში; სავაჭრო კარვები სადგ. რიონზე (№ 2), დალმამეტლში და სანგაჩალში, ვადით 1928 წ. 1/X-დე და ფოტოგრაფიული სურათების გადაღების უფლება ზაფხულის სეზონში სადგ. წაღვერში.

განცხადებები, 3 მან. 30 კაპ. სალერბო მარკებით და წლიური საიჯარო ქირის 10% გადახდის ქვითარით დაბეჭდილ კონვერტში, რომელსაც აქვს წარწერა „1927 წ. 28 ივნისის საჯარო ვაჭრობისათვის“, ჩაიშვება რკინის გზათა სამმართველოს შესავალთან გამოკიდებულ ყუთში.

1—1 ნ. 1354 **სამმართველო.**

კურორტი ახტალა
გაიხსნა 15 ივნისიდან. გაყვანილია ელ-განათება, გარდა ცხელი და ცივი ტალახის აბაზანებისა, მოწყობილია აგრეთვე ტალახ-მზის აბაზანები; აქვეა ექიმის მეთვალყურეობით სასადილო ხელმისაწვდომ ფასებში.
ნის. 1352. კურორტის დირექცია.
ნ. 20 3|4—1

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4



სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 3—63. 13—1

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ „ჩოდრიშვილის“ შესახვევი, (ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 8.

სია იმ პირთა და ორგანიზაციათა, რომელნიც გატარებულნი არიან რეგისტრაციაში ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოში.

(გაგრძელება № 9).

№№ რიგ.	რეგისტრაციის დრო	წარმოების მეპატრონე	მისამართი	საწარმოოს საგანი	ძირითადი თანხა	სარეწ. მოწმობის ხარისხი
219	27 მაისი 27 წ.	დათუაშვილი ბაგრატი	თბილისი, კახეთის ქ. № 12.	ღვინის სარდ.	950 მ.	მე-4-ხე
220	„	ფოჩხიძე ელისაბედი	„ დიდი ხეჯის ქ. № 2.	„	1500 „	„
221	„	ვაშაკიძე გიორგი თევდორეს-ძე	„ კარლ მარქსის მოედ. № 2 | 7.	სასადილო	1000 „	მე-5-ე
222	8 ივნისი 27 წ.	სარიევი გრიგოლ ნასყიდას-ძე	„ ბზის მოედ.	ღვინის სარდ.	1000 „	მე-4-ე
223	9 „	მანუკოვი ვასილ იაგორის-ძე	„ ბზის მოედ. № 19.	სასადილო	400 „	„
224	„	ბოლღაშვილი გაბრიელ იაკოფის-ძე	„ დესიმონოვის მოედ. № 33.	„	700 „	„
225	„	ახპატელოვი ეფრემ ბაღდასაროვის-ძე	„ დავითაშვილის ქ. № 15.	„	700 „	„
226	10 ივნისი	საქ. სახმედ. ვაჭრობა	„ სადგურის ქ. № 19.	ნავთიაქის მაღაზია	საკუთ. თანხა არ აქვს	„
227	11 ივნისი	მღვდელაძე თეოფილე ფარსადანის-ძე	„ რუსთაველის გამზ. № 10.	სასადილო	1000 მ.	„
228	14 ივნისი	ხარატიანი დანიელ სარქისის-ძე	„ ჭავჭავაძის ქ. № 10.	ვაჭრობა მაგარი სასმელ.	400 „	„
229	„	ბაკურაძე სერგო	„ საბაჟო ქ. № 6.	სასადილო	200 „	მე-5-ე
230	15 ივნისი	გალუსტოვი დარჩო ოსიფას-ძე და კომპ.	„ ბნელი რიგი № 45.	თევზეულით და ხილით ვაჭ.	7360 „	„
231	„	ტურაზოვი ზაქარია გრიგოლის-ძე	„ ბაზრის ქ. № 12.	ხორცით ვაჭრობა	500 „	მე-4-ე
232	„	საგანელიძე გრიგოლ გიორგის-ძე	„ პუშკინის ქ. № 5.	საკანდიტრო	5000 „	„
233	„	რევია დომენტი ვახტანგის-ძე	ს. მცხეთაში	სასადილო	300 „	„
234	„	გეგეჭკორი ვასილ სიმონის-ძე	ს. მცხეთაში	მე-3 კლასის ბუფეტი	1000 „	„
235	16 ივნისი	ბროიდო სოლომონი	თბილისი, პუშკინის ქ. № 3.	სანიტ. და გიგიენ. ნივ. ვაჭ.	10000 „	„
236	17 ივნისი	მჭედლიშვილი ნიკოლოზ ზაქარიას-ძე	„ პუშკინის ქ. № 15.	სასადილო	660 „	„
237	„	ეგნატაშვილი ალექსანდრე იაკოფის-ძე	„ პუშკინის ქ. № 33.	„	1000 „	„

ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოს საქმეთა მმართველი **შ. მგალობლიშვილი.**

ნ. 1349.

სავაჭრო რეგისტრაციის განყოფილების გამგე **ქ. ორჯონიკიძე**

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 24 ივნისს 1927 წ. დღის 1 საათზე სახლში № 21 არაგვის შესახვევში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ქვითკირის ორ სართულიან სახლს, რომელიც ეკუთვნის მოქ. სოლომონ ვარდიოლოს. აღნიშნული სახლი შესდგება 12 ოთახისაგან, 2 სამზარეულო და 2 სარდაფით, დახურულია კრამიტით შეფასებული 5250 მანეთად, ვაჭრობა დაიწყება შემოძლეულ ფასიდან პეტრე სოლონჩენკოს ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 17 ივნისს 1927 წ. თარიღით, № 530 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ვაჭრობა იწარმოებს ს. ს. ს. კოდექსის 311—312 მუხლების დაცვით. 1—1 ნ. 1350

ბაღდათის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი ი. დ. ლომთაძე

აცხადებს, რომ 30 ივნისს 1927 წ. დღის 12 საათზე სოფ. ობჩაში, ქუთაისის მაზრაში, ის **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის კონსტანტინე ოქროპირის-ძე მილაშვილის მოძრავ ქონებას რომელიც შეიცავს: 1) სამ ქვევრს 200 ჩაფიანს, დაფასებული 60 მან., 1/7 ნაწილს: 2) ორი საწნახლისა 180 ჩაფიანს, დაფასებული 25 მან., 3) ყურძნის საწური პრესს, დაფასებული 10 მან., 4) ყურძნის საჭყლეტი მანქანა, დაფასებული 7 მან., 5) არაყის სახდელი ქვაბისა, დაფასებული 10 მან., 6) ძელულ მარანს, დახურულს ყავრით, დაფასებული 20 მან. და ერთ მეხუთედ ნაწილს, 7) სამი თვალი ფიცრული სახლის—ორი თვალი ჭერით და იატაკით და ერთი—უჭეროთ და უიატაკოთ, დაფასებული 100 მან., დასაკმაყოფილებლად ანტონ გრიგოლის-ძე მანაგაძის ფულადი გადასახადისა. ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან.

ექიმი
მებრაბიანცი
ფილტვების, ჭლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. ხელოვნური მთის მზე. იონნო-ტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., 25—1

პროფ. გ. მ. მუხაძე
დაბრუნდა
და განაახლა ავადმყოფების მიღება, პლეხანოვის პრ. № 58. 13—1

დაიკარგა ბეჭედი ასეთი წარწერით: 1) საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, 2) თბილ. პირველი საცდელ-საჩვენებ. შრომის სკოლა, 3) ნამგალი და ჩაქუჩი (შუაში). ა. წ. 21 ივნისიდან ასეთი ბეჭედით გაცემული საბუთები ჩ. გ. 3109

დაიკარგა კავშირის წიგნაკი № 2030 ფილიპე ოქროპირის-ძე ოჩიგავას სახელზე ჩ. გ. 3106

დაიკარგა „მაუზერის“ სისტემის რევოლვერის ტარების ნებართვა №51932 მოცემული 1-ლი ქართ. მსროლელ დივიზიის პოლიტ-განყოფილებისაგან ჯულდოთ 1922 წელს, ალექსანდრე ილიას ძე მამულაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3105

დაიკარგა პარტ-ბილეთი № 0855440, პროფკავშირის წიგნაკი და რაჭის მაზრის პარტკომის და აღმასკომის მიერ მოცემული შეღავათების მოწმობები ივლიანე ირაკლის-ძე ჯანელიძის სახელზე, ჩ. გ. 3107

დაიკარგა საქ. ა.ლ.კ.კ. საწევრო მანდატი № 41783, გაცემული ქუთ. სამაზრო კომიტეტის მიერ, მარო სარდიონის ასული გორდაძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1351

დაიკარგა ნამსახურობის მოწმობა, მოცემული მუშკოოპის გამგეობის მიერ 1925 წ. დეკემბერში ივანე დავითის-ძე სახუაძეს სახელზე, ჩ. გ. 3108

დაიკარგა განათლების მუშაკთა კავშირის წიგნაკი, დამზღვევ სალაროს წიგნაკი, მასწავლებლობის მოწმობა, რეგისტრაციის ქაღალდი ფორმა № 4, აკაკი ხარატიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3111

აღმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.